# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№237 (12612) 9 ოქტომბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




საქართველო-კვიპროსი

## ყენიამ ივარჯიშა



გუშინ საქართველოს ნაკრებს კვიპროსთან მატჩისთვის მზადების მეორე დღე ჰქონდა. **ექტორ კუპერმა** ჩვეულებისამებრ ორჯერ ავარჯიშა გუნდი. ჟურნალისტებმა ვერც ამჯერად შევაღწიეთ ბაზაზე, მაგრამ ინფორმაციის მოპოვება მაინც შევძელით.

როგორც გავიგეთ, დილის 10 საათზე დანიშნულმა მეცადინეობამ საათზე მეტხანს გასტანა. მოთამაშეები ძირითადად ფიზიკური მომზადებით იყვნენ დაკავებული. ფეხბურთელებმა მხოლოდ ვარჯიშის ბოლოს გააგორეს ბურთი.

17 საათზე ჩატარებული წვრთნა კი ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა. თავდაპირველად, გოლკიპერები მეკარეების მწვრთნელმა **მამუკა აბუსერიძემ** დატვირთა. მერე კომბინაციების დამუშავება დაიწყეს, ბოლოს კი კუპერმა ფეხბურთელები ორ გუნდად გაყო და ნახევარ მოედანზე ორკარა გაჩაღდა. ვარჯიში კარში დარტყმებით დასრულდა.

თუ გუშინწინ **ლევან ყენიას** გარდა ყველა ვარჯიშობდა, ამჯერად „შალკეს" ნახევარმცველიც სრულად დაიტვირთა და როგორც ჩანს, ტერფის ტკივილი აღარ აწუხებს.

არგენტინელი ჩვეული გეგმით აგრძელებს შეკრებას. ხვალ, 10 ოქტომბერს, დილის 9:30 საათზე ექტორ კუპერი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე პრესკონფერენციას ჩაატარებს. 10 საათზე კი ვარჯიში გაიმართება. დასწრების მსურველებს მხოლოდ 10-15 წუთის მანძილზე ექნებათ ჩვენი გუნდის წვრთნისთვის თვალის დევნების საშუალება.

**დავით ცაბაძე**

ავტორის ფოტო

## ცქიტიშვილი ესპანეთში გადადის...

**ფორვარდმა დაადასტურა, რომ ესპანურ კლუბთან მოლაპარაკება მიმდინარეობს**


»»» 12




## ბერბატოვს კალაძის გარეშეც მოვუვლით



## ნაკრებში ყველაფერი დადებითად შეიცვალა

## 10 000 გაყიდულია

**კვიპროსი დღეს ჩამოდის და დღესვე ივარჯიშებს**


ნაკრების მზადების მეორე დღე »»» 2




## ბენიტესი იუვენტუსში?

**ტურინული კლუბი დიდი ცვლილებების მოლოდინშია**


»»» 7

● სამხრეთ აფრიკა 2010

ინტერვიუ დავით ოდიკაძესთან

# ბერბატოვს კალაძის გარეშეც მოვუვლით

## დინამოში დავრჩები, თუ...



დავით ოდიკაძე

**დავით ოდიკაძე ნელ-ნელა უახლოვდება ოპტიმალურ ფორმას. თბილისის „დინამოს" ლიდერს ექტორ კუპერი რომ ენდობა, ფაქტია - მას არგენტინელის არც ერთი შეკრება არ გამოუტოვებია. ოდიკაძე ახლა კვიპროსსა და ბულგარეთთან მატჩებისთვის ემზადება. ბუნებრივია, ინტერვიუსთვის თემად ესეც იკმარებდა, რომ არა თბილისის „დინამოსთან" დაკავშირებული საინტერესო საკითხები...**

**- დავით, როგორ მიმდინარეობს მზადება?**

- ნორმალურად, გუნდში მართლაც მშვენიერი განწყობაა. ყველა იმედიანად ვართ. გვჯერა, რომ ამ ორ შეხვედრას კარგად ჩავატარებთ. კუპერი შეტევისა და დაცვის ორგანიზებაზე გვამუშავებს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ - ძალიან მომწონს მასთან მუშაობა, მისი მუშაობის მეთოდები. გვესმის, რომ ორივე შეხვედრის მოგება რთული იქნება, მაგრამ თუკი ბევრი რამ ჩვენს განწყობაზეა დამოკიდებული, მაშინ ჩათვალეთ, რომ ყველაფერი რიგზეა.

**- ხასიათი თბილისის „დინამოს" ცუდმა შედეგებმაც არ შეგიცვალათ?**

- ჩემპიონატის დაწყებიდან სულ რაღაც 5 ტური გავიდა, წინ კიდევ 28 თამაშია დარჩენილი და აქედან გამომდინარე, საგანგაშოც არაფერია.

**- საერთოდ, რა სჭირს „დინამოს"?**

- სერიოზული არაფერი. ნებისმიერ გუნდსა თუ ფეხბურთელს აქვს ჩავარდნა. ალბათ, ესაა ჩვენი ცუდი თამაშის მიზეზიც. რა თქმა უნდა, სტარტი ძალიან ცუდია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შარშანდელი გუნდი დასუსტდა. დარწმუნებული ვარ, უახლოეს ტურებში მდგომარეობას გამოვასწორებთ. ჩვენს გაფუჭებულ საქმეს ჩვენვე მივხედავთ.

**- როგორც ვიცით, კონტრაქტი დეკემბერში გიმთავრდებათ. „დინამოდან" წასვლას აპირებთ?**

- დიახ, „დინამოსთან" ხელშეკრულება 31 დეკემბერს იწურება, მაგრამ დავრჩები თუ არა, ჯერ არ ვიცი.

**- საქართველოდან ყველა უცხოეთში გარბის და...**

- თუ კონკრეტული წინადადება არ იქნება, ჩემი სურვილია, „დინამოში" დავრჩე. თუმცა დღემდე ახალ კონტრაქტზე არ გვისაუბრია.

**- სანაკრებო თემას დავუბრუნდეთ. მეტოქეთა თამაშები თუ ნახეთ?**

- ჩემი აზრით, ბულგარეთი სადღეისოდ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მათ ჰყავთ ბერბატოვი, რომელიც პირადად მე კონტინენტზე ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად მიმაჩნია. „მანჩესტერ იუნაიტედში" ტყუილად აიყვანდნენ?

**- თქვენი აზრით, კალაძის არყოფნაში, ბერბატოვი დიდ პრობლემას არ შეგვიქმნის?**

- კალაძე დიდი დანაკლისია, მაგრამ ჩვენ სხვა ძლიერი მცველებიც გვყავს - ხიზანიშვილი, სალუქვაძე, თუნდაც დინამოელი გურამ კაშია, რომელიც ეროვნულში პირველად მიიწვიეს... დარწმუნებული ვარ, გურამი დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ერთი სიტყვით, ვეცდებით, კალაძის არყოფნა არ შევიმჩნიოთ.

**- კვიპროსის ნაკრებზე არაფერი გითქვამთ...**

- ვნახე კვიპროსი-იტალიის შეხვედრა და ძალიან გამიკვირდა, პატარა ქვეყანას ასეთი ძლიერი ნაკრები რომ ჰყავს. იტალიასთან ისე დამაჯერებლად ითამაშეს, მგონი, თვითონაც არ ელოდნენ. დაახლოებით, ირლანდიის სტილის გუნდია, მებრძოლი... ფლანგებიდან კარგად თამაშობენ. იტალიასთან უნდა მოეგოთ. ბუფონმა ითამაშა ჩინებულად, თორემ... ჩემი აზრით, კვიპროსთან თამაში შედარებით იოლი იქნება. დიდი ხანია, თბილისში არ გვითამაშია და გვინდა, საკუთარი მაყურებლის წინაშე კარგად გამოვიდეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველო-კვიპროსი

# 10 000 გაყიდულია

11 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის პირველ საშინაო მატჩს გამართავს. **ექტორ კუპერის** გუნდი კვიპროსს უმასპინძლებს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** ფედერაციას კვიპროსთან და 15 ოქტომბერს ბულგარეთთან გასამართი შეხვედრების ორგანიზებაში ეხმარება. როგორც მან გუშინ გვითხრა, კვიპროსთან მატჩზე დასასწრები ბილეთებიდან დაახლოებით 10 000 უკვე გაყიდულია. ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ შეხვედრისადმი ინტერესი დიდია, სხვა თუ არაფერი, კუპერის ხელმძღვანელობით საქართველო შინ პირველად ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ დავით სირაძესთან

# საქართველო უნდა გავახაროთ

**ეროვნული ნაკრები კვიპროსთან მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. ექტორ კუპერის გუნდში შეტევის ხაზით კიდევ ერთხელ დავინტერესდით და რესპონდენტად ნალჩიკის „სპარტაკის" ფორვარდი დავით სირაძე შევარჩიეთ. მას მომდევნო მატჩებზე, ნაკრებში არსებულ ატმოსფეროზე, საკლუბო თემებსა და მომავალზე გავესაუბრეთ.**

- მზადება ნორმალურად, გეგმის მიხედვით მიდის. გუნდში საბრძოლო განწყობაა. ვარჯიშებზე ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზე მიდის მუშაობა და მალე თეორიულ მეცადინეობაზე გადავალთ.

**- როგორც ვიცით, შეკრების პირველი დღისგან განსხვავებით, ლევან ყენიამ ახლა უკვე სრული დატვირთვით ივარჯიშა...**

- ეს ამბავი ყველას ძალიან გაგვიხარდა. მართალია, ლევანი ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ჩვენი ნაკრების საკვანძო ფეხბურთელად ითვლება და მოედანზე მისი ყოფნა უმნიშვნელოვანესია.

**- ყენიამ კი ივარჯიშა, მაგრამ კალაძე და კვირკველია არ გვყავს...**

- წამყვანი ფეხბურთელები დაგვაკლდნენ, მაგრამ რას ვიზამთ - მათ გარეშე მოგვიწევს ფონს გასვლა. ფეხბურთში ტრავმისგან არავინაა დაზღვეული.

**- მსგავსი შეკრებებისას მოედნის საფარის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნაკრებმა პირველად ივარჯიშა საგურამოს ბაზაზე. რა მდგომარეობაშია მინდორი?**

- დიახ, ეს ფაქტორი მართლაც მნიშვნელოვანია. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ახლა უკეთეს პირობებში გვიწევს მომზადება.

**- კუპერის ვარჯიშები თუ მოგწონს?**

- განსხვავებული საწვრთნელი პროცესია, წინამორბედებზე უკეთესი. ტაქტიკურადაც კარგად ვემზადებით.

**- რა შეიცვალა ნაკრებში არგენტინელის მოსვლით?**

- სავარჯიშო პროცესი, დისციპლინა... აქ სათამაშო დისციპლინას ვგულისხმობ. სხვა დადებითი ცვლილებებიც გამოჩნდა. ფეხბურთელები ამას მოედანზე ვგრძნობთ და ალბათ, გულშემატკივარი და ფეხბურთის სპეციალისტებიც ხედავენ. ჯერჯერობით კუპერის დავალებებს ბოლომდე ვერ ვასრულებთ და ამიტომაც არ გვაქვს ქულები. მაგრამ გუნდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს და მჯერა, პირველ ქულებს ოქტომბერში ავიღებთ.

**- რამდენ ქულას გეგმავთ უახლოეს თამაშებში?**

- მაქსიმუმს. უქულოდ ვართ და დროა გულშემატკივარი შედეგიანი თამაშით გავახაროთ. მჯერა, ეს გამოგვივა კიდეც.

**- მეტოქეც არაა ხელწამოსაკრავი...**

- კვიპროსი იტალიას კარგად ეთამაშა. ეჭვი არავის გვეპარება იმაში, რომ ბულგარეთს კვიპროსზე უკეთესი ნაკრები ჰყავს. თუმცა ყველა ძლიერ გუნდს აქვს სუსტი მხარეები და ეს უნდა გამოვიყენოთ. გარდა ამისა გულშემატკივრისაც მეიმედება. მათი მხარდაჭერა ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

**- ვარჯიშებზეც ჩანს, რომ უკეთეს ფორმაში ხარ...**

- მეც ასე ვფიქრობ. ეს იმიტომ, რომ კლუბში სტაბილურად მიწევს თამაში. სამი მატჩის გარდა, ყველა შეხვედრაში ვითამაშე.

**- საკლუბო თემაზე გადავიდეთ. რუსეთის ჩემპიონატში მეათე ადგილზე ხარ. არადა, უკეთეს პოზიციაზე შეგეძლო ყოფილიყავი...**

- ბევრი ქულა დავკარგეთ. სეზონის დასრულებამდე 6 ტურია დარჩენილი. ლიგაში დარჩენა გარანტირებული გვაქვს, უკეთესი ადგილის მოსაპოვებლად კი ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ რა გამოვა.

**- სეზონის ბოლოს ნალჩიკელებთან კონტრაქტი გიმთავრდება. კონტრაქტს ხომ არ აგრძელებ?**

- „სპარტაკს" არ უნდა ჩემი გაშვება, მაგრამ კონტრაქტს არ ვაგრძელებ.

**- უკეთეს ვარიანტს ელოდები? გერმანიიდან ხომ არ დაგიკავშირდნენ?**

- დიახ, დამირეკეს... რაც შეეხება უკეთეს ვარიანტს, ვნახოთ. ტრანსფერზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით...

**- გერმანიიდან შენი ყოფილი კლუბი დაგიკავშირდა თუ რომელიმე ახალი გუნდი?**

- არა, ჩემს აგენტთან მქონდა საუბარი. ვნახოთ, ჯერ ამაზე არ ვფიქრობ. ახლა მთავარია ნაკრებში წარმატებით ვითამაშოთ, სასურველ შედეგს მივაღწიოთ და მშობლიური გულშემატკივარი, მთელი საქართველო გავახაროთ. ეს უნდა შევძლოთ.

**დავით ცაბაძე**

მეტოქე

# ანგელოს ანასტასიადისი: ბრძოლა და მეტი სიფრთხილე

## კვიპროსი დღეს გვეწვევა და ივარჯიშებს

კვიპროსის ეროვნული ნაკრები თბილისის აეროპორტში დღეს, 13:30 საათზე ჩამოფრინდება. ადრე ვწერდით, რომ კუნძულელთა თავკაც **ანგელოს ანასტასიადისს** საქართველოში 21 ფეხბურთელი მოჰყავს. სტუმრები „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდებიან. ანასტასიადისი დღესვე ნაავარჯიშებს თავის შეგირდებს - მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე წვრთნა 19 საათზე დაიწყება. ანასტასიადისის ვარჯიშზე მხოლოდ საწყისი 20 წუთი შეგვეძლება დასწრება.

„საქართველოსთან და ირლანდიასთან მნიშვნელოვანი მატჩები გველის. სამწუხაროდ, რამდენიმე საჭირო ფეხბურთელი გვაკლია, თუმცა ქულათა მაქსიმუმს ვგეგმავთ. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი - ჩვენი საკვანძო მოთამაშეები დისკვალიფიკაციის ზღვარზე არიან და ძალზე გულდასაწყვეტი იქნება, თუ რომელიმეს ირლანდიასთან ვერ ვათამაშებ. შესაბამისად, მეტი სიფრთხილე და ყურადღება გვმართებს", - განაცხადა საქართველოში გამომგზავრებამდე ანასტასიადისმა.

კვიპროსელთა თავკაცი პარასკევს, 11:30 საათზე „შერატონში" პრესკონფერენციას გამართავს. მატჩის წინა დღეს, მეტოქე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე ივარჯიშებს. წვრთნა დახურული იქნება.

**დავით ცაბაძე**

ფიფას რეიტინგი

# უკან დავიხიეთ

გუშინ ფიფამ ოქტომბრის რეიტინგი გამოაქვეყნა. მოწინავე ათეულში იმდენად დიდი არა, მაგრამ ჩვენი ჯგუფის მეტოქეთა პოზიციებში მართლაც გვარიანი ცვლილებებია. სამწუხაროდ, საქართველომ უკან დაიხია. ჩვენზე წინ პანამა, ტოგო, ომანი, უგანდა და ჩინეთი არიან, პირველ ასეულს კი კუბა, სირია და მოზამბიკი აგვირგვინებენ. ჩვენ კი ირლანდიასა და იტალიასთან მარცხის გამო მთელი 20 საფეხურით დავქვეითდით და ახლა 97-ე ადგილზე ვართ.

რეგრესი აქვს საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქესაც - კვიპროსმა 15 ადგილით ქვემოთ ისკუპა. პროგრესზეც ვთქვათ. ჩერნოგორია 19 საფეხურით წინ წავიდა და ახლა 119-ეა, არადა, წლის დასაწყისში მეორე ასეულის ბოლოში იყვნენ.

რაც შეეხებათ ჩვენს სხვა მეტოქეებს, იტალიასა და ირლანდიას პოზიციები არ შეუცვლიათ, ბულგარეთი კი ერთი საფეხურით დაწინაურდა.

| ოქტომბერი | |
|---|---|
| 1. (1) ესპანეთი | 1643 |
| 2. (2) იტალია | 1365 |
| 3. (3) გერმანია | 1336 |
| 4. (6) ბრაზილია | 1280 |
| 5. (4) ჰოლანდია | 1258 |
| 6. (5) ხორვატია | 1223 |
| 7. (7) არგენტინა | 1200 |
| 8. (8) ჩეხეთი | 1111 |
| 9. (12) რუსეთი | 1976 |
| 10. (9) პორტუგალია | 1075 |
| 15. (16) ბულგარეთი | 969 |
| 38 (38) ირლანდია | 701 |
| 80. (65) კვიპროსი | 430 |
| 97. (67) საქართველო | 368 |
| 117. (136) ჩერნოგორია | 294 |

**დავით ცაბაძე**

მეტოქე. ირლანდია

# ტრაპატონის მინუსები

## ნაკრებს დაფი დაუბრუნდა

11 ოქტომბრის თბილისური მატჩის შემდეგ, კვიპროსი 15-ში ირლანდიას უმასპინძლებს. ირლანდიელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** ასეთი შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები - შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დან კილი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ჯო მერფი (სკანთორპი);

მცველები - ალექს ბრუსი (იფსვიჩი, ინგლისი), დემიენ დელენეი (ქუინზი), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), კევინ კილბეინი (ვიგანი, ინგლისი), ჯო ობრაიენი (ბოლტონი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი, ინგლისი);

ნახევარმცველები - სტივენ ჰანტი (რედინგი, ინგლისი), აიდენ მაკგეიდი (სელტიკი, შოტლანდია), დამიენ დაფი (ნიუკასლი, იგლისი), ლაიამ მილერი, ენდი რიდი (ორივე სანდერლენდი, ინგლისი), გლენ უილენი (სტოკი, ინგლისი);

თავდამსხმელები - რობი კინი (ლივერპული, ინგლისი), კევინ დოილი, შონ ლონგი (ორივე რედინგი, ინგლისი), ენდი კოფი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), დერილ მერფი (სანდერლენდი, ინგლისი).

როგორც ხედავთ, ტრავმის შემდეგ ნაკრებს „ნიუკასლის" შემტევი ნახევარმცველი **დამიან დაფი** დაუბრუნდა. თუმცა ირლანდიელებს სამი ფეხბურთელი **სტივ ფინენი, სტივენ რიდი** და **სტივ კელი** დააკლდებათ.

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 19. ამხანაგური მატჩი

## სუმგაითური ნულები

**აზერბაიჯ.-საქართველო 0:0**

08.10. სუმგაითი. მეჰდი ჰუსეინზადე. 200 მაყურებელი

საქართველო: მაკარიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გამრეკლიძე, ხუციძე, თარხნიშვილი, შონია, ჯიშკარიანი (88. სარაჯიშვილი), თექთუმანიძე (75. როსტიაშვილი), ქანთარია.

გაფრთხილება: გამრეკლიძე (38)

არბიტრი: ფ. იბრაგიმოვი (აზერბაიჯანი)

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ნოემბრის ბოლოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაერთვება. შეგახსენებთ, რომ ჩვენი მეტოქეები კვიპროსი, დანია და ჩეხეთი არიან. ჯგუფური რაუნდის მატჩები კვიპროსზე გაიმართება. მანამდე, **ზაურ სვანაძის** გუნდი რეპეტიციებს გადის. ორი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩვენი გუნდი აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაითში გაემგზავრა.

პირველი შეხვედრა გუშინ გაიმართა. თავიდანვე, აზერბაიჯანელებმა ჯერ ტერიტორიული, მერე კი სათამაშო უპირატესობაც მოიპოვეს. სადღაც ტაიმის შუაში ჩვენებმა თამაში გაათანაბრეს, ხოლო შემდეგ უპირატესობას თავად დაეუფლნენ.

თამაშის სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. მეორე ნახევრის სტარტზეც მასპინძლები დომინირებდნენ, თუმცა ბოლო 25 წუთი უკვე სვანაძის ბიჭების კარნახით წარიმართა. საგოლე მომენტები ორივე კართან კი შეიქმნა, მაგრამ ტაბლოზე მაინც ნულები დარჩა. ჩვენი გუნდიდან ხელსაყრელი მომენტები **ზვიად ქანთარიამ, გიორგი თექთუმანიძემ** და **ნიკოლოზ ჯიშკარიანმა** ვერ გამოიყენეს. 83-ე წუთზე კი **მიხეილ როსტიაშვილს** გოლი არ ჩაუთვალეს. მაგრამ ადგილობრივმა არბიტრმა **ფარვუდ იბრაგიმოვმა**, ლაინსმენთან თათბირის შემდეგ, „ვიტ ჯორჯიის“ ფორვარდზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

*„თამაშის მოგება ნამდვილად შეიძლებოდა. გოლიც გავიტანეთ, მაგრამ არბიტრმა არ ჩათვალა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელებმა წინასამატჩო დავალებები ნორმალურად შეასრულეს. არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით და იმედი მაქვს, შანსებს მომდევნო თამაშში გამოვიყენებთ“* - თქვა ნამატჩევს სვანაძემ, რომლის გუნდი აზერბაიჯანელ თანატოლებს ხვალ კიდევ ერთხელ დაუპირისპირდება. თამაში თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

დიდი სტუმარი

## ბლატერი: საგურამო, პრესკონფერენცია, ფეხბურთი...

შაბათს, დილით, საქართველოს ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი** ეწვევა. დიდი სტუმარი ჩამობრძანდება დელეგაციასთან ერთად, რომელშიც იქნებიან: ევროპის ქვეყნებში ფიფას პროგრამების კოორდინატორი ქალბატონი **ევა პასკიე**, ფიფას პრეზიდენტის თანაშემწე **გი-ფილიპ მატიო** და მედია-ოფიცერი **ანდრეა ცოლინგერი**. ისინი სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ დაბინავდებიან.

ბლატერი და მისი თანმხლები პირები ჯერ საგურამოს ბაზას ეწვევიან. ფიფას თავკაცი იქ ახალ ტექნიკურ ცენტრს გახსნის, მოგვიანებით კი - 17 საათზე, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ პრესკონფერენციასაც გამართავს; ხოლო მერე ფეხბურთია: ბლატერი და კომპანია ეროვნულ სტადიონზე საქართველო-კვიპროსის მატჩს დაესწრება. სტუმრები თბილისიდან კვირას, დილით გაემგზავრებიან.

**დავით ცაბაძე**

ფეხბურთელის ბედი

# დაუდექ ნუთისოფელსა!

## ნინამძღვრიშვილი პასუხს დღე-დღეზე ელის



რატი ნინამძღვრიშვილი

არიან ფეხბურთელები, ფატალურად რომ არ უმართლებთ, ხან ტრავმების ჯერი გაანამებთ, ხან - სხვა ათასი უილბლობა. განსაკუთრებით საწყენია, ასეთი რამ ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელს რომ შეემთხვევა, თუმც ამჯერად უიმედო სიტუაციასთან არ გვაქვს საქმე.

იყო დრო, როცა 17 წლის **რატი ნინამძღვრიშვილი** 19-წლამდელთა ნაკრებშიც თამაშობდა, ახალგაზრდულშიც და ეროვნულშიც. ის **გაიოზ დარსაძის** აღმოჩენა და „ჯილა“ გახლდათ, მაღალი, ღონიერი და აგრესიული ფორვარდი.

მას შემდეგ რატის საქმეები აღმაღალმა წავიდა. ისეც კი მოხდა, „ამერის“ მეორე გუნდის სასტარტოშიც ვერ ხვდებოდა რეკლამირებული ჭაბუკი... მაგრამ რატი ძლიერია და დავიდარაბას თავი დააღწია, „ამერის“ პირველ გუნდში ფეხი მყარად მოიკიდა და გოლებსაც მოუხშირა. არაერთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, თუნდაც 2006 წლის საქართველოს თასის ფინალში, „ზესტაფონთან“. თუ გონებას დაძაბავთ და გაიხსენებთ, „უემბლიზე“ **ტედი შერინგემმა** რა საშიში ძალით დაჰკრა ბურთს თავი საქართველოს ნაკრების კარში შესაგდებად, დაახლოებით ასეთი ლონიერი თავური უთავაზა რატიმ „ზესტაფონს“. ნინამძღვრიშვილს არაერთი ეფექტური ბურთი გაუტანია. ის ამ საქმის ოსტატია. მას **ადრიანოს** ადარებდნენ...

ბავშვობაში ოქროყანიდან თბილისში დადიოდა ფეხბურთის სათამაშოდ, ის არ იყო მდიდარი ოჯახიდან და საფეხბურთო სკოლაში პერიფერიიდან სიარული მისთვის განსაკუთრებით ძნელი იყო. რატიმ ეს დაბრკოლება გადალახა, ბუნებრივი მონაცემებიც ხელს უწყობდა. 16 წლისა პირველ ლიგაში მოთამაშე „ამერის“ საკვანძო ფეხბურთელი გახდა, თითქმის ყოველ თამაშში ქმნიდა საგოლე მომენტს...

„ამერის“ ჭაბუკებს მეტწილად 1988 წელს დაბადებულები წარმოადგენდნენ. მათგან ბევრი მოხვდა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში, თუმც რატისნაირი ეფექტური ვერავინ აღმოჩნდა. ნინამძღვრიშვილი „ამერისთვის“ ყველაზე დიდ კაპიტალად იქცა - ვფიქრობ, აქ გადაჭარბებული არაფერია.

ცხადია, ის სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელიც გახდა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. შარშან თითქოს მოუმწიფდა მომენტი უცხოეთში წასასვლელად, მაგრამ...“ამერი“ ჩეხეთში გახლდათ სეზონის წინა მოსამზადებელ შეკრებაზე. „ლიბერეცთან“ მატჩში ნინამძღვრიშვილმა მუხლის ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა. ოპერაცია და შვიდთვიანი სარეაბილიტაციო კურსი, ინდივიდუალური ვარჯიში, ფორმის აღდგენა - ყოველივე ამას თითქმის ერთი წელიწადი დასჭირდა.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსეთთან 0:4 რომ წააგო, მხოლოდ ნინამძღვრიშვილზე თუ ითქმის, რუსეთის დაცვას პრობლემებს უქმნიდაო. ის თითქოს ერთადერთი ნათელი წერტილი იყო **პეტარ შეგრტის** გაწვრთნილ გუნდში.

ნაკრებიდან დაბრუნებულ ნინამძღვრიშვილს „ამერის“ პირველსავე ვარჯიშზე თანაგუნდელთან შეჯახებისას ისე მოუსრიალდა ფეხი, რომ... სავარაუდოდ, მას ისევ გაუწყდა მუხლის მყესები. თუმც ცუდი პროგნოზი ჯერ არ მართლდება. რატის ტკივილი შეუმსუბუქდა და გაჩნდა იმედი, რომ ოპერაცია არ დასჭირდება. მუხლზე სურათი გადაიღო და ჩეხეთის იმ კლინიკაში გაგზავნა, სადაც შარშან ოპერაცია გაიკეთა. პასუხი დღე-დღეზე იქნება.

როგორც ერთი, ძალიან კოლორიტული ქართველი კაცი იტყოდა - დაუდექ წუთისოფელსა! ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

## აშვეთიამ დაასრულა

გუშინ, რუსეთის პირველი დივიზიონის 38-ე ტურის მატჩში, მახაჩყალის „ანჟიმ“ ბარნაულის „დინამო“ 3:0 დაამარცხა. ამ მოგების შემდეგ **ომარ თეთრაძის** გუნდმა 68 ქულა დააგროვა. თეთრაძემ სასტარტოში მხოლოდ ორი ქართველი - **ვალერი აბრამიძე** და **რევაზ ჯიქია** დააყენა. პირველი ტაიმის შემდეგ ჯიქია **მიხეილ აშვეთიამ** შეცვალა. ამ სეზონში „ანჟის“ შემადგენლობაში ასე ცოტა ქართველს ჯერ არ უთამაშია. ჩვენებურებს თავის გამოჩენა ორჯერ შეეძლოთ: 28-ე წუთზე ჯიქიამ „დინამოს“ კარში დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, „დინამოს“ რბევას წერტილი აშვეთიამ დაუსვა: 90-ე წუთზე მან სეზონში მე-14 გოლი გაიტანა.

ამასობაში, რუსულ „სპორტ-ექსპრესთან“ ინტერვიუში „ანჟის“ პრეზიდენტმა **მაგომედ-სულთან მაგომედოვმა** განაცხადა, რომ თეთრაძეს ბოლომდე ენდობა: *„ჯერ კიდევ მაშინ, როცა ომარი ჩვენს გუნდში თამაშობდა, ვაკვირდებოდი, როგორი კეთილსინდისიერი, ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო. მაშინვე ჩავიფიქრე, რომ მთავარ მწვრთნელად მოვიწვევდი. ჩემი არჩევანით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. თეთრაძეს ჯერ გამოუცდელობა არ აძლევს საშუალებას, ბოლომდე გამოიყენოს თავისი უდიდესი პოტენციალი. მასთან ხელშეკრულების გაგრძელებას ვგეგმავ“.*

შეგახსენებთ, რომ ერთი პერიოდი თეთრაძე წასულიც კი იყო გუნდიდან, მაგრამ მაგომედოვთან საუბრის შემდეგ ქართველმა სპეციალისტმა დაღესტნურ გუნდში დარჩენა გადაწყვიტა.

ბალტიის თასის ფინალში **ნუკრი მანჩხავასა** და **აკაკი ხუბუტიას** „კაუნასი“ გავიდა. გუშინ ლიტვის ჩემპიონმა სტუმრად 1:0 დაამარცხა ლატვიის ტრიუმფატორი „ვენტსპილსი“ და ორი მატჩის ჯამში (2:1) დასკვნით მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ფინალში მას რიგის „სკონტოს“ ელოდება. „კაუნასის“ შემადგენლობაში ხუბუტიამ 90 წუთი ითამაშა, მანჩხავა კი არ გამოჩენილა, ხოლო ვენტსპილსელი **ზურაბ მენთეშაშვილი** საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქველმოქმედო მატჩი

# იუბილე გრძელდება, არის იდეაც...

2008 წელი აფხაზეთის ფეხბურთისთვის საიუბილეოა. საქართველოს ულამაზეს კუთხეში სპორტის ამ დიდებულ სახეობას 100 წელი შეუსრულდა, რაც გაზაფხულზე აღინიშნა კიდეც. თუმცა საიუბილეო ღონისძიებები ამით არ ამოწურულა. 10 ოქტომბერს კიდევ ერთი საქველმოქმედო მატჩი გველის - რუსთავის „ფოლადზე“ აფხაზეთის ნაკრები ქვემო ქართლის ნაკრებს გაეჯიბრება. თამაში 15:30-ზე დაიწყება (დასწრება თავისუფალია).

როგორც აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა **მურად ანჯაფარიძემ** გვითხრა, ამ საქველმოქმედო მატჩის ორგანიზებაში მას სრული მხარდაჭერა აღუთქვა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციამ და პირადად გუბერნატორმა **დავით კირკიტაძემ**. ღონისძიების გენერალური სპონსორია კომპანია „კამპინა“, სპონსორები - „ქართული ფოლადი“ და „სანდორა“.

აფხაზეთის ნაკრებს კვლავ „ამერის“ მწვრთნელები - **გიორგი ჩიხრაძე** და **ნუგზარ ბოჯგუა** უხელმძღვანელებენ. რაც შეეხება ქვემო ქართლის ნაკრებს, ის რუსთავის „ოლიმპის“ ბაზაზე დაკომპლექტდა და **ხვიჩა ქასრაშვილი** უთავკაცებს. აქციიდან შემოსული თანხა კიდევ ერთი კარგი იდეის რეალიზებას მოხმარდება. ამაზე თავად მურად ანჯაფარიძისგან გაიგებთ:

*„ვფიქრობ, საინტერესო მატჩი გველის და ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივარი არ მოიწყენს. საქველმოქმედო ფონდიდან შემოსული თანხა სოხუმის უნივერსიტეტის ბაზაზე მსაჯთა სკოლის ჩამოყალიბებას მოხმარდება. ამ საქმეს კი ანატოლი მილჩენკო ჩაუდგება სათავეში. მსაჯთა სკოლის გახსნას დეკემბერში ვგეგმავთ. თავდაპირველად, გვინდა, რომ მსაჯობის მსურველი 40 აბიტურიენტი მივიღოთ. ერთი სიტყვით, კიდევ ერთ კარგ წამოწყებას ჩავუყარეთ საფუძველი და მჯერა, ამ იდეას განვახორციელებთ კიდეც“.*

**დავით ცაბაძე**

ბიბლიოთეკა

ლეგიონი

ლევან სილაგაძე:

# უბრალოდ, არ გვიმართლებს



აზერბაიჯანის ჩემპიონატში **კახა ცხადაძის** „სტანდარდს" ცუდი სტარტი გამოუვიდა. 7 ტურის შემდეგ ბაქოურ კლუბს მხოლოდ 8 ქულა აქვს და 14-გუნდიან პრემიერლიგაში მე-10 ადგილი უკავია. არადა, სპეციალისტთა და გულშემატკივართა საერთო აზრით, „სტანდარდი" შემტევ, საინტერესო ფეხბურთს თამაშობს. ბოლო ტურში ცხადაძის გუნდი ლიდერ „ხაზართან" 0:1 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ გუნდის მეორე მწვრთნელიც ქართველია - აზერბაიჯანის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ბადრი კვარაცხელია**, გუნდში კი ქართველ ლეგიონერთა კვარტეტი ირიცხება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, აზერბაიჯანში „სტანდარდი" ყველაზე ქართული გუნდია.

ერთ-ერთმა ჩვენებურმა, გამოცდილმა მცველმა **ლევან სილაგაძემ**, რომელსაც ხშირად ნახევარდაცვაში ათამაშებენ, ცუდი სტარტის მიზეზებზე აზერბაიჯანულ „ექსტრა თაიმთან" ისაუბრა:

*„უკვე მერამდენე თამაშია, სახიფათო მომენტს უხვად ვქმნით, მაგრამ გოლი ვერ გაგვაქვს, საკუთარ კარში კი ვუშვებთ. მიზეზი ვერაფრით ამიხსნია. ვეთანხმები მწვრთნელს - უბრალოდ, არ გვიმართლებს. ვინც „ოლიმპიკთან" ჩვენი თამაში ნახა, დამეთანხმება, რომ ჩვენი ნარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ ესაა. „ოლიმპიკის" კართან უამრავი მომენტი შევქმენით, მაგრამ გოლი ვერ შევაგდეთ. იგივე განმეორდა „ხაზართან" მატჩშიც. თუ ვერ გაგაქვს, მაშინ შენ გაგიტანენ - ეს ფეხბურთის დაუწერელი კანონია".*

თავად კი ახალ კლუბში თავს კარგად გრძნობს: *„ყველაფრით კმაყოფილი ვარ, აზერბაიჯანის ჩემპიონატიც საკმაოდ სოლიდური დონისაა. გუნდები კარგად თამაშობენ, მათ უმეტესობას შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი".*

ცხადაძე საკუთარ ფორვარდებს კლასს არ უწუნებს: *„ჩვენ მართლა კარგი ფორვარდები გვყავს, უბრალოდ, მათ არ უმართლებთ, მაგრამ ეს დაუსრულებლად არ შეიძლება გაგრძელდეს და მალე ფორტუნა ჩვენც გადმოგვხედავს. „ხაზართან" მატჩიდან გამომდინარე, ფეხბურთელების მიმართ შენიშვნები არ მაქვს, ისინი თანაბრად ეთამაშნენ აზერბაიჯანული პრემიერლიგის საუკეთესო კლუბს".*

კვარაცხელიამ „აზერისპორტს" განუცხადა, რომ გუნდის გეგმები არ იცვლება: *„სტანდარდის" მიზანი ჩემპიონატში უცვლელი რჩება: ნავინიოთ სატურნირო ცხრილში, რაც შეიძლება წინ".*

შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურის მატჩში ცხადაძემ თანამემამულეებიდან მხოლოდ ლევან სილაგაძე და **დავით ჭიჭვეიშვილი** ათამაშა, გოლკიპერი **მიხეილ ალავიძე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მთავარი მწვრთნელის ვაჟი, **ბაჩანა ცხადაძე** განაცხადშიც არ ყოფილა. „ექსტრა თაიმი" მიიჩნევს, რომ სილაგაძე „ხაზართან" მატჩში პასიურობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ რევაზ გენაძესთან

# აზერბაიჯანში წასვლაზე ნამდვილად არ მიოცნებია...

**რუსთავის „ოლიმპს" რევაზ გენაძის არყოფნა ძალიან დაეტყო. 23 წლის ნახევარმცველი გუნდის ლიდერი იყო და ყველაზე მძიმე მომენტში საკუთარ თავზე თამაშის აღება შეეძლო. მისით ბევრი კლუბი დაინტერესდა, რიგის „სკონტომ" კონტრაქტიც გაუფორმა, მაგრამ საქართველოში დაბრუნდა და აქაური კლუბებისგან წინადადებები რომ არ მიიღო, ბაქოს „ოლიმპიკში" ჩაირიცხა. თუმცა, ბევრი ქართველისგან განსხვავებით, მას არ მიაჩნია, რომ ეს მისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო...**



**- სიმართლე გითხრათ, აზერბაიჯანზე უკეთეს საფეხბურთო ლიგაში ველოდით თქვენს გადასვლას...**

- სხვა წინადადებები არ მიმილია, თორემ აზერბაიჯანში წასვლის დიდი სურვილი არც მე მქონია. საქართველოში დარჩენას, „ოლიმპიკთან" კონტრაქტი სჯობდა, რა თქმა უნდა, ფინანსური თვალსაზრისით.

**- აზერბაიჯანის ჩემპიონატმა არ გაამართლა თქვენი იმედები?**

- საკმაოდ ძლიერი ლიგაა, საქართველოზე გაცილებით რთული და მძიმე სათამაშოა. მოთამაშეებიც ფიზიკურად გაცილებით უკეთ არიან მომზადებულნი, მეტს მოძრაობენ, 0:3-ზე თამაშის შემოტრიალებასაც ცდილობენ... სწორედ ამით გამაოცა აზერბაიჯანმა - მებრძოლი გუნდები არიან, ყველა დარბის... ასეთს საქართველოში მხოლოდ ვნატრობთ. სხვა ტემპი უფრო მაღალი დონის ფეხბურთს ნიშნავს. არა მგონია, ეს პატარა განსხვავება იყოს. თუმცა, კიდევ ვიმეორებ: აზერბაიჯანში თამაში ჩემი ოცნება არ იყო და ამაზე ლაპარაკი არც ღირს.

**- აზერბაიჯანში თქვენც მოგიხდათ ჩვეულებრივზე მეტი სირბილი?**

- მე ისედაც ბევრს დავრბოდი და არ გამჭირვებია. მაგრამ ისე არ გაიგოთ, რადგან წავედი, აზერბაიჯანის იქით ფეხბურთს ვერ ვხედავდე. დღევანდელი მდგომარეობა სულაც არ მაკმაყოფილებს. მე გაცილებით მაღალ დონეზე თამაში მსურდა და მსურს კიდეც.

**- ნუთუ, სხვაგან არსად გიწვევდნენ? გულახდილად გვითხარით, ფინანსურად უფრო მეტად ვერავინ მოგხიბლათ?**

- გეტყვით, რაც იყო. სხვადასხვა კლუბზე მელაპარაკებოდნენ, მაგრამ კონკრეტული და საქმიანი წინადადება მხოლოდ აზერბაიჯანიდან იყო. სამწუხაროდ, უფრო ძლიერ ლიგაში დღემდე ვერ ვითამაშე.

**- ყველა ლაპარაკობს, აზერბაიჯანულმა ფეხბურთმა გაცილებით უკეთესი ფინანსური მდგომარეობის გამო გაგვასწროო. როგორ დავიჯეროთ, რომ საქართველოს პირველობას არანაირი უპირატესობა არ აქვს?**

- ჩვენთან ფეხბურთი უკეთ იციან და უფრო მდიდარი ტრადიციაც გვაქვს. ეს ბევრს ნიშნავს. ქართულ ფეხბურთში ცოტა მეტი ფული რომ ჩაიდოს, ვფიქრობ, მალე საკმაოდ ძლიერი ლიგა გვექნება.

**- ბოლო ტურებში „ოლიმპიკში" არ გამოჩენილხართ. არ გათამაშებენ?**

- ტრავმა მივიღე, „ხაზართან" მატჩის დროს კოჭი ისე ამომიბრუნდა, თამაში ველარ გავაგრძელე. ხელოვნურსაფრიან მოედანზე იყო შეხვედრა... მას მერე ორი ტური გამოვტოვე, დღემდე ვერ ვვარჯიშობ.

**- როდის დაუბრუნდებით მოედანს?**

- ალბათ, ორ კვირაში, მანამდე გამორიცხულია.

**- აზერბაიჯანში, შესაძლოა, ექტორ კუპერი ჩამოვიდეს და ქართველ ლეგიონერებს დააკვირდეს...**

- აზერბაიჯანში? რა ვიცი, კლაუს ტოპმიოლერს საქართველოში ყოფნა ეზარებოდა და აზერბაიჯანში ჩამოვიდოდა? კუპერი თუ მართლა აპირებს ჩვენს მონახულებას, კარგია, ეს ჩვენთვის სტიმული იქნება. ჩემს თავზე არაფერს ვიტყვი, სხვა ქართველებიდან კი ბევრი საინტერესო მოთამაშეა და არ არის გამორიცხული, ვინმე მართლა მიიწვიოს. აზერბაიჯანელები ქართველებს აფასებენ, რადგან ძლიერი ფეხბურთელები გვყავს.

**- „ოლიმპიკთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ?**

- მე კონტრაქტით არ ვთამაშობ, დღემდე რუსთავის „ოლიმპს" ვეკუთვნი, ერთწლიანი არენდით გამიშვეს. რა იქნება ამის მერე, ჯერ არ გარკვეულა. თუმცა კლუბები შეთანხმდნენ - შესაძლოა, 2009 წლის მაისში აზერბაიჯანელებმა ჩემი კონტრაქტი გამოისყიდონ. მოკლედ, „ოლიმპიკს" ამის სურვილი აქვს, ახლა მთავარი ისაა, რუსთავული კლუბის ხელმძღვანელობა რას იზამს. სხვათა შორის, „ოლიმპიკს" თავიდანვე სურდა ჩემი შეძენა, მაგრამ რუსთავიდან ასეთი პირობით არ გამიშვეს.

**- რუსთავის „ოლიმპს" რანაირად ეკუთვნის თქვენი ტრანსფერი, როცა შარშან რიგის „სკონტოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ?**

- გავაფორმე, მაგრამ მერე საკმაოდ ჩახლართული გარიგება მოხდა: რუსთავის „ოლიმპმა" „სკონტოში" ჩემ ნაცვლად ლადო დვალიშვილი გაუშვა და ამით გამომისყიდა. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან სიმართლე გითხრათ, ზუსტად მეც არ ვიცი, რა და როგორ იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ კახა ჩხეტიანთან

# იმედია, კუპერი ჩვენთანაც ჩამოვა

**სანაკრებო** **ბატალიების გამო აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც პაუზაა და იქ მოთამაშე ქართველმა ფეხბურთელებმა ოჯახების მოსანახულებლად სამშობლოს მოაშურეს. ზაქათალის „სიმურგის" ნახევარმცველი კახა ჩხეტიანი მშობლიურ ქუთაისში „ტორპედო 2008"-"კოლხეთის" მატჩს დაესწრო და ჩვენი საუბარიც იქ შედგა. შეგახსენებთ, რომ „სიმურგში", რომელიც აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია კახა ჩხეტიანის გარდა კიდევ სამი ქართველი - დავით ბოლქვაძე, მიხეილ მახვილაძე და გრიგოლ დოლიძე თამაშობს. ჩვენი რესპონდენტი ინტერვიუში საკუთარი გუნდის პერსპექტივებთან ერთად სხვა საინტერესო თემებსაც შეეხო...**

**- განწყობილება მშვენიერი უნდა გქონდეთ, „სიმურგი" კარგად თამაშობს და ლიდერთა შორისაა...**

- საქმეები მართლაც კარგად მიგვდის. ბოლო ორ შეხვედრაში ლიდერთა შორის მყოფ გუნდებს ვძლიეთ და ახლა მეორე ადგილზე ვართ. „ქარვანთან" შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო დავით ბოლქვაძე დაგვაკლდა, თუმცა პრინციპულ მეტოქეს ახალგახსნილ სტადიონზე 2:0 ვძლიეთ და ლიდერობა დავაკარგვინეთ. „სიმურგში" ოთხივე ქართველი სტაბილურად ვთამაშობთ და გუნდის ხელმძღვანელობაც კმაყოფილია.

**- არადა, თქვენს გადასვლამდე „სიმურგი" აზერბაიჯანში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი კლუბი იყო. რით შეიძლება აიხსნას გუნდის ასეთი სწრაფი პროგრესი?**

- „სიმურგი" ლეგიონერების გუნდია. ჩვენ გარდა, იქ 5 უკრაინელი და 4 რუსი ფეხბურთელი თამაშობს. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ძირითად გუნდში მხოლოდ 2 აზერბაიჯანელი გვყავს... ვერ ვიტყვი, რომ „სიმურგი" მხოლოდ ქართველების სიმრავლის გამო ათამაშდა ასე კარგად. მართალია, წარმატებებში ჩვენც დიდი წვლილი შეგვაქვს, მაგრამ „სიმურგის" პროგრესი უფრო სხვა რამითაა განპირობებული. აზერბაიჯანში ფეხბურთს დიდი ყურადღება ექცევა, კლუბები ფინანსურად ძალიან გაძლიერდნენ... მართალია, იქ „სიმურგზე" ბევრად მდიდრებიც არიან, მაგრამ პირობებს არც ჩვენ ვუჩივით. ცოტა ხნის წინ ზაქათალაში აშენდა სპორტული კომპლექსი, ბაზა და ახალი სტადიონი. გუნდს დიდი ყურადღება ექცევა და დადებითი შედეგიც აქედან მოდის.



**- წლეულს რა მიზნებს ისახავთ?**

- ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და ეიფორიაში ჩავარდნის უფლება არა გვაქვს. „სიმურგი" ცხრილში ასე მაღლა არასოდეს ყოფილა, თუმცა წინ მთელი სეზონია და სამეულში მოსახვედრად დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო.

**- ფაქტია, აზერბაიჯანული ფეხბურთი ფინანსების ნაკლებობას არ უჩივის, თუმცა ამ ქვეყნის ჩემპიონატისა და ეროვნული ნაკრების დონეს, ჯერჯერობით, პროგრესი არ ეტყობა. მათი დარი ფინანსური საშუალება ქართულ კლუბებს რომ ჰქონდეთ, რა ვითარება იქნებოდა ჩვენთან?**

- ნამდვილად არ მეგონა, თუ აზერბაიჯანში ასეთი კარგი პირობები დამხვდებოდა. ყველაფერი ევროსტანდარტებს შეესაბამება. ჩემპიონატის დონემაც საკმაოდ მოიმატა. აზერბაიჯანის პირველობა ისე დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, საქართველოს პირველობასთან შედარებაც არ შეიძლება. თუმცა მათი ფინანსური შესაძლებლობებით აქ უფრო მეტის გაკეთება მოხერხდებოდა. აზერბაიჯანში რამდენიც იხარჯება, იმის ნახევარი მაინც ქართულ ფეხბურთში რომ ჩაიდოს, საკმაოდ ძლიერი, საშუალო ევროპული დონის ჩემპიონატი გვექნებოდა. ჩვენთან გაცილებით ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ პირობები რომ არ აქვთ, ბევრი ადრევე მიდის ფეხბურთიდან. 22 ბავშვს მხოლოდ ერთი ბურთი რომ აქვს, იქ ფეხბურთი ვერ განვითარდება.

**- თავის დროზე, ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ზესტაფონიდან" უსახელო „სიმურგში" გადასვლით ბევრი გააკვირვეთ...**

- გასაკვირი არაფერია. სადაც უკეთესი პირობები შემომთავაზეს, იქ გადავედი. იმ ასაკში აღარ ვარ, რომ ენთუზიაზმზე ვითამაშო. სანამ მუხლებში ძალა მერჩის, ფეხბურთით სიამოვნებაც მინდა მივიღო და მატერიალური კეთილდღეობაც, თორემ თამაში რომ აღარ შეგეძლება, ერთგულებისთვის მხოლოდ მადლობას გადაგიხდიან და შინ გაგიშვებენ.

**- აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი არასოდეს მისცემიათ. როგორ ფიქრობ, ამ ქვეყნის ჩემპიონატის დონე ჩვენი ეროვნული გუნდის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს თუ სხვა მიზეზია?**

- აბა, რა გითხრათ... თუ საქართველოს ჩემპიონატიდან იწვევენ ნაკრებში, რატომ არ შეიძლება, რომ ეროვნული გუნდისთვის საინტერესო ფეხბურთელი აზერბაიჯანშიც გამოიძებნოს? თუნდაც ადამია ავილოთ. წლებია, ის თავისი გუნდის ლიდერია და ნაკრებში გასასინჯად მაინც გამოეძახებინათ... იმედია, ახალი მწვრთნელი მაინც მიაქცევს ყურადღებას აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველებს. სხვათა შორის, ექტორ კუპერის მუშაობის სტილი ძალიან მომწონს. ნაკრების თავკაცი ეროვნულ ჩემპიონატს დიდ ყურადღებას აქცევს და საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს ნაკრებში დამკვიდრების საშუალებას აძლევს. ადგილობრივი ფეხბურთელებისთვის ეს დიდი სტიმულია. როცა ასეთი შანსი ჩნდება, მოთამაშეები საკუთარ თავზე უფრო ბევრს მუშაობენ და თამაშის ხარისხიც უკეთესი ხდება. შედეგად, ეროვნული პირველობაც გაცილებით საინტერესოა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## მივიწყებული სახელები

**● გიორგი დარასელია**

# იმედია, ჩემს შვილს მაინც არ დაჩაგრავენ...

...სულ ასე ვართ - უცხოელს გავაფეტიშებთ, მესიად შევრაცხავთ და მერე აღმოვაჩენთ, რომ, თურმე... ჩვეულებრივი ვინმე ყოფილა; ჩვენიანი? ჩვენიანს ხომ შენდობა არ აქვს: ფეხი თუ გადაუბრუნდა, მორჩა, წასულია იმის საქმე; წარმატებას მიაღწევს და... ასეც უნდა მომხდარიყო-თქო, ვიტყვით. სხვა რამეზე არა, ფეხბურთზე ვსაუბრობთ, კონკრეტულად კი ყველაზე დაუფასებელ ხალხზე - მწვრთნელებზე...

თურმე, ქართველებსაც შესძლებიათ, რომ კარგი მწვრთნელები გამოვიდნენ: აი, თემურ ქეცბაია ამას ხომ მთელ ევროპას უმტკიცებს! სულ მალე კიდევ ერთი უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელიც გვეყოლება - გიორგი დარასელია, ამჟამად ისრაელის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან და პოპულარულ კლუბში (ჰაიფას „მაკაბი") რომ მუშაობს.

...გიორგი დარასელია საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. ყველგან, სადაც კი უთამაშია (ქუთაისის „ტორპედო", ფოთის „კოლხეთი", „სამტრედია"), გუნდის უპირობო ლიდერი გახლდათ. „კლასიკური" ათი ნომერი იყო - მოედნის ჩინებული ხედვით, ეფექტური დრიბლინგით, დიდოსტატური პასებით და... საგოლე ალღოთი გამორჩეული; ჰო, საგოლე ალღოთი - ამპლუით ნახევარმცველს იმდენი გოლი გაჰქონდა, ბევრი ფორვარდი ახლოსაც რომ ვერ მივიდოდა. საქართველოს ჩემპიონატში ჩატარებული რვა სეზონის განმავლობაში 105 გოლი გაიტანა! ნახევარმცველებში კი მასზე უკეთესი შედეგი, თუ არ ვცდებით, ოთარ კორღალიძეს ჰქონდა...

90-იან წლებში თბილისის „დინამო" ჩემპიონობას არავის ანებებდა; ამის გამოც იყო, რომ დარასელია საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორობას სჯერდებოდა. ერთხელ მაინც მოახერხა ინდივიდუალური ტიტულის მოპოვება: 1994-95 წლების სეზონში 26 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

...საქართველოს ნაკრები სანამ ოფიციალური შეხვედრების ჩატარებას დაიწყებდა, გიორგი დარასელია ამ გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელი იყო. კარგად გვახსოვს 1991 წლის 2 ივლისი, როცა საქართველოს ნაკრებმა თავის პირველ გასვლით შეხვედრაში მოლდოვის ნაკრებს მოუგო (4:2). ჩვენი ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა, ცხონებულმა გიგა ნორაკიძემ დარასელიას დიდი ნდობა გამოუცხადა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი უყოყმანოდ ანდო. დარასელიამაც ეს ნდობა გაამართლა და ნაკრებში სადებიუტო შეხვედრაში გოლი გაიტანა! ამის მერე ჩვენმა ნაკრებმა ოთხი მატჩი ჩაატარა და ოთხჯერვე დარასელია ძირითადში იყო (გურჯაანში, აზერბაიჯანთან ამხანაგურ შეხვედრაში გოლიც გაიტანა); მაგრამ, ამის მერე საქართველოს ნაკრებს სათოფეზეც აღარ აკარებდნენ - არადა, საუკეთესო ფორმაში მყოფი ნახევარმცველი, სულ მცირე, შეკრებებზე გამოძახებას მაინც იმსახურებდა.

ოთხი წლის მერე იყო, გიორგი დარასელია საქართველოს ნაკრებს რომ დაუბრუნდა - 1997 წელს, იტალიასთან მატჩში შეცვლაზე შემოვიდა და ურიგო შთაბეჭდილებაც არ დაუტოვებია. ამის მერე კიდევ ორი წელი გავიდა და როცა თბილისში სლოვენიასთან შეხვედრაში შეცვლაზე შემოვიდა, თურმე მისი ბოლო სანაკრებო მატჩიც ვიხილეთ...

...1997 წლიდან გიორგი დარასელია ისრაელშია და შვიდი სეზონის განმავლობაში წარმატებით იცავდა სხვადასხვა გუნდის ღირსებას. აქტიური კარიერის დასრულების მერეც იქ დარჩა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახლა უკვე სამწვრთნელო ასპარეზზეც გავიდა. დანარჩენი კი ალბათ, სჯობს, გიორგი დარასელიასგან შევიტყოთ, ისრაელში გუშინ რომ დავუკავშირდით...

- მეხუთე სეზონია, მწვრთნელად ვმუშაობ; ჯერ ჩემს ყოფილ გუნდებში ვიყავი, ახლა კი ჰაიფას „მაკაბის" მეორე მწვრთნელი ვარ.

**- შესაბამისი ლიცენზია გაქვთ?**

- სხვანაირად აქ ვერც იმუშავებ - B კატეგორია მაქვს და ახლა A-ს კურსებზე ვსწავლობ. თუ არ ვცდები, საქართველოში ამ ლიცენზიას ერთ თვეში იძლევიან, აქ კი სწაველა ერთი წელიწადი გრძელდება, მერე უმკაცრესი გამოცდებია და ასე შემდეგ. თუმცა, სხვანაირად არც გამოვა...

**- თერთმეტი წლის წინ, როცა ისრაელში სათამაშოდ მიდიოდით, იფიქრებდით, ამდენ ხანს მანდ რომ დარჩებოდით?**

- ვიფიქრე, ერთ-ორ სეზონს ვითამაშებ და მერე საქართველოში დავბრუნდები-მეთქი. იმ ერთი-ორს, მერე მესამე და მეოთხე მოჰყვა. ამასობაში ბავშვებიც წამოიზარდნენ და აქაურობასაც შემოვრჩი.

**- ბავშვები ახსენეთ... მართალია, რომ თქვენს უფროს ვაჟს ისრაელის ჭაბუკთა ნაკრებში იწვევენ?**



- სამწუხაროდ, ასეა - უმცროსი გიორგი დარასელია 17 წლისაა და ქვარსაბას „ჰაპოელის" მოზარდთა გუნდში თამაშობს. 18-ის რომ გახდება, მერე ძირითად გუნდში თამაშის უფლებაც ექნება. უკვე მერამდენედ გამოიძახეს ისრაელის ჭაბუკთა ნაკრების შეკრებაზეც, მაგრამ თვითონაც უარზეა და მშობლებსაც გული გვეთანაღრება...

**- გეთანხმებით - ქართველმა საქართველოს ნაკრებში უნდა ითამაშოს. ისე, თბილისში თუ იციან, რომ ისრაელში პერსპექტიული ფეხბურთელი თამაშობს?**

- ჩემი ინფორმაციით, იციან; ხომ შეიძლება, შეხედონ და თუ იტყვიან, რომ ღირსი არ არის, ხმას არ ამოვიღებ. თუმცა, ისრაელში მოსწონთ და იმასაც მაქსიმალურად ცდილობენ, რაც შეიძლება მალე ათამაშონ ნაკრებში - მერე ხომ სხვაგან ასპარეზობის უფლება აღარ ექნება.

**- გიორგი დარასელია-უმცროსი რა პოზიციაზე თამაშობს?**

- ჩემსავით ნახევარმცველია, მაგრამ სხვა სტილის; ასე ვთქვათ, უფრო „მუშა" ფეხბურთელია და ამასთან ორივე ფლანგზეც ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში. ჩემი შვილია და ბევრი საუბარი არ მსურს; უბრალოდ, მინდა, რომ ერთხელ მაინც შანსი მისცენ და ჩემსავით უსამართლოდ არ მოექცნენ...

**- თქვენს სანაკრებო კარიერაზე მერე ვისაუბროთ. ახლა კი ის გვაინტერესებს, თვალს ადევნებთ თუ არა ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს.**

- რა თქმა უნდა, აქედან ყველაფერს ვაკვირდები და გული მტკივა, რომ შედეგი არ გვაქვს. ერთი შეხედვით, ალენ ჟირესი, კლაუს ტოპმიოლერი თუ ექტორ კუპერი ცნობილი პიროვნებები არიან, მაგრამ, ჩემი აზრით, უცხოელი მწვრთნელის დანიშვნა გამოსავალი არ არის. აბა, გავიხსენოთ, ვის უფრო კარგი შედეგი ჰქონდა: ჩივაძეს, ყიფიანს, გუცაევს თუ უცხოელ მწვრთნელებს? ბოლო შესარჩევ ციკლში, მხოლოდ ფარერების ნაკრებს რომ გავასწარით, ამას ქართველი მწვრთნელი ვერ „მიაღწევდა"?

**- თქვენ როგორ ფიქრობთ, სასურველ შედეგს რატომ ვერ ვაღწევთ?**

- ამ კითხვას აქაც ყოველდღე მისვამენ; იმასაც მეუბნებიან - ამდენი ლეგიონერი გყავთ, კარგ გუნდებშიც თამაშობენ და ნაკრები რატომ ვერ თამაშობსო? ალბათ, დროის ფაქტორია, იმედია, ნიჭიერი თაობაც წამოვა. აი, ახლაც, ძალიან გამიხარდა, ქართველმა ახალგაზრდამ ლევან მჭედლიძემ „იუვენტუსის" კარში გოლი რომ გაიტანა...

ჩემი აზრით, ყველაფერი ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა დავიწყოთ და ამ სფეროში საქმის მცოდნე მწვრთნელებმა უნდა იმუშაონ და არა - შემთხვევითმა ხალხმა.

**- გიორგი, თქვენს საფეხბურთო კარიერაზეც ვისაუბროთ. მით უმეტეს, რომ იმ მცირერიცხოვან ფეხბურთელებს მიეკუთვნებით, ვინც ჯერ საკავშირო ჩემპიონატში ითამაშა, მერე კი - საქართველოს ჩემპიონატში.**

- 1988 წელს ქუთაისის „ტორპედოში" ჩავირიცხე და რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით ჯერ საკავშირო მეორე ლიგაში ვთამაშობდი, მერე კი - პირველში. 1989 წლის უმეტესი დრო კი უკვე უმაღლეს ლიგაში - თბილისის „დინამოში" გავატარე, სადაც დავით ყიფიანმა მიმიწვია.

**- გვახსოვს, სრულიად ახალგაზრდას დიუსელდორფის ტრიუმფატორების - ოთარ გაბელიასა და ზაურ სვანაძის გვერდით გიწევდათ თამაში.**

- ამ ორი სახელოვანი ვეტერანის გარდა „დინამოში" დამხვდნენ: გელა კეტაშვილი, სოსო ჭედია, თემურ ქეცბაია, კახა ცხადაძე... ისე, თუ დააკვირდებით, თითქმის ყველა მათგანი დღეს სამწვრთნელო ასპარეზზეა.

**- მერე კი ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო, რომელსაც თქვენ „ქუთაისში" შეხვდით.**

- შესაძლოა, ბევრს ჩემი სიტყვები არ მოეწონოს, მაგრამ დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ ცოტა ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო. სად უფრო ავიმაღლებდით კლასს: კიევის „დინამოსთან" და მოსკოვის „სპარტაკთან" მატჩებში თუ საქართველოს ჩემპიონატში? კი, პირველ, მეორე და მესამე ჩემპიონატს, მართლაც არა უშავდა. მერე კი თქვენც კარგად გემახსოვრებათ, რაც ხდებოდა. აი, ახლაც, გული მტკივა, რომ ქუთაისს, ბათუმს, ლანჩხუთს, ფოთსა და სამტრედიას უმაღლეს ლიგაში გუნდები არ ჰყავთ. დაარქვან ბარემ თბილისის ჩემპიონატი და ეგ იქნება...

**- თბილისშიც, ორი-სამის გარდა, ნორმალური სტადიონი აღარ დარჩა...**

- მთელი უბედურებაც ეგ არის. კი, კარგია, რომ თურმე უბნებში მინი-ფეხბურთის მოედნებს აგებენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩემს მშობლიურ სენაკში, სადაც გაიხედავდით, ყველგან მოედანი იყო; ახლა კი იმათ ადგილას კორპუსებია წამოჭიმული...

**- გიორგი, ერთ ამბავსაც გავიხსენებთ, აქამდე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა: მეექვსე ჩემპიონატის ბოლო ტურში საუკეთესო ბომბარდირობის ორმა კონკურენტმა, თქვენ და მამუკა ხუნდაძემ მეტოქეთა კარში... ცხრა-ცხრა გოლი გაიტანეთ. მერე კი ეს გოლები ორივეს ჩამოგეჭრათ...**

- ფოთის „კოლხეთში" ვთამაშობდი და მანამდე ერთ მატჩში ოთხი ან ხუთი გოლი რომ გამქონდა, არავის უკვირდა. ბოლო ტურში „სამგურალს" ვხვდებოდით, უკვე გავარდნილი იყო და უმოტივაციოდ გვეთამაშებოდა. თანაგუნდელებიც მეხმარებოდნენ - ცდილობდნენ, პასი სულ ჩემთვის მოეცათ და დამიჯერეთ, ის ცხრავე გოლი ალალად გავიტანე. ამ დროს კი ქუთაისში რა ხდებოდა, საიდან უნდა მცოდნოდა?! თურმე, მამუკა ხუნდაძესაც ცხრა გოლი შეუგდია... კიდევ ვიმეორებ, არ ვიცი, ჩემი შედეგი რატომ გაუკვირდათ და ისიც არ ვიცი, რატომ „მომიხსნეს" ეს გოლები. ნაღლო მატჩის კომისარს ვიდეოფირი და ენახა.

**- ისე, იმ სეზონში საუკეთესო ბომბარდირი ხომ მაინც თქვენ გახდით.**

- კი, მაგრამ შეურაცხყოფილი ვიყავი. მაშინ ფეხბურთზე სიმართლეს ვინ იტყოდა? ან იქნებ, ის აეხსნა ვინმეს, თუ რატომ არ მიძახებდნენ საქართველოს ნაკრებში; და ასე გრძელდებოდა ოთხი წელიწადი...

**- თქვენ როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?**

- არ ვიცი, ეგ ალექსანდრე ჩივაძეს უნდა ჰკითხოთ - რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი, მაგრამ შანსს არ მაძლევდა. ეგ კი არა, მახსოვს, ბინძური ჭორიც გაავრცელეს ჩემზე - ნარკომანი არისო; არადა, 40 წლის გავხდი ახლახან და ცხოვრებაში ერთი ღერი სიგარეტიც არ მომიწევია...

...მიზეზიო, მკითხეთ და არც არასოდეს გამომიკითხავს; მე ხომ ვიცი, რომ საკუთარ თავთან მართალი ვარ და ზოგიერთმა თავის გულში ჩაიხედოს...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


რამონ დომენეკი და ვილიამ გალასი

საფრანგეთი

# გალასი დომენეკს ქომაგობს

საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები **რაიმონ დომენეკის** გვერდში დგანან. ეს განცხადება **ვილიამ გალასმა** გააკეთა. "არსენალის" კაპიტანმა ფრანგების ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა და მოსიე დომენეკს, თანაგუნდელების სახელით, სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

გასულ ზაფხულს, "ლურჯებმა" ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახეს. მთავარი მწვრთნელის პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა. სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებმა მისი სკამი უფრო მეტად შეარყია. შეგახსენებთ, საფრანგეთმა სენსაციური მარცხი იწვნია ავსტრიასთან (1:3) და გაჭირვებით მოუგო სერბეთს (2:1).

მაგრამ დომენეკს ფეხბურთელთა ნდობა არ დაუკარგავს. გალასი ამბობს, შესარჩევი ტურნირი მასთან ერთად დავიწყეთ და მასთან ერთად უნდა დავასრულოთო: *"ზეწოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესუსტდება, თუ გავიმარჯვებთ. ყველაფერს ვილონებთ, რათა ქულათა მაქსიმუმი დავაგროვოთ."*

შაბათს ფრანგები რუმინეთს ეთამაშებიან. თუ ისინი ვერ მოიგებენ, დომენეკს თანამდებობის შენარჩუნება გაუჭირდება. მატჩიდან ოთხი დღის შემდეგ, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის საგანგებო სხდომა გაიმართება. სხდომაზე განვლილ სამ შეხვედრას შეაფასებენ და სამოქმედო გეგმას დასახავენ. იმავე დღეს გადაწყდება დომენეკის ბედიც.

გალასი: *"არა მგონია, მწვრთნელის შეცვლამ ყველა პრობლემა ერთბაშად მოაგვაროს. ვინ იტყვის, რომ ყველაფერი დომენეკის ბრალია? არავინ. მე პირადად სტაბილურობის მომხრე ვარ. თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოვხვდებით, მწვრთნელის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, მაგრამ არამც და არამც, შესარჩევი ციკლის დასრულებამდე."*

რუსეთი

# პავლიუჩენკო ისვენებს

**რომან პავლიუჩენკოს** ორი სანაკრებო მატჩი გაუცდება. ის გასულ უქმეებზე, "ჰალ სიტისთან" შეხვედრისას (0:1) დაშავდა. თავდამსხმელმა სამკვირიანი შვებულება გამოიწერა. ის გერმანიისა და ფინეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

რუსეთის ნაკრების თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** "ლოკომოტივის" ფორვარდი **დმიტრი სიჩოვი** გამოიძახა. გუნდში ერთი ახალწვეულია - სიჩოვის თანაგუნდელი, ცენტრალური ნახევარმცველი **დენის გლუშაკოვი**. ამ უკანასკნელს **დმიტრი ტორბინსკის** შეცვლა დაევალება. ლოკომოტიველი ნახევარმცველი საზარდულს იტკიებს. მისი დორტმუნდში გამგზავრება საეჭვოა.

ჰიდინკის საკადრო პრობლემები ამით არ ამოიწურება. ვერ ითამაშებს მცველი **დენის კოლოდინი**. მან კოჭი იტკინა და ახალ წლამდე ვერ დაბრუნდება. რუსების ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე **დინიარ ბილიალეტდინოვი** დაშავდა. მან ვარჯიში ნაადრევად შეწყვიტა და გასახდელში გაუჩინარდა. უცნობია, მოახერხებს თუ არა ფეხბურთელი შაბათამდე გამოჯანმრთელებას.

ორი ტურის შემდეგ, ჯგუფში პირველი ადგილი გერმანელებს უჭირავთ. მათ ოთხი ქულა აქვთ. რუსებმა ერთი მატჩი გამართეს და სამი ქულით მეორე ადგილზე იმყოფებიან. ცნობისათვის, ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის გამო, რუსეთმა ფიფას სანაკრებო რეიტინგში მე-9 ადგილამდე აინაცვლა.

ამბები

## პორტუგალია ოთხი ლიდერის გარეშე

პორტუგალიას საკადრო პრობლემები შეექმნა. შვედეთსა და ალბანეთთან მომავალ მატჩებში ორი საუკეთესო ნახევარმცველი, **მანიშე** და **დეკუ** ვერ ითამაშებენ. ფეხბურთელები გასულ უქმეებზე დაშავდნენ. ტრავმების მიუხედავად, **კარლუშ კეიროშმა** ისინი შეკრებაზე გამოიძახა. ექიმებმა მათ საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაუტარეს. ვარსკვლავების ასპარეზობა კატეგორიულად გამოირიცხა. პორტუგალიას კიდევ ორი ფეხბურთელი - **რიკარდო კარვალიო** და **სიმაო საბროსა** ვერ დაეხმარება. ორი მატჩის შემდეგ, კეიროშის შეგირდებს სამი ქულა აქვთ. პორტუგალიას ჯგუფში მოკრძალებული მეოთხე ადგილი უჭირავს. ის შვედეთს სტუმრად, სტოკჰოლმში შეხვდება, ალბანეთს კი შინ, ბრაგაში მიიღებს.

## პოლანდია შესუსტებული შემადგენლობით

**რობინ ვან პერსი** ისლანდიასთან შაბათის მატჩს გამოტოვებს. ჰოლანდიის ნაკრებისა და "არსენალის" თავდამსხმელს მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი. მომავალ ოთხშაბათს, ჰოლანდიელები ნორვეგიას შეხვდებიან. "ნარინჯისფერთა" თავკაც **ბერტ ვან მარვიიკს** იმედი აქვს, რომ ვან პერსი იმ თამაშამდე მაინც გამოჯანმრთელდება. ჰოლანდიას სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. დაშავებული ფეხბურთელების სია საკმაოდ წარმომადგენლობითია. **არიენ რობენი, იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ვილფრედ ბუმა, ხალიდ ბულარუზი, მაარტენ სტეკელენბურგი, ჰენკ ტიმერი** - აი, იმ მოთამაშეთა ჩამონათვალი, რომელთაც მომდევნო მატჩები ტრავმების გამო გაუცდებათ. სტეკელენბურგისა და ტიმერის ავადმყოფობამ ვან მარვიიკი აიძულა, **ედვინ ვან დერ სარისათვის** მიემართა. "მანჩესტერ იუნაიტედის" გოლკიპერი ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა. მან გუნდის პრობლემები გულთან მიიტანა და დათანხმდა, ეროვნულ გუნდს მხოლოდ ორი მატჩით დაუბრუნდეს. აქვე გეტყვით, რომ საეჭვოა მადრიდის "ატლეტიკოს" მცველის, **ჯონი ჰეიტინგას** ასპარეზობაც.

## დანიელთა სერიოზული დანაკლისი

დანიის ნაკრებს "ფიორენტინის" თავდამსხმელი **მარტინ იორგენსენი** ვერ დაეხმარება. შაბათს დანიელები მალტას შეხვდებიან. 33 წლის ფეხბურთელი დაშავებულია და ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფება. იორგენსენის გარდა, საეჭვოა ნამყვანი თავდამსხმელების - **იონ-დალ ტომასონისა** ("ფეიენოორდი") და **ნიკლას ბენდტნერის** ("არსენალი") ასპარეზობა. ტერფის ტრავმა აწუხებს კიდევ ერთ ფიორენტინელს, გამოცდილ მცველ **პერ კროლდრუპს**. ამიტომ მალტასთან შეხვედრა მასაც გაუცდება.

ესპანეთის ნაკრები

# დელ ბოსკე ცვლილებებს ამზადებს

## ჩაბი ალონსო სენას ჩაანაცვლებს, კასილიასი კი რეინას დაუთმობს ადგილს

ესპანეთის ნაკრები 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადებას შეუდგა. **ვისენტე დელ ბოსკეს** ძალიან ცოტა დრო აქვს და შესარჩევი შეხვედრების მოსაგებად საჭირო ტაქტიკის შედგენას დაუყოვნებლივ შეუდგა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „სელექსიონი" ორი საყრდენი ნახევარმცველით იასპარეზებს. სენიორ დელ ბოსკე ესტონეთთან, ალბათ, **ჩავი ერნანდესისა** და **ჩაბი ალონსოს** იმედად იქნება. „ლივერპულის" ნახევარმცველი, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი ფეხბურთელია, მაგრამ სპეციალისტებისთვის ბატონი ვისენტეს ჩანაფიქრი ფრიად გაუგებარია. ესპანეთს ხომ **მარკოს სენა** ჰყავს. კაცი, რომელმაც „სელექსიონს" ევრო-2008-ზე უდიდესი დახმარება გაუწია. სენას კვალიფიკაცია ახალი სანაკრებო სეზონის დაწყების შემდეგაც არ დამდგარა ეჭვქვეშ, თუმცა ამჯერად, დელ ბოსკე ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ სწორედ ალონსოს ამზადებს. ესპანელი ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ არაფერი ეშლებათ. ლივერპულელს დელ ბოსკე მთელი სერიოზულობით ამზადებს. მათი თქმით, ასე მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის ბიჭებს ავარჯიშებენ. ოთხშაბათის ვარჯიშის დასრულების შემდეგ „სელექსიონის" დამრიგებელმა ხანმოკლე პრესკონფერენცია გამართა და სწორედ ნახევარდაცვაში მოსალოდნელ ცვლილებაზე ისაუბრა: *„არ გამოვრიცხავ, ჩაბი ალონსო მართლაც ძირითად შემადგენლობაში დავაყენო. თუ ასე მოხდება, ყველას ვთხოვ, რომ სპეკულაციები არ დაიწყოს. ვიცი, ცდუნება დიდი იქნება. უინტრიგო სტატია დიდად არაფრით გამოირჩევა, თუმცა სულ სხვაა, როცა დაწერ, დელ ბოსკემ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი, მარკოს სენა ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდოო. სენსაციების მოყვარულმა ჟურნალისტებმა ორი გარემოება უნდა გაითვალისწინონ: ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, მინდა, ჩაბი ალონსოს შანსი მივცე, თუმცა საბოლოოდ მართლა არ ჩამოვყალიბებულვარ. და მეორე, ნაკრები ყველასია, ჩაბი შესანიშნავი ბიჭია და ვარჯიშით თავს იკლავს. დასამალი არ არის, რომ ესპანეთი მომდევნო ორ შეხვედრაში ფავორიტი იქნება. ამიტომ, გარკვეული ცვლილებების განხორციელება სარისკო სულაც არ იქნება."*


ესპანელთა ძირითადში მარკოს სენას (მარჯვნივ) ადგილს ჩაბი ალონსო დაიკავებს

დელ ბოსკე იმ სპეციალისტთა კატეგორიას არ განეკუთვნება, რომლებისთვისაც ტაქტიკური, ან საკადრო ცვლილებების განხორციელება სუიციდივით მომაკვდინებელია. ასეთი მწვრთნელები ლაბირინთში იკარგებიან და მერე მათ მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებს ნანობენ ხოლმე. მოკლედ, ბატონი ვისენტე ნებისმიერ ცვლილებას უპრობლემოდ განახორციელებს, მისთვის მთავარი პრობლემა მხოლოდ ტრავმები შეიძლება გახდეს. დელ ბოსკე სწორედ ამაზე წუხს. „სელექსიონის" დამრიგებელი ძალიან ნერვიულობს, რომ ტრავმირებული **რაულ ალბიოლი** ვარჯიშს ისევ ვერ ახერხებს. სხვათა შორის, მწვრთნელმა ვალენსიელი ნაკრებში მაშინ გამოიძახა, როცა ფეხი უკვე ნატკენი ჰქონდა. ის „ღამურების" ექიმებს ენდო, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ალბიოლი მაქსიმუმ სამშაბათს მწყობრში იქნებოდა. რეალურად კი მან ოთხშაბათსაც ვერ ივარჯიშა. მთავარმა მწვრთნელმა ალბიოლთან დაკავშირებით გადაწყვეტილება დღეს უნდა მიიღოს. თუ ის, ხუთშაბათსაც ვერ ივარჯიშებს, რა თქმა უნდა, შაბათს მოედანზე გასვლის შანსს დაკარგავს. „სელექსიონს" **დიეგო კაპელის** ტრავმამ კიდევ ერთი პრობლემა შეუქმნა. „სევილიის" ნახევარმცველს ფეხი ისე ტკივა, რომ ძუნძულსაც ვერ ახერხებს. სენიორ ვისენტემ ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, **რიერაზე** გააკეთოს არჩევანი. სავარაუდოა, რომ ანდალუსიელს სწორედ ის შეცვლის. რიერამ ოთხშაბათს ნაყოფიერად იმუშავა. მწვრთნელი ალონსოს და მას საგულდაგულოდ აკვირდებოდა და მითითებებს აძლევდა.

ესპანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ესტონეთთან მატჩში, „სელექსიონში" ყველაზე დიდი წარმომადგენლობა „ლივერპულს" ეყოლება. ჩვენი კოლეგები თითქმის 100 პროცენტით არიან დარწმუნებული, რომ **არბელოა**, ჩაბი ალონსო და **ტორესი** ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებენ. პრინციპში, აქ არაფერია გასაკვირი. აი, **პეპე რეინას** სასტარტოში გამოჩენა კი მართლაც დიდი სიურპრიზი იქნება. არადა, „დიარიო მარკა" სრული სერიოზულობით წერს, რომ დელ ბოსკე „წითელი ეშმაკების" გოლკიპერს შესაძლებლობების დემონსტრირების შანსს მისცემს. როგორც ჩანს, სენიორ ვისენტე ესტონეთს სრულფასოვან და სერიოზულ მოწინააღმდეგედ არ აღიქვამს. ის გამარჯვებაში 100 პროცენტით რომ არ იყოს დარწმუნებული, **იკერ კასილიასის** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგებოდა. კაცმა რომ თქვას, ესპანელთა თავკაცის გეგმები სულაც არ არის საღ აზრს მოკლებული. რატომ არ უნდა ითამაშოს რეინამ? ესტონეთი მართლაც არ არის გრანდი და სასწაული უნდა მოხდეს, რომ პირენეელებს თუნდაც ქულა აართვას. კასილიასის როლი ესპანეთის ნაკრებში დიდი ხანია გარკვეულია, თუმცა იკერს კარგად მომზადებული დუბლიორი სჭირდება. ესტონეთთან მატჩი საუკეთესო შესაძლებლობაა იმისთვის, რომ პეპე რეინამ ეროვნული გუნდის წევრად იგრძნოს თავი და მისი მაისურით თამაშს შეეჩვიოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ფეხბურთელი არჩევანის წინაშე

# თერიმს იოზილი უნდა

## მესუთმა კი უნდა აირჩიოს: გერმანია ან თურქეთი

რომელი ქვეყნისთვის ძგერს ბრემენის "ვერდერის" 19 წლის ფლეიმეიქერის, **მესუთ იოზილის** გული? მისი სამშობლო თურქეთია, თუმცა გერმანიაში გაიზარდა და ამ ქვეყნის მოქალაქეობა აქვს. იოზილს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებებში არაერთი მატჩი აქვს ჩატარებული და ახლაც, 21-წლამდელთა ნაკრების ლიდერია.

თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფათიჰ თერიმი** ძალიან მონდომებულია იოზილის გადაბირებით. მესუთი ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაშია და ცხადია, თერიმს მისი კარგი თამაში არ გამოეპარა. ამიტომაც სურს მას იოზილის თურქეთის ეროვნულ ნაკრებში გამოძახება და ახლა ფეხბურთელისგან პასუხს ელის. თურქები მესუთს ადრეც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მაშინ ფეხბურთელმა გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაში ამჯობინა.

*"იოზილმა მითხრა, რომ მას მოსაფიქრებლად დრო სჭირდება. უახლოეს მომავალში მისგან პასუხს ველით. პირადად მე ძალიან მინდა, რომ გადაწყვეტილება თავისი სამშობლოს, თურქეთის სასარგებლოდ მიიღოს. ჩვენ ასეთი ტალანტების დაკარგვის უფლება არ გვაქვს,"* – ამბობს თურქთა დამრიგებელი.

ფაქტი ის არის, რომ გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** იოზილის გამოძახება ჯერ აზრადაც კი არ მოსვლია. შესაძლოა, ამ ფაქტმაც იქონიოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. გერმანელი ექსპერტები უკვე ფიქრობენ, რომ იოგი ძალიან აგვიანებს და რომ იოზილი ბუნდესგუნდში უნდა იქნას გამოძახებული. თვითონ ფეხბურთელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებთან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. ის გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ემზადება. ფაქტია, რომ რაკი მას გერმანიის ეროვნულ ნაკრებში არ უთამაშია, თურქეთის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების უფლება აქვს. ვნახოთ, დაურეკავს თუ არა მას **იოახიმ ლიოვი**...


მესუთ იოზილმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ბუნდესნაკრების მაისურის მორგება

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისური და იტალიური სააგენტოები რაფაელ ბენიტესს ტურინში გამგზავრებას უწინასწარმეტყველებენ

ბებერი ქალბატონი

# ბენიტესი იუვენტუსში?

## მოჯი ბიანკონერის მმართველებს მისდგა. ტურინში თავადაც დარწმუნდნენ, რომ ახალი ფეხბურთელებისა და მწვრთნელის გარეშე შორს ვერ გაფრინდებიან...

მიუხედავად იმისა, რომ სანაკრებო ბატალიები მოახლოვდა, „იუვენტუსის“ კრიზისი იტალიაში კვლავაც ნომერი პირველი სალაპარაკო თემაა. „ბებერი ქალბატონის“ რთულ მდგომარეობაზე უკვე არაერთმა საფეხბურთო მოღვაწემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, მათ შორის გახლავთ **ლუჩანო მოჯი.** ვგონებთ, შეხსენება არ გჭირდებათ, რომ „ლუჩანონე“ ერთ დროს ტურინულ გრანდის გენერალური მენეჯერი იყო და თუ „კალჩოპოლის“ სკანდალს არ ჩავთვლით, საკმაოდ წარმატებულიც. მოჯიმ „იუვეს“ დღევანდელ მდგომარეობაზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა, მისი ნააზრევი თითქმის ყველა იტალიურმა სპორტულმა გაზეთმა დაბეჭდა:

*„ტურინული კლუბიდან დიდი ხანია, რაც წამოსული ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „იუვენტუსზე“ გული არ შემტკივა. ვცდილობ, არც ერთი თამაში არ გამოვტოვო და ყურადღებით მივადევნო თვალი საყვარელი გუნდის ასპარეზობას. ამ სეზონში „იუვე“ ვერ არის მონოდების სიმაღლეზე და ეს სხვებთან ერთად, მეც ცუდ გუნებაზე მაყენებს. ვინ არის ამაში დამნაშავე? - უპირველესად კლუბის ამჟამინდელი ხელმძღვანელები. ჩასაფრებულის პოზიციიდან არ ვსაუბრობ, ეს მართლაც ასეა და სიმართლის დამალვას აზრი არ აქვს. გარწმუნებთ, თავისუფლად შეიძლებოდა „იუვენტუსში“ გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთელების მოყვანა და შედეგად, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. დღეს კი რას ვხედავთ?! ამ გუნდს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და ეს შედეგზეც აისახება. გნებავთ კონკრეტიკა? - მხოლოდ ერთს ვიტყვი, აბსოლუტური სისულელე იყო გუნდიდან ადრიან მუტუს გაშვება. რუმინელის კალიბრის თავდამსხმელი მსოფლიოში ბევრი არაა და მას მოფრთხილება სჭირდებოდა. როდესაც „იუვენტუსის“ მმართველი ხარ, შენი მილიონი სხვის 10 მილიონს უდრის და ამას გუნდის დღევანდელი მესვეურები არ ითვალისწინებენ. ნუთუ, არ შეიძლებოდა სეზონის წინ რამდენიმე ექსტრაკლასის ფეხბურთელის გადაბირება?! დამერწმუნეთ, ეს სრულიად შესაძლებელი გახლდათ. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც სეზონის წინ „იუვე“ გააძლიერა, კარვალიო ამაურია. ეს კი საკმარისი ნამდვილად არაა. მაინცდამაინც არც რანიერით ვარ აღფრთოვანებული, მის საფეხბურთო ფილოსოფიას ვერაფერი გავუგე. დეტალებზე არ ვილაპარაკებ, მხოლოდ ის ამიხსენით, რატომ არ თამაშობს მაურო კამორანეზი ჩვეულ პოზიციაზე? ერთი სიტყვით, „ბიანკონერიში“ ბევრი რამეა შესაცვლელი და თანაც, რაც შეიძლება, უმოკლეს დროში“.*

სიტყვამ მოიტანა და, იტალიელი ექსპერტების აზრით, „იუვეს“ მწვრთნელის პოსტზე **კლაუდიო რანიერის** დღეები დათვლილია. მის სავარაუდო შემცვლელად რამდენიმე სპეციალისტის კანდიდატურა სახელდება, ყველაზე ხშირად **დიდიე დეშამის, ჩირო ფერარასა** და **რობერტო დონადონის** გვარებს გაიგონებთ. გუშინ კი მეტად საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა - ჟურნალისტთა მტკიცებით, „იუვეს“ მესვეურები აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ „ლივერპულის“ დამრიგებელ **რაფაელ ბენიტესთან.** თუ ყველაფერი **ჯოვანი კობოლი ჯილის** გეგმის მიხედვით მოხდა, ესპანელი ტაქტიკოსი „ბებერ ქალბატონს“ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ჩაიბარებს, მანამდე კი გუნდს ჩირო ფერარა გაუძღვება. იტალიაში უკვე დარწმუნებით აცხადებენ, რომ რანიერის ბოლო შანსი სერია A-ს მომდევნო ტურია და თუ „იუვემ“ კიდევ წაიფორხილა, „ბიანკონერის“ მწვრთნელის სკამს უმალ ფერარა დაიკავებს.

რაც შეეხება ბენიტესს, მას „ლივერპულთან“ კონტრაქტით კიდევ 18 თვე აკავშირებს. მიუხედავად ამისა, ესპანელმა მერსისაიდული კლუბის ხელმძღვანელებს ხელშეკრულების გახანგრძლივება მოსთხოვა, რაზეც დადებითი პასუხი ჯერაც არ მიუღია. ჟურნალისტთა მტკიცებით, რაფა ამ ფაქტმა მეტისმეტად გაანაწყენა და სერიოზულად დააფიქრა ნავსაყუდლის შეცვლაზე.

მწვრთნელი იქით იყოს და, გუნდში რომ ახალი ფეხბურთელების მიყვანაა საჭირო, ამაში კობოლი ჯილიც დარწმუნდა და ამ ფრონტზე ერთობ გააქტიურდა. „იუვენტუსის“ თვალთახედვის არეში ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი მოხვდა. მათ შორის გახლავთ ცსკა-ს ნახევარმცველი **იური ჟირკოვი.** „ტუტოსპორტის“ ცნობით, რუსი ფეხბურთელი პაველ ნედვედის შემცვლელად მოიაზრება. ჩეხი ნახევარმცველი ახალგაზრდულ ასაკს დიდი ხანია გადასცდა და მისი სათამაშო კონდიცია „იუვეს“ კალიბრის გუნდისთვის შეუფერებელია. „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელებს **ჯუზეპე როსის** გადაბირებაც ნდომებიათ და მიზნის მიღწევას ზამთარში შეეცდებიან. თუმცა, საქმეს ის ართულებს, რომ იტალიელს „ვილიარეალთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში აქვს ნათამაშები და ტურინში გადაბარების შემთხვევაში, ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში ასპარეზობის უფლებას არ დართავენ.

სხვათა შორის, ბეპე როსი **მარჩელო ლიპიმ** იმ ფეხბურთელთა შორის დაასახელა, რომლებსაც 11 და 15 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შეხვედრებში დაეყრდნობა. ჯოვანი კობოლი ჯილიმ სატრანსფერო საკითხზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„ვადასტურებ, რომ ზამთარში რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებას შევეცდებით. კიდევ უფრო მეტად ვიაქტიურებთ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას, ეს კრიზისის გამო არ გადაგვიწყვეტია, თავიდანვე ასე გვქონდა დაგეგმილი. გამოგიტყდებით, არ მეგონა, „იუვეს“ მართვა ასეთი რთული თუ იქნებოდა. აქამდე ყველაფერი მშვიდად იყო - ჩავარდნა დაგვეწყო თუ არა, მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. ვიტოვებ იმედს, რომ ვითარებას უმოკლეს დროში გამოვასწორებთ. რაც შეეხება ჯუზეპე როსის, ის შესანიშნავი ფეხბურთელია და დიდი სიამოვნებით ვიხილავდი „იუვენტუსში, თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა“.*

იტალიელი ჟურნალისტები თავად ფეხბურთელსაც შეეხმიანნენ და როსიმაც საკმაოდ საინტერესო კომენტარი გააკეთა: *„დღეს „ვილიარეალის“ ფეხბურთელი ვარ და ვცდილობ, კონცენტრაცია უახლოეს შეხვედრებზე მოვახდინო. თანაც, ჯერჯერობით, ტურინული კლუბიდან არავინ შემხმიანებია და ბუნებრივია, „იუვენტუსში“ გადასვლაზე ვერც ვიფიქრებ. ისე კი „ბიანკონერი“ დიდად მესიმპათიურება და თუ წინადადება იქნება, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. ისეთ დიად გუნდში თამაში, როგორიც „იუვენტუსია“, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია“.*

ერთი სიტყვით, ტურინში დარწმუნდნენ, რომ შემადგენლობის გაძლიერების გარეშე, შორს ვერ გაფრინდებიან. თუმცა მანამდე მთავარი მწვრთნელის საკითხია გადასაწყვეტი.

ვარსკვლავი

# რონალდინიო: სერია პრიმერაზე მაღლა დგას

## ბრაზილიელ ვარსკვლავს სახეზე ღიმილი დაუბრუნდა...

„მილანში“ გადასვლის შემდეგ, **რონალდინიო** ისევ იღიმის, ისევ კარგ ხასიათზეა და ისევ ტკბება ფეხბურთით - წერს „კორიერე“ და ძნელია ამ ავტორიტეტულ გამოცემას არ დავეთანხმოთ. ბრაზილიელმა მართლაც დაიბრუნა საფირმო ღიმილი და ჩვეულ ფინტებსაც ძველი ენთუზიაზმით აკეთებს. გაუჩოს შემობრუნების მთავარი მიზეზი კი, რა თქმა უნდა, „როსონერია“. გუშინ, იტალიელ ჟურნალისტებს, რონალდინიო ახალ კლუბსა და მის იტალიურ შთაბეჭდილებებზე ესაუბრა:

*"რა განსხვავებაა იტალიის და ესპანეთის ჩემპიონატებს შორის? - ძალიან დიდი. ვეცდები, უფრო დავკონკრეტდე. სერია A გაცილებით მაღალი დონის პირველობაა, ვიდრე პრიმერა და ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. არაერთი წელი მაქვს გატარებული „ბარსელონაში“ და ვიცი, რას ნიშნავს პირენეებზე ბურთაობა. კატალონიურ გუნდთან ერთად არაერთი მატჩი მომიგია ისე, რომ არც კი დავღლილვარ. მეტოქეთა უმეტესობა წინააღმდეგობას ვერ გიწევს და იოლად გნებდება. იტალიაში კი სრულიად საპირისპირო ვითარებაა. პირველსავე შეხვედრაში შინ „ბოლონიასთან“ დავმარცხდით, უკანასკნელ ტურში კი ბოლოადგილოსან „კალიარის“ ვერაფერი დავაკელით. ამ გუნდებთან სისხლის ბოლო წვეთამდე უნდა იბრძოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში უქულოდ დარჩები..."*

*"სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ ტიფოზებით, ისინი ერთ წუთსაც არ ჩერდებიან და მუდამ მღერიან. ასეთი რამ ესპანეთში არ ხდება, პირინეულ სტადიონებზე თავი თეატრში გეგონებათ. ორ სხვადასხვა კულტურასთან გვაქვს საქმე და მე, როგორც ფეხბურთელს, ინჩასებს ტიფოზები მირჩევნია. განსაკუთრებული მადლობა „მილანის“ გულშემატკივრებს, ასეთ თბილ დახვედრას ნამდვილად არ ველოდი და სიმართლე გითხრათ, ასეთი დაფასების ფონზე თავს ხშირად უხერხულადაც კი ვგრძნობ..."*

*„ინტერის“ კარში გატანილი გოლი არასდროს დამავიწყდება. ეს იყო ფანტასტიკური მატჩი, რომლის მსგავსიც არასდროს მინახავს. შეხვედრის წინ ქალაქში წარმოუდგენელი ატმოსფერო იყო შექმნილი. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მატჩი სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო და ამან ცოტათი შემაშინა კიდეც. ცალკე სალაპარაკო თემაა სტადიონზე არსებული ატმოსფერო, ტიფოზები ერთი წუთითაც არ გაჩერებულან, რაც ყველას ძალას გვმატებდა. გოლის შემდეგ მათ მიერ წამოწყებული სიმღერა ახლაც ჩამესმის ყურში და ტანში ჟრუანტელი მივლის..."*

*„მილანში“ თავს იდეალურად ვგრძნობ და წასვლას აღარსად ვაპირებ. უდიდეს კლუბში ვირიცხები, ბრწყინვალე გულშემატკივრებისთვის ვთამაშობ და ჩემი მეგობრების გვერდით მიწევს ყოფნა. ამაზე კარგი რა უნდა იყოს? - არც არაფერი..."*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**




რონალდინიო იტალიაში გაცილებით უკეთ გრძნობს თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# ისტორია ზაგრებში არ დაწყებულა...




თეო უოლკოტის ისტორია მოულოდნელად დაიწყო. მასზე, როგორც ამომავალ ვარსკვლავზე ლაპარაკს მისთვის ადრეულ ასაკში შეუდგნენ. მართალია, თეო ლონდონში დაიბადა, მაგრამ ბერკშირის საგრაფოს პატარა სოფელ კომპტონში იზრდებოდა (1500 მცხოვრები). ფეხბურთელმა ბურთის გორება კომპტონთან ახლოს, ქალაქ ნიუბერის გუნდში დაიწყო და პირველსავე სეზონში 100 გოლის გატანა მოახერხა. ასეთმა შედეგმა, რა თქმა უნდა, სხვა, შედარებით პოპულარული გუნდების ყურადღება მიიპყრო. "ნიუბერიში" ერთი წლის გატარების შემდეგ, მან "სუინდონ თაუნს" მიაშურა. თეო ჯერ კიდევ 14 წლის იყო, როცა ამერიკულმა გიგანტმა "ნაიკმა" უაღრესად სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. 2004 წელს ფორვარდი "საუთჰემპტონმა" გადაიბირა, ხოლო 2006 წლის იანვარში ფეხბურთელი ლონდონის "არსენალში" გადაბარგდა. აი, აქედან უკვე ის ამბავი იწყება, რასაც ფეხბურთის გულშემატკივარი მეტ-ნაკლებად იცნობს. **ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, როცა ფეხბურთელები ჯერ კიდევ თინეიჯერულ ასაკში დალვინებულ, ასაკისთვის "შეუფერებლად" გამართულ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ ფულს, ძვირად ღირებულ მანქანებს, სასმელს, ცხოვრების წესის არევას, ისინი, როგორც პროფესიონალები, საბოლოოდ მიუყვანია დალუპვამდე. "თაიმსის" კორესპონდენტი დარწმუნებულია, რომ უოლკოტს "ვარსკვლავური სახადი" არ ემუქრება, რადგან თეო მიწაზე მყარად დგას. ინგლისის ნაკრების იუნიორ წევრს შესანიშნავად ესმის პასუხისმგებლობის მთელი ის სიმძიმე, რასაც მას დღევანდელი მდგომარეობა აკისრებს.**

2006 წლის ივნისი. ბადენ-ვიურტემბერგის მიწის სახელოვანი კურორტი ბადენ-ბადენი. სასტუმრო "ჰემილტონზი" დამსვენებლებისთვის ნამდვილ ოაზისად იყო ქცეული. მასში კი მხოლოდ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ცხოვრობდნენ. "ჰემილტონზი" მდინარე ოოსის ნაპირასაა განთავსებული. რამდენიმე ასეულ მეტრში, სასტუმრო "ბრენერზ პარკ ჰოტელში" ფეხბურთელების ცოლები და მეგობარი გოგონები ცხოვრობდნენ. ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრის საგულშემატკივროდ მთელი "კლანი" ჩამოვიდა. ლაპარაკია **თეო უოლკოტზე**. "დელეგაციის" ხელმძღვანელებმა **დონ** და **ლინ უოლკოტებმა** უარი თქვეს ნაკრების ფეხბურთელთა ოჯახის წევრებთან ერთად დაბინავებაზე ხსენებულ ოტელში ელემენტარული მიზეზის გამო - იქ ერთი ნომერი საშუალოდ 1000 გირვანქა ღირდა, მათ კი ამის საშუალება ნამდვილად არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ თეო უკვე "არსენალის" ფეხბურთელი იყო და კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მოკრძალებული ანაზღაურების გამო, მისი ოჯახი ასეთი ფუფუნების უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემდა. უოლკოტები ბადენ-ბადენის ცენტრში საკმაოდ კომფორტულ, პატარა სასტუმროში დაბინავდნენ. გარდა დედ-მამისა, გერმანიაში ფეხბურთელის მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ უფროსი ძმა **ეშლი**, და **ჰოლი** და წლინახევრის დისშვილი **სებასტიანი**; ასევე - თეოს მეგობარი გოგონა **მელანი**. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას თეოს ოჯახის წევრები გერმანიაში გასამგზავრებელთა სიაში არც გაუთვალისწინებია. დღეს ასეთი რამის წარმოდგენა უკვე შეუძლებელია, რადგან 19 წლის ფეხბურთელი ინგლისის ნაკრებისთვის უკვე ძალიან ძვირფას ფეხბურთელად მიიჩნევა, მით უფრო - 10 სექტემბრის მატჩის შემდეგ. ფეხბურთის გულშემატკივარს იმის შეხსენება ნამდვილად არ სჭირდება, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისის ნაკრებისთვის ხსენებულ შეხვედრას. ზაგრების "მაქსიმირის" ტრიბუნაზე ხორვატ გულშემატკივართა შორის ისხდნენ თეოს მამა დონი და მისი ძველისძველი მეგობარი, არსენალელის აგენტი **უორვიკ ჰორტონი**. მიუხედავად გარემოცვისა, ისინი ინგლისის ნაკრების გოლებს განსაკუთრებულად ხმამაღლა ალნიშნავდნენ. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოთხიდან სამი თეომ გაიტანა, განსაკუთრებული ემოციურობის მიზეზი უფრო ნათელი ხდება. **ფაბიო კაპელოსა** და თეო უოლკოტის რწმენამ თავისი გაიტანა. პირველმა გარისკა ასეთ დაძაბულ შეხვედრაში ჯერ კიდევ გამოუცდელი ფეხბურთელის დაყენება, მეორემ კი ბოლომდე გაამართლა იტალიელი ტაქტიკოსის იმედები. გარდა ამისა, ფორვარდმა ყველა იმ ადამიანს, ვინც მის შესაძლებლობებს ეჭვქვეშ აყენებდა, კოვზი ნაცარში ჩაუგდო.

ბედი ფეხბურთელს დღემდე დიდად არ ანებივრებდა. მის გოლებსა თუ საგოლე პასებს "არსენალის" რიგებში ხშირად შედეგი არ მოჰყოლია. ვეცდებით, მისხალ-მისხალ გავიხსენოთ: თეომ პირველი გოლი "მეთოფეების" შემადგენლობაში 2007 წელს "ჩელსისთან" ლიგის თასის ფინალში გაიტანა, მაგრამ "არისტოკრატებმა" არათუ ანგარიში გაათანაბრეს, თამაში სულაც მოიგეს და თასს დამსახურებულად დაეუფლნენ. პრემიერლიგაში პირველ გოლს თეომ მეორეც მიაყოლა, ეს "ბირმინგემთან" "სენტ ენდრიუზე" გამართულ შეხვედრაში მოხდა, მაგრამ თამაში "მეთოფეთა" ისტორიაში უფრო იმითი შევიდა, რომ მასპინძელი **მარტინ ტეილორი ედუარდო და სილვას** მინდორზე ჯალათივით მოექცა და კინალამ ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელის კარიერა შეიწირა. საბოლოოდ მხარეები 2:2-ზე გაიყარნენ. გასულ წელს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "ლივერპული"-"არსენალის" დაპირისპირებაში უოლკოტის ბრწყინვალე ფლანგურ გარღვევასა და **ემანუელ ადებაიორის** მიმართ გაკეთებულ საგოლე პასს თითქოს მატჩის ბედი უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მერსისაიდელებმა "მეთოფეებს" ღირსეულად უპასუხეს და გათამაშებას გამოთიშეს. ერთი სიტყვით, 10 სექტემბრამდე ყველაფერი ცოტა უცნაურად ვითარდებოდა. უაღრესად ნიჭიერი ფეხბურთელი სათანადო დაფასებას ვერ ელირსა, რასაც დონ უოლკოტი თავისებურ ფილოსოფიურ ახსნას უძებნიდა: *"ლინი დავარწმუნე, რომ ჩვენი შვილი ჯადოსნურ წრეს მოულოდნელად გაარღვევდა. ცაში ხომ ყველაფერს მუდამ თავისებურად უდგებიან."* ეს "მოულოდნელობა" კი ზაგრებში მოხდა.

"ლივერპულის" ლეგენდარულ მოთამაშეს, BBC-ის შოტლანდიელ საფეხბურთო ექსპერტ **ალან ჰანსენს** უნდა რცხვენოდეს საკუთარი საქციელის. რამდენიმე კვირით ადრე მან სასტიკად გააკრიტიკა უოლკოტი და აღნიშნა, რომ ფეხბურთელს საგოლე სიტუაციებისას ცივი გონებით მოქმედება მართებდა, თუ გოლის გატანა ოდნავ მაინც სურდა. სირცხვილის გრძნობა მოსვენებას უნდა უკარგავდეს უილიამ ჰილის კანტორის ექსპერტებსაც, რომლებმაც 10/1-ზე დააწესეს ფსონი, რომ უოლკოტი ინგლისის ნაკრებში მხოლოდ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაბრუნდებოდა. სხვა არაერთი სპეციალისტის გახსენება შეიძლება, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა, თეომ დიდ ფეხბურთში გამოცდა ვერ ჩააბარაო. წესით, ახლა ასეთები უნდა წითლდებოდნენ.

როცა კი თეო უოლკოტს გაიცნობთ, ზუსტად ხუთ წუთში მიხვდებით, რომ დადებითი აურის მქონე ადამიანს შეხვდით. მისგან მხოლოდ სიმშვიდე და თავდაჯერებულობა, გარშემო მყოფთა პატივისცემა და მორიდებულობა იგრძნობა. მთელი გზა ზაგრებიდან ლონდონამდე ინგლისის გმირმა "ფლეისთეიშენის" თამაშში გაატარა. პარასკევ დილას კი "არსენალის" ბაზაზე ვითომც მის ცხოვრებაში არაფერი მომხდარიყოს, ისე იქცეოდა – მუშაობდა, როგორც ყოველთვის, თავდახრილი, კონცენტრირებული. როგორც ჩანს, ის ასეთადვე დარჩება მთელი ცხოვრება. *"ასაკის მიუხედავად, ჩემი შვილი ყველაფერს ანგარიშს უწევს და მოვლენებს ობიექტურად აფასებს,"* – აცხადებს დონ უოლკოტი. *"ერთი რამის თქმა დარწმუნებით შემიძლია, - ვარსკვლავური ავადმყოფობა თეოს არ ემუქრება, რადგან გონება მას ძალიან კარგად უმუშავებს",* – ამატებს ჩვენი გმირის ბავშვობის მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი **დექსტერ ბლექსტოკი**. **არსენ ვენგერი**, მწვრთნელი, რომელზეც თეოს კარიერა ამიერიდან დიდად არის დამოკიდებული, ამავე აზრს იზიარებს: *"მისი მობილურობისა და სიმშვიდის იდეალური შერწყმა ფანტასტიკურ ეფექტს გვაძლევს. წინა ხაზზე ის ყოველთვის ცივი გონებით მოქმედებს. თუკი ნანახი გაქვთ "საუთჰემპტონის" შემადგენლობაში 16 წლის ბავშვის მიერ გატანილი გოლები, განსაკუთრებით "ლუტონის" კარში, აუცილებლად დამეთანხმებით,"* - აცხადებს ფრანგი სპეციალისტი. ამას გარდა, შეუძლებელია, არ დაინახო, რომ თინეიჯერული ასაკის მიუხედავად, მოედანზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ის იშვიათად ცდება. უმთავრესი პრეტენზია, რაც მის მიმართ ვენგერს აქვს, ეს არის პოზიციის შერჩევისას დაშვებული შეცდომები და, იშვიათად მაგრამ, შეტევის განვითარებას არასწორი მიმართულების არჩევა. ხსენებული მოთხოვნები კი ვენგერისთვის მოთამაშეთა შეფასებისას ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ არის, რომ თეო უოლკოტი ჯერჯერობით არ მიიჩნევა "არსენალის" ძირითადი შემადგენლობის მუდმივ წევრად. ფეხბურთელის კონტრაქტს ლონდონურ გრანდთან ვადა წელიწად-ნახევარში გასდის. სავსებით საკმარისია, ერთი დაიჩივლოს, რომ ის უკმაყოფილოა ლონდონური ცხოვრებით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მის შესაძენად უმდიდრესი კლუბების მენეჯერთა რიგი დადგება. ძალზე სასიამოვნოა, რომ მას ჰყოფნის მოთმინება, იჯდეს "არსენალის" სათადარიგოთა სკამზე და თავის შანსს ელოდოს. მას, როგორც ჭკვიან ადამიანს, მშვენივრად ესმის, რომ იმ მწვრთნელის ხელმძღვანელობით თამაშობს, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთს უამრავი ვარსკვლავი აჩუქა და ვისი მთავარი დადებითი თვისება სწორედ ახალგაზრდებთან იდეალური მუშაობაა. ამიტომაც არის, რომ თეო ფრანგ დამრიგებელს ბრმად ...ობს საკუთარ ბედს. ის ჯერ კიდევ ორი წლის წინ აფასებდა ობიექტურად იმ ყველაფერს, რაც თავს "დაატყდა". *"მსგავსი "შვებულების" გატარება გერმანიაში შესანიშნავი იყო. წარმოიდგინეთ, ყოველდღე ვუყურებდი საუკეთესო ინგლისელ ფეხბურთელებს. ვხვდებოდი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს. ვნახე ფანტასტიკური სტადიონები. ბოლოს და ბოლოს, ასეთი დონის ტურნირის სული შევიგრძენი. ამაზე მეტი გამოცდილების მიღება ჩემს ასაკში წარმოუდგენელია. ყოველივე ამან თავდაჯერება შემძინა. დარწმუნებული ვარ, ასეთ სიტუაციას ცხოვრებაში კიდევ არაერთხელ გამოვცდი,"* – განაცხადა ინგლისელმა გერმანიის მუნდიალის დასრულების შემდეგ. ბადენ-ბადენში თეოს "შვებულება" ძალიან ეფექტური გამოდგა. ის **დევიდ ბექჰემისა** და **მაიკლ ოუენის** თვალწინ ტრიალებდა, მათგან სწავლობდა კროსებისა და საგოლე სიტუაციების ეფექტურად გამოყენების საიდუმლოს; თავდადებული ბრძოლის გაკვეთილებს **უეინ რუნისგან** იღებდა, ხოლო **გარი ნევილისა** და **ჯონ ტერისგან** მცველის ფსიქოლოგიას სწავლობდა.

თეო უოლკოტმა სწორედ ზაგრებში დაიწყო მასზე გაცემული ავანსის გამართლება. ფაქტი სახეზეა: უოლკოტის წყალობით სამხრეთი აფრიკა კუნძულიდან ახლა ბევრად უკეთ ჩანს, ვიდრე მანამდე.

გაითვალისწინეთ, რომ 2022 წლის მუნდიალზე ვარსკვლავი 33 წლის იქნება... რა თქმა უნდა, თეოს ყველაფერი წინ აქვს!

**შალვა ბიბილაშვილი**





ბასტიან შვაინშტაიგერი და ლუკას პოდოლსკი

ბაიერნი

# შვაინშტაიგერს კონტრაქტი; პოდოლსკის ?

## პრინცი პოლდის მიუნხენური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა...

"ბაიერნი" კრიზისშია, მაგრამ **იურგენ კლინსმანმა** კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესგან** პოსტზე დარჩენის გარანტია მიიღო. გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ რუმენიგეს ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ კლინსი 34-ე ტურის შემდეგაც რეკორდმაისტერის თავკაცი იქნება. მაშ, როგორ უნდა გამოვიდეს მიუნხენური გრანდი კრიზისიდან?

ცნობილი გახდა, რომ "ბაიერნი" **ბასტიან შვაინშტაიგერს** ახალი კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობს, რასაც ვერ ვიტყვით **ლუკას პოდოლსკიზე** – საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პოლდი მიუნხენს ზამთარში თუ არა, სეზონის დასრულებისთანავე მაინც დატოვებს.

*"შვაინის პროგრესით აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას კლინსმანის ხელში წინსვლა დაეტყო. ული ჰიონესი ბასტიანს ერთხელ უკვე ესაუბრა ახალი კონტრაქტის შესახებ. მოლაპარაკებები გაგრძელდება და იმედი მაქვს, რომ შვაინშტაიგერი "ბაიერნთან" ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს,"* – აცხადებს რუმენიგე. შვაინის ყოველწლიური ხელფასი მოქმედი კონტრაქტით სამ მილიონ ევროს შეადგენს. ცხადია, ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მას ჯამაგირს გაუზრდიან.

რაც შეეხება პოდოლსკის, ეს უკანასკნელი ისევ კრიტიკის ობიექტია. რუმენიგე: *"სიმართლე გითხრათ, არ მესმის და ვერ ვხდები, რა უნდა პოდოლსკის სინამდვილეში. პირადად მე, მისგან მხოლოდ იმას ველი, რომ "ბაიერნის" ერთგული იქნება და ამ გუნდისთვის თავს არ დაზოგავს. ლუკასის კონტრაქტს ვადა 2010 წლის 30 ივნისს გასდის. მე მისგან მეტ კონცენტრაციას და მონდომებას მოვითხოვ."*

შეგახსენებთ, რომ 1 ჟვისტოს პოდოლსკის ჰიონესმაც შეუტია. ულიმ მაშინ ასეთი რამ თქვა: *"რაში მჭირდება უსაყვარლესი გერი, რომელიც გოლს ვერ გაიტანს?"* თუმცა ზუსტად ერთი თვის შემდეგ, კლინსმანის ინიციატივით, პოდოლსკი მიუნხენში დატოვეს. ფაქტი ის არის, რომ პოლდი იმედებს ისევ ვერ ამართლებს და მუდმივად კრიტიკის ობიექტია. სამაგიეროდ, ლუკასს საქმეები იდეალურად მისდის გერმანიის ნაკრებში. თვითონაც არაერთხელ უთქვამს, როცა სანაკრებო შეკრებაზე მივდივარ, სამყარო უცებ ისევ ძალიან ლამაზი ხდება ხოლმეო. შაბათს ბუნდესგუნდი დიუსელდორფში რუსეთის ნაკრებს ეთამაშება.

ინტერვიუ მლადენ პეტრიჩთან

# ცხოვრებაში არავინ არაფერს გაჩუქებს, ყველაფერი თვითონ უნდა მოიპოვო

## კარგი საფეხბურთო კარიერის მოწყობა მხოლოდ დიდი შრომითაა შესაძლებელი

დორტმუნდის „ბორუსიიდან" „ჰამბურგში" გადასულმა მლადენ პეტრიჩმა ფრთები გაშალა და გაფრინდა. ხორვატი ჩრდილოგერმანულ კლუბს ძალიან იოლად შეეგუა და საკმაოდ მალე დაიწყო გოლების გატანა, რასაც



მლადენ პეტრიჩი

ნამდვილად ვერ ვიტყვით მოჰამედ ზიდანზე – ფეხბურთელზე, რომელიც "დორტმუნდმა" პეტრიჩის ხურდაში მიიღო. უეფას თასზე, გერმანიის თასსა და ბუნდესლიგაში გატანილი გოლების შემდეგ პეტრიჩი უმალ გახდა "ჰამბურგის" გულშემატკივრების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი – დიდი შანსია, რომ სულ მალე მან მარტინ იოლის გუნდში იგივე სტატუსი მიიღოს, რაც რაფაელ ვან დერ ვაარტს ჰქონდა. 7 ტურის შემდეგ, ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს სათავეში სწორედ "ჰამბურგი" უდგას. პეტრიჩს "ბილდი" გაესაუბრა.

**- ჰერ პეტრიჩ, გოლების გატანა დაიწყეთ და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გეთქმით. შეიძლება ითქვას, რომ უკვე სრულფასოვანი ჰამბურგელი ხართ?**

- დიახ. "ჰამბურგში" თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან ბედნიერი ვარ.

**- შეიძლება ითქვას, რომ ფორმაში ნელ-ნელა შეხვედით. თავიდან მხოლოდ შეცვლებზე თამაშობდით, თანაც ზედიზედ ხუთ მატჩში...**

- ჩემი ტრანსფერი საკმაოდ გვიან განხორციელდა. თავიდან უამრავი საზრუნავი და პრობლემა მქონდა. ვფიქრობ, ამ ფაქტებმა იქონია გავლენა.

**- პრობლემებში რას გულისხმობთ?**

- დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით და საღამოს, 21 საათიდან ბინების დათვალიერებას ვიწყებდი. საკმაოდ დაძაბული და დატვირთული დღეები მქონდა. როცა ამ ყველაფრისგან გავთავისუფლდი, ავთამაშდი კიდეც.

**- თქვენ ისეთი ფეხბურთელი ხართ, რომელსაც გოლები მხოლოდ მაშინ გააქვს, როცა კარგ ხასიათზეა?**

- მე ეს არ მითქვამს. თუმცა ცხადია, რომ ფეხბურთელის ზოგადი განწყობილება მის თამაშზე ყოველთვის აისახება ხოლმე. მაგრამ მე მოედანზე ყოფნისას პირადი ყოველდღიურობის დავიწყებას თითქმის ყოველთვის ვახერხებ. მთავარია, მენტალურად არ ვიყო გადაღლილი.

**- ადრე თქვით, რომ ჰამბურგის სახით, საოცნებო ქალაქში მოხვდით. დორტმუნდი არ იყო საოცნებო ქალაქი?**

- დორტმუნდი შესანიშნავი ქალაქია, მაგრამ ჰამბურგი უკეთესია და ამით ახალს არაფერს ვამბობ. თუმცა ჩემთვის მთავარი - არა ქალაქი, არამედ გუნდი და პერსპექტივებია. ბავშობიდან ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ფეხბურთელობა იოლი არ არის. ყოველთვის მესმოდა, რომ სერიოზული საფეხბურთო კარიერის მოწყობა მხოლოდ დიდი შრომითაა შესაძლებელი. ამ ცხოვრებაში არავინ არაფერს გაჩუქებს, ყველაფერი თვითონ უნდა მოიპოვო.

**- ვიცით, რომ იოლი ბავშვობა არ გქონდათ...**

- როცა პატარა ვიყავი, ხორვატია ღარიბი ქვეყანა იყო. მამაჩემი სამუშაოდ შვეიცარიაში წავიდა, ძალიან ბევრი იშრომა და მერე ჩვენც წაგვიყვანა. სწორედ მან მასწავლა, რომ მთავარი მონდომება და შრომაა. მან შეძლო თავისი ოჯახის უზრუნველყოფა და ეს დასაფასებელია.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახი?**

- ყველაფერს! ოჯახი ჩემთვის ყველაზე დიდი ღირებულებაა.

**- მეუღლე დესპინამ ცოტა ხნის წინ ქალიშვილი გაჩუქათ. კიდევ რამდენი შვილი გსურთ?**

- მინიმუმ ერთი, შეიძლება, ორიც.

**- პატარების მოვლა შეგიძლიათ?**

- რა თქმა უნდა. ხუთი წლის ვიყავი, როცა ჩემს ახალდაბადებულ ძმას ვუვლიდი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის ნაკრები

# მარსელინო და ტორესი: ორი გმირის ერთი ბედისწერა




მარსელინოსა და ტორესს ხელში ის ფოტოები უჭირავთ, რომელზეც 1964 და 2008 წლების ევროპის ჩემპიონატების ფინალებში მათ მიერ გატანილი გოლებია ასახული

### ხესუს სანჩო, დიარიო ასი

ესპანური ფეხბურთის ისტორიის ყველაზე საამაყო ფურცელზე ორი დაუვიწყარი გმირის გვარი წერია – **მარსელინო და ტორესი**. მარსელინომ 1964 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების კარი დალაშქრა და „სელექსიონს" ევროპის ჩემპიონის ტიტული მოუტანა. მაშინ „სანტიაგო ბერნაბეუს" საპატიო სტუმართა ლოჟაში დიქტატორი **ფრანკო** იჯდა. 44 წლის შემდეგ კი დემოკრატიულ ავსტრიაში ესპანეთს ახალ გმირად ფერნანდო ტორესი მოევლინა. „ელ ნინიომ" გერმანიის ეროვნული გუნდის კარის აღებით „სელექსიონს" ევროპის ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთხელ მოუტანა. ეს თასი იმითაც იყო უფრო მეტად სასიხარულო, რომ ფინალს დიქტატორის ნაცვლად სამეფო ოჯახი ესწრებოდა. ამ უდიდესი გამარჯვების შემდეგ 100 დღე გავიდა. სწორედ ამიტომ, „დიარიო ასის" რედაქციამ გადაწყვიტა, ერთი ბედისწერის მქონე ორი გმირი რედაქციაში მიეწვია. დაუვიწყარი ესპანელების შეხვედრა ახალგაზრდა ფორვარდის მონოლოგით დაიწყო: *„მახსოვს, ევროპის ჩემპიონატზე წასვლის წინ, სენიორ მარსელინიომ მითხრა, შენი იმედი მაქვს, იცოდე ფინალში გოლი უნდა გაიტანო, ეს ჩემი ოცნებააო. რა თქმა უნდა, ფინალში თამაში და მით უმეტეს, გამარჯვების გოლის გატანა ჩემი ოცნებაც იყო. სასწაული მართლა მოხდა და ამით ორი ადამიანის დიდი ოცნება ასრულდა. ერთმა გოლმა 44-წლიანი სიცარიელე ერთ წამში შეავსო. საფინალო სასტვენის შემდეგ ჩემზე ბედნიერი ადამიანი არავინ იყო. გეფიცებით, სენიორ მარსელინო გამახსენდა და ბედნიერი ვიყავი, რომ მოხუცს სიხარული მივანიჭე."*

უბერებელი გმირი, მარსელინო ახლა გალისიაში ცხოვრობს. მან ჩვენი იდეა ულაპარაკოდ აიტაცა და რედაქციაში მოსვლაზე დაგვთანხმდა. ვეტერანი ჩვენმა გალისიელმა კორესპონდენტმა **ლუის დე ლა კრუსმა** მადრიდში მანქანით ჩამოიყვანა. არ შეიძლება არ შეგშურდეს იმ ადამიანის, რომელიც ესპანური ფეხბურთის გმირთან ერთად ლა კორუნიიდან დედაქალაქამდე მარტო მგზავრობს. თავი რომ არ შეგაწყინოთ, ლუისის ჩანაწერებთან მარტო დაგტოვებთ. წაიკითხეთ და აუცილებლად ისიამოვნებთ:

„მოხუცთან დათქმულ დროს მივედი. მეგონა, უნდა დამერეკა და ჩამოსვლა მეთხოვა, მაგრამ დონ მარსელიონო სადარბაზოსთან დამხვდა. მას ბავშვივით ბედნიერი თვალები ჰქონდა. წაიდეთ, წავიდეთ, მადრიდი მომენატრა, მითხრა მან და წინა სავარძელში მოკალათდა. გზად უთვალავი კითხვა დამისვა და კიდევ უფრო მეტი ისტორია მომიყვა. ჩვენს უკვდავ გმირს ყველაფერი აინტერესებდა, მაგალითად - რომელ საათზე ვიწყებთ მუშაობას, მუშაობით ვილლებით თუ არა, უფროსები როგორ გვექცევიან; თუ დაუმსახურებლად გაკრიტიკებენ, არაფერი დაუთმო და შენი ღირსება დაიცავიო, - მითხრა. მარსელინოს კითხვებს, ცხადია, დიდი სიხარულით ვპასუხობდი, მაგრამ მე უფრო მისი ცხოვრება მაინტერესებდა. მადლობა ღმერთს, საინტერესო ამბები მთელი გზა არ მომკლებია. მოხუცმა მადლობა გადამიხადა, რომ ტორესთან შესახვედრად მიმყავდა და გულწრფელად ალაპარაკდა: *„ტორესი ჩემი შვილივით მიყვარს. ცოტა უცნაური ბიჭი კი არის, მაგრამ დღეს ყველა ახალგაზრდა უცნაურია. მას ძალიან უყვარს სწრაფი ფეხბურთი და ყველაზე მეტად სწორედ ეს მხიბლავს. ესპანეთის ნაკრებისთვის დღესაც თავს გავწირავ, მაგრამ სიცოცხლეს ტორესისთვისაც არ დავიშურებ. დავიდ ვილიას გოლები რა თქმა უნდა, ძალიან მახარებდა, მაგრამ მერჩივნა „ელ ნინიოს" გაეტანა. ფინალი საოცრება იყო, ისე ვიყვირე, კინალამ ინფარქტი მივიღე. ფერნანდოს გოლმა 44 წლით გამაახალგაზრდავა. ზუსტად ის მომენტი გამახსენდა, როცა რუსებს გავუტანე... არ ვიცი, შეიძლება, 44-მა წელმა ჩემს მეხსიერებასა და გრძნობებზე ცუდად იმოქმედა, შეიძლება საშინლად დავბერდი... ყოველ შემთხვევაში, „ელ ნინიოს" გოლმა ბევრად უფრო მეტად გამახარა. რა გასაკვირია, ჩემი გოლი ხალხს კი არა, მე აღარ მახსოვს. ის გამარჯვება, 100 დღის წინ საბოლოოდ გახუნდა. ჩვენი თაობა რაღა სახსენებელია. იმედია, მეგობრები და თანამებრძოლები არ მიწყენენ, მაგრამ ჩვენ თანამედროვე ფეხბურთის დატვირთვებს ვერ გავუძლებდით. ახლა სულ სხვა მოთხოვნებია."*

მოხუცი ისეთი გახარებული იყო, ერთი სიტყვის ჩაგდებაც კი მიჭირდა, მაგრამ როცა კითხვის დასმას მოვახერხებდი, ის ყოველთვის ყურადღებით მისმენდა. მარსელინოს ვთხოვე, ტორესის მიერ გატანილი გოლი პროფესიული კუთხით შეეფასებინა. მისი განმარტება ძალიან საინტერესო იყო: *„რა უნდა ვთქვა, აქ პროფესიონალიზმი რა საჭიროა?! ყველამ ნახა, რომ „ელ ნინიომ" გერმანელი ლამი, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მივიჩნევ, პატარა ბავშვივით დაიბრიყვა და დედა უტირა. ლამს, ალბათ, ორი კვირა მშვიდი ძილი არ ეღირსებოდა. ტორესის თამაშის შესაფასებლად პროფესიონალიზმი და ფეხბურთელობა არ არის საჭირო. ფერნანდოს გენიალურობა ის არის, რომ ის ქომაგების გულამდე მარტივად აღწევს. ის ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს. ჩვენი ბიჭის თამაშის შესაგრძნობად ფორმულების ამოხსნა არ არის საჭირო, ყველაფერი თვალნათლივ ჩანს. როცა ლუკა ტონის ფეხბურთს ვუყურებ, სული მეხუთება, მოჩანდა, რომ ცივმა ქარმა დაუბეროს, რადგან სუნთქვა მიჭირს. ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე, - რა უნდა, რას აკეთებს, დარწმუნებულია, რომ ფეხბურთელია?! და საერთოდ, რა პროფესიის კაცია ეს ლუკა ტონი-მეთქი? ტორესი კი ყველას ახარებს და აბედნიერებს. მიყვარს ეს ბიჭი და არ შემიძლია, რომ მამაშვილურად არ ჩავეხუტო. იქნებ, უფრო სწრაფად ვიაროთ, აღარ შემიძლია, მინდა მალე შევხვდეთ ერთმანეთს."*

### ორი ფოტო და სიყვარულით აღსავსე შერიგება

ლუისთან ამდენი ხნით ველარ დაგტოვებთ. ეს მაინც ჩემი სტატიაა და თხრობას მევე გავაგრძელებ. მით უმეტეს, ჩემმა გალისიელმა კოლეგამ მარსელინო რედაქციაში მოგვიყვანა. ესპანური ფეხბურთის ლეგენდას „დიარიო ასი" ოვაციებით შეხვდა. მან თავი დაგვიკრა, მაგრამ მაშინვე ყველა დაივიწყა, რადგან შესასვლელშივე ფერნანდო ტორესი დაინახა. ყველაზე მზრუნველი ბაბუა არ ჩაეხუტებოდა შვილიშვილს ისე, როგორც მარსელინო „ელ ნინიოს" გადაეხვია.

საუბარი ტკბილეულთან და ფინჯან ყავასთან გავაგრძელეთ. ინიციატივა მოხუცმა აიღო და ტორესს ჰკითხა, გულწრფელად მითხარი, ჩემი გოლი სჯობდა, თუ შენიო? შესაძლოა, „ელ ნინიომ" თავაზიანობა გამოიჩინა და ამიტომ გასცა ასეთი პასუხი: *„დონ მარსელინო, განა ამას კითხვა უნდა? რა თქმა უნდა, თქვენი გოლი სჯობდა. იმ შეხვედრის ჩანაწერი არაერთხელ მინახავს. თქვენ 11-მეტრიანის ნიშნულიდან ულამაზესი თავური დარტყმით შეაგდეთ. მნიშვნელობის თვალსაზრისითაც თქვენი გოლი უფრო ფასობდა. პირველი დიდი გამარჯვება ყოველთვის ბევრად უფრო ღირებულია."*

მოხუცს არაერთხელ უთქვამს, რომ ტორესი შვილივით უყვარს, მაგრამ ასეთმა პასუხმა სასტიკად გაალიზიანა: *„რატომ ტუტუცობ? მე ხომ გთხოვე, გულწრფელად მიპასუხე-მეთქი? ლუისს მთელი გზა იმაზე ველაპარაკებოდი, რომ შენი გოლი გაცილებით უფრო რთულად გასატანი იყო. შენ ლამი ვიღაც ლაწირაკი ხომ არ გგონია? იმხელა დრიბლინგი შეასრულე, მე რომ ვერასოდეს შევძლებდი. ლამი უსწრაფესი მცველია, მაგრამ ახლოსაც ვერ გაგეკარა. შემდეგ მეკარე დაიბრიყვე და ისტორიული გოლი გაიტანე. როცა ბურთი მოჭერი, მაშინვე მივხვდი, რომ გოლი გავიდოდა. გავიდა კიდეც. მოკლედ, შენი ხმა აღარ გავიგო და როცა გკითხავენ, რომელი გოლი სჯობიაო, მაშინვე უპასუხე, რომ შენი. აბა, იდიოტი ხომ არ ვარ, ეს ბებერი კაცი ჭკრამდე ტყუილად შევხტი?!"*

იმპერატიული მოთხოვნის მიუხედავად, ტორესმა თავისი არ დაიშალა და ისევ იმის მტკიცება დაიწყო, რომ მარსელინოს გოლი უფრო რთულად შესასრულებელი იყო. ახალგაზრდა ფორვარდმა ხაზი გაუსვა, რომ მისმა უფროსმა კოლეგამ ლეგენდარული **ლევ იაშინის** კარი დალაშქრა. მოხუცი სერიოზულად გაბრაზდა. ჩვენი კეთილშობილური ჩანაფიქრი კინაღამ კრახით დასრულდა. ორი გმირი ერთმანეთს მოსაფერებლად შევახვედრეთ, მათ კი ლამის სერიოზულად იჩხუბეს. კიდევ კარგი, ჩვენმა თანამშრომელმა **ისმაელ მარტინესმა** იყოჩაღა და დარბაზში ორი ისტორიული ფოტო შემოიტანა - ფოტო, რომელზეც გენიალური წამები იყო შეჩერებული. მარსელინოსა და ტორესის საჩემპიონო გოლებმა უმალ ზავი ჩამოაგდო. მოხუცი დამშვიდდა და უმცროს მეგობარს ისევ ნათესაური სიყვარულით გადაეხვია. იმ მომენტში ორივე მიხვდა, რომ ერთი ბედისწერის მქონე გმირები იყვნენ - გმირები, რომლებსაც სამშობლო არასოდეს დაივიწყებს. ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ ტორესის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ „დიარიო ასს" ფერნანდოსა და ახალი გმირის შეხვედრის ორგანიზებისთვის კიდევ 44-წლიანი ლოდინი არ დასჭირდება...

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

უეფას გაფრთხილება

# ინგლისურ გრანდებს ლიგიდან მოკვეთა ემუქრებათ

## ევროპელი ფუნქციონერები ფინანსური პრობლემების მოგვარებას ითხოვენ

"მანჩესტერ იუნაიტედს", "ჩელსის", "ლივერპულსა" და "არსენალს" ჩემპიონთა ლიგიდან გაძევება ემუქრებათ, თუ ფინანსურ პრობლემებს უმოკლეს დროში არ მოაგვარებენ. ეს სენსაციური განცხადება უეფას ბრიტანელმა გენერალურმა მდივანმა **დევიდ ტეილორმა** გააკეთა. ევროპის ჩემპიონ "იუნაიტედს" 764 მილიონი გირვანქის ოდენობის ვალი აქვს. უცნაურია, მაგრამ ასტრონომიული დავალიანება მანჩესტერელთა სატრანსფერო აქტივობაზე არც კი ასახულა. **სერ ალექს ფერგიუსონი** ძველებურად ყიდულობს ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელიც გაუხარდება.

მანჩესტერელებთან შედარებით, "ჩელსის" საბიუჯეტო დეფიციტი მიზერულია - სულ რაღაც 76 მილონი გირვანქა. ფინანსების უკმარისობას არც ლონდონური გიგანტი უჩივის. "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. ის ყოველთვის მზადაა, "არისტოკრატებს" ხელი შეაშველოს.

სოლიდური ვალების გამო, "ლივერპულმა" ახალი სტადიონის პროექტი თაროზე შემოდო. არაოფიციალური ინფორმაციით, მერსისაიდელების საბიუჯეტო დეფიციტი 350 მილიონ გირვანქას შეადგენს. 318 მილიონი აქვს გასასტუმრებელი "არსენალს". კლუბებს უმთავრესად ბანკების ვალი აქვთ. მიმომხილველები შიშობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გამეფებული საკრედიტო კრიზისი წამყვანი საფეხბურთო კლუბების ფინანსურ კეთილდღეობასაც დიდ ზიანს მიაყენებს.

უეფა ვითარების გამოსწორებას ცდილობს. განიხილება მინიმალური ფინანსური სტანდარტების შემოღება. კლუბი, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, ჩემპიონთა ლიგაში არ დაიშვება. მაგრამ საეჭვოა, უეფამ ინგლისური გრანდების წინააღმდეგ სანქციები შემოიღოს. ამ კლუბებს მთელ მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს. ბევრ ქვეყანაში ლიგის რეპორტაჟებს მხოლოდ იმიტომ ყიდულობენ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის", ან "ლივერპულის" თამაშებს მიადევნონ თვალი. ინგლისელთა დასჯა ჩემპიონთა ლიგასაც გამოუსწორებელ ზარალს მიაყენებდა. პრობლემა მწვავედ დგას, თუმცა მისი გადაჭრის ხერხი ჯერ არ ჩანს.

**შალვა ბიბილაშვილი**

---

მოსაზრება

# პრემიერლიგა ასოციაციის წინააღმდეგ

## ასოციაციის ხელმძღვანელობა პრემიერლიგის ვარსკვლავთა ხელფასების რეგულირებას ითხოვს...

ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია პრემიერლიგის ვარსკვლავებისათვის სახელფასო მაქსიმუმის განსაზღვრას ითხოვს. ასოციაციის თავმჯდომარე **დევიდ ტრისმანი** მიიჩნევს, რომ დროა, მისმა ორგანიზაციამ მკაცრი მარეგულირებლის როლი შეითავსოს. ინგლისურ ფეხბურთს კრიზისი ემუქრება. მისი საბიუჯეტო დეფიციტი 3 მილიარდ გირვანქას აჭარბებს.

ტრისმანის ინიციატივა პრემიერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა **რიჩარდ სკუდემორმა** გააპროტესტა. სკუდემორი ადასტურებს, რომ ინგლისურ კლუბებს სოლიდური ვალები აქვთ, მაგრამ მისი აზრით, ვალი არ არის სახიფათო, თუ ის დაგეგმილ შემოსავალს არ აღემატება. პრემიერლიგა კი მოგეხსენებათ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია.

სკუდემორი მიიჩნევს, რომ საფეხბურთო ასოციაცია მისი ორგანიზაციის, საფეხბურთო პრემიერლიგის კომერციული მეტოქეა. ამიტომ ლაპარაკი ერთის მიერ მეორის გაკონტროლების თაობაზე, არასერიოზულად მიაჩნია. ასოციაცია და ლიგა სპონსორების მოძიებასა და სარფიანი ტელეკონტრაქტების გაფორმებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

**შალვა ბიბილაშვილი**

---

ამბები

### რიბერი, წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა 2007/08 წლების სეზონის გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად „ბაიერნის" ფრანგი ნახევარმცველი **ფრანკ რიბერი** დაასახელეს. საფრანგეთის ნაკრებისა და რეკორდმაისტერის ლიდერს გამოკითხვაში კოლეგების 37.3 პრონცენტმა დაუჭირა მხარი. მეორე ადგილზე რიბერის თანაკლუბელი, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, იტალიელი **ლუკა ტონი** გავიდა. მან ხმების 19.3 პროცენტი მიიღო. შარშანდელმა გამარჯვებულმა **დიეგომ** ("ვერდერი"), 7.1 პროცენტით, მესამე ადგილი დაიკავა.

### მანჩინი მანჩესტერ სიტიში?

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, **რობერტო მანჩინის** "მანჩესტერ სიტიში" ეპატიჟებიან. იტალიური გამოცემა ვარაუდობს, რომ 43 წლის სპეციალისტი **მარკ ჰიუზს** იანვრის ტრანსფერებისას შეცვლის. არაბული ინვესტიციის შემდეგ, "სიტი" ინგლისისა და ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბი გახდა. მას ამბიციებიც შესაფერისი აქვს. უელსელი სპეციალისტის კვალიფიკაცია უმაღლესი მიზნების მისაღწევად საკმარისი არ არის. "გაძეტა" იმასაც გვატყობინებს, რომ ტრანსფერის შემთხვევაში, მანჩინი ინგლისში წაიყვანს **ანტონიო კასანოს**. "სიტი" "სამპდორიას" ვარსკვლავის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას შესთავაზებს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

### დონადონი დე ბიაზის ნაცვლად

**რობერტო დონადონის** "ტორინოში" ეპატიჟებიან. "ბრონწეულების" პრეზიდენტ **ურბანო კაიროს** მისი დანიშვნა ჯერ კიდევ აპრილში სურდა. სწორედ აპრილში დატოვა თანამდებობა კლუბის ყოფილმა დამრიგებელმა **ვალტერ ნოველინომ**. მაგრამ იმხანად დონადონი იტალიის ნაკრებში მუშაობდა და ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადებოდა. "ტორინოში" **ჯანი დე ბიაზი** მიიწვიეს, თუმცაღა დე ბიაზის შეგირდებმა სეზონი უსახურად დაიწყეს და ცხრილის ქვედა ეშელონში იმყოფებიან. ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა დონადონისთან დაკავშირება ვერ მოახერხეს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ნაკრები შეიმოსება



საჭადრაკო ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თველა დარჩა. ეს სპორტული ფორუმი, ანტიკური ხანის ოლიმპიური თამაშების მემკვიდრე ოლიმპიადის შემდეგ, რიგით მეორე მასშტაბური ტურნირია. ტყუილი რომ არ გამომივიდეს, მოგახსენებთ, რომ საჭადრაკო ოლიმპიადებში 170-მდე ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ, თითო გუნდში კი - როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის 5-5 მოთამაშეა; სხვა საქმეა დელეგაციის წევრთა რაოდენობა... აქედან გამომდინარე, იოლია იმის განსაზღვრა, თუ რამხელა ძალისხმევა სჭირდება ასეთი თამაშების მასპინძლობას და ორგანიზებას. წლეულს ოლიმპიადას გერმანიის ქალაქი დრეზდენი უმასპინძლებს. საქართველო სრული შემადგენლობით წარდგება თამაშებზე და ტრადიციულად წარმატებულ გამოსვლას ეცდება, - მსოფლიომ იცის, რომ ქართველ ქალთა ნაკრები სამჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი. ცხადია, დამოუკიდებლობის ხანის ჩემპიონატებს ვგულისხმობთ, თორემ საბჭოთა კავშირის დროს, ამდენჯერვე, ნაკრებში მხოლოდ ქართველი ქალბატონები რომ თამაშობდნენ, ესეც მშვენივრად უწყიან ჭადრაკის მოყვარულებმა. შეჭირვებული ყოფის გამო, რაც საქართველოში რუსეთის აგრესიამ გამოიწვია, დრეზდენში გამგზავრება ეჭვის ქვეშაც კი დადგა, მაგრამ ღვთის მადლით და ქართული სპორტის მესვეურთა დახმარებით, შესაძლებელი გახდა საჭირო თანხების მოზიდვა და მოსამზადებელი ეტაპის დაგეგმვაც. თუ როგორ დაიგეგმა მზადება და რა შედეგებზე გვექნება სწორება, ამაზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი გიორგაძე** გვესაუბრება.

- პირველ რიგში, დიდი მადლობა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს გაწეული დახმარებისათვის. მათ, ფაქტობრივად, თანხის ისეთი რაოდენობა მოიძიეს ოლიმპიადისთვის და გადმოგვირიცხეს ანგარიშზე, რამდენიც გვქონდა განსაზღვრული წლიური ბიუჯეტით. დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მივმართეთ თხოვნით, რომ თანხაში გათვალისწინებული ყოფილიყო მზადების ხარჯები - თუკი შეკრებას ვერ გავივლიდით, რაიმე სერიოზულ შედეგზე ორიენტირება გამორიცხული იქნებოდა. ეს თხოვნაც გაითვალისწინეს და 26 ოქტომბრიდან ბაკურიანში, სასტუმრო „ვიქტორიაში" გავივლით ორკვირიან შეკრებას. შესაძლოა, ეს დრო ბევრი არ არის, მაგრამ ცოტაც არ ეთქმის და საჭირო მიმართულებებს და ამოცანებს დავსახავთ და იმედიც გვაქვს, რომ კარგ შედეგსაც მივილებთ. მადლობა მსურს გადავუხადო სასტუმრო „ვიქტორიის" ადმინისტრაციას, რომელიც ძალზე შეღავათიანი ფასებით მომსახურებას დაგვთანხმდა...

შეკრებაზე თითქმის ნაკრების ყველა წევრი გაემგზავრება მაია ჩიბურდანიძის, ბაადურ ჯობავას და ზვიად იზორიას გარდა. საქმე ის არის, რომ იზორია ამერიკაში ცხოვრობს და პირდაპირ დრეზდენში შემოგვიერთდება, მაია ამ დროს სომხური კლუბის შემადგენლობაში ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ითამაშებს; ბაადურ ჯობავა კი ესპანეთში ძალიან წარმომადგენლობით და ძლიერ წრიულ ტურნირში ცდის ძალებს, - სათამაშო პრაქტიკა ჩვენი გუნდების ლიდერებისთვის აუცილებელია, რაც მოჭადრაკეთა სპორტულ ფორმაში შესვლას შეუწყობს ხელს.

**- ნაკრების შემადგენლობა კარგა ხანია ცნობილია. დადგინდა თუ არა, ვინ რომელ დაფაზე ითამაშებს?**

- ფიდეს მოთხოვნა იყო, რომ თორმეტ სექტემბრამდე მიგვეწოდებინა ნაკრებთა სია დაფების მიხედვით. ვინაიდან ჩვენთან განსაკუთრებული პირობები შეიქმნა და დროზე ვერ მოვახერხეთ შემადგენლობის დაკომპლექტება, ვთხოვეთ ფიდეს, რომ გადაევადებინა ჩვენთვის ამ სიის წარდგენა. ფიდე დაგვთანხმდა და ჩვენც რამდენიმე დღის წინ სრული შემადგენლობა გადავუგზავნეთ. ქალები ასეთი თანამიმდევრობით დასხდებიან დაფებზე: მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი და სოფიკო ხუხაშვილი. ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია: ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია და დავით არუთინიანი. დადგინდა გუნდების მწვრთნელთა და კაპიტანთა ვინაობაც: ქალებს ახალგაზრდა დიდოსტატი თორნიკე სანიკიძე დაეხმარება, კაპიტნობას კი ნინო გურიელი გაუწევს; ვაჟებს ხვიჩა სუპატაშვილი გაწვრთნის, კაპიტნად კი ზურაბ სტურუაა დანიშნული. სუპატაშვილი მაია ჩიბურდანიძის მწვრთნელიცაა და მასაც დაეხმარება, პარალელურად.

აღსანიშნავია, რომ სანიკიძე უკვე შეუდგა სამსახურს - ნანა ძაგნიძესთან ჩაატარა რამდენიმე გაკვეთილი და ახლა ხუხაშვილ - ლომინეიშვილთან იმუშავებს; ლომინეიშვილმა, შესაძლოა, სტურუასთანაც გაიაროს კონსულტაციები.

**- ტრადიციული და ჩვენი მკითხველისთვის ალბათ ყველაზე საინტერესო კითხვა უნდა დაგისვათ: რა შედეგებს ელით ორივე ნაკრებისაგან?**

- აუცილებლად მაღალი შედეგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. განსაკუთრებით, ქალთა გუნდის გვეიმედება - გვაქვს შანსი, რომ სამეულში შევიდეთ. მოგეხსენებათ, ჩინეთი და რუსეთი ძალიან ძლიერები არიან, თუმცა არც სხვები არიან სუსტები და ყველა ქულისთვის დიდი ბრძოლა იქნება საჭირო. ამჯერად, ქულათა დარიცხვის სისტემა შეიცვალა და ნაცვლად საერთო ქულებისა, მთავარია, მატჩი მოიგო, რისთვისაც ორი ქულა დაგეწერება; ფრეს შემთხვევაში ერთ ქულას მიიღებ, წაგებისთვის კი - ნულს. საბოლოოდ, თანაბარ ქულათა შემთხვევაში, პარტიების მიხედვით მოხვეჭილ მარაგს კი მიექცევა ყურადღება, მაგრამ მთავარი მაინც მატჩის მოგებაა. სიახლეა ისიც, რომ ქალებში სამის ნაცვლად ოთხ დაფაზე გაიმართება ბრძოლები; ერთი მოთამაშე სათადარიგოა. ასეთივე პირობა მოქმედებს ვაჟთა შორისაც, - ადრე ვაჟთა გუნდში ექვსი წევრი ირიცხებოდა, რომელთაგან ორი იყო სათადარიგო.

**- გუშინ საინტერესო ფაქტს შევესწარი თქვენს ფედერაციაში - ნაკრების წევრებს ერთნაირი ფეხსაცმელები დაურიგდათ...**

- მიმაჩნია, რომ ოლიმპიადაზე ნაკრები ვიზუალურადაც ღირსეულად უნდა გამოიყურებოდეს და ამ მიზნით საერთო ფორმის შეკერვა გადავწყვიტეთ. ფეხსაცმელებიც ამ ფორმის ნაწილია, რომელიც ესპანურმა მაღაზია „სანჩომ" მოგვაწოდა. ამ მაღაზიის მფლობელი ცნობილი ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი თამაზ გიორგაძეა და მადლობა მას, რომ იზრუნა ჩვენი გუნდებისთვის. დიზაინერებთან კონსულტაციის შემდეგ შევიმუშავეთ სპორტულ-კლასიკური სტილი: კოსტიუმი პერანგით ან სვიტერით. საბოლოო სახე ფორმას ჯერ არ მისცემია, მაგრამ ძალიან ლამაზი და ელეგანტური უნდა გამოვიდეს...

**ზვიად შათირიშვილი**

# ლელას ზედიზედ მეორე მარცხი

ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ქალაქ ბანია ლუკაში მიმდინარე წრიულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში **ლელა ჯავახიშვილმა** ბოლოს წინა ტურში მარცხი იწვნია რუსი დიდოსტატისაგან - **სერგეი ვოლკოვი**, რომელიც ტურნირის მთავარი ფავორიტი იყო და სტარტი აშკარად ჩაუვარდა, ფინიშის სწორზე ძლიერად ათამაშდა; ქართველ ქალბატონთან თეთრი ფერიც მას შეხვდა და კიდევ ერთი დამატებითი უპირატესობა მიიღო. ლელა ბევრს კი ეცადა პარტიის გადარჩენას, მაგრამ ძალამ ალმართი მოხნა და მარცხის აღიარებამ მოუწია. ჯავახიშვილს 3,5 ქულა დაურჩა, რაც ბოლო ტურის წინ მეექვსე ადგილისთვის არის საკმარისი. სატურნირო ვითარება ისეთია, რომ ლელა ერთი საფეხურითაც ველარ წაიწევს წინ - მეხუთეადგილოსნებს ქულა-ნახევრით ჩამორჩება... ამიტომ, შესაძლოა, ბოლო ტურში თავი არ გადადოს და ყაიმიც კი შესთავაზოს მეტოქეს. ასეთ წინადადებაზე, არა მგონია, მისმა დღევანდელმა მეტოქემაც თქვას უარი - ბოსნიელი **ვლადო ჯაკოვლიევიჩი** ორი ქულით გამოკვეთილი აუტსაიდერია. ამ ვარიანტს არ ვამტკიცებთ და სულაც არ გამოვრიცხავთ, რომ ფიცხელი ბრძოლა გაიმართოს - ასე ვთქვათ, ორივემ კარის გაჯახუნება მოინდომოს. ლელას წარმატებას ვუსურვებთ და იმედია, ტურნირის ფინიში სტარტივით წარმატებული ექნება.

ლიდერობა 5,5 ქულით პოლონელმა **ბართოლომეი ჰებერლამ** იგდო ხელთ. მას კვალში 5-5 ქულით უდგანან ინდოელი **გიითა გოპალი**, რუსი სერგეი ვოლკოვი, **სერბი ზლატკო ილინიჩი** და შვეიცარიელი **ვიქტორ კორჩნოი**.

**ზვიად შათირიშვილი**

კარატე




ლევან გორელაშვილი (მარცხნივ)

ევროპის ჩემპიონატი

# ქართული კარატეს ახალი წარმატება

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ეროვნულმა ნაკრებმა ბუქარესტში ტრადიციულ კარატეში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზა. 30 ქვეყანას შორის საქართველო კიდევ ერთხელ წარსდგა ღირსეულად და სხვადასხვა სინჯის მედალიც დაიმსახურა.

*„საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ ჩვენი შედეგებით. მინდა სიმოვნებით აღვნიშნო, რომ საქართველოს მცირერიცხოვანმა ნაკრებმა ამჯერადაც ისახელა თავი. ჩვენთვის ევროპის ამ ჩემპიონატზე მოპოვებული თითოეული მედალი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს ტურნირი ერთ-ერთი პრესტიჟული და საკმაოდ რთული მოსაგებია. მინდა ქართული კარატეს გულშემატკივრებს ვუთხრა, რომ შედეგებს ყოველ შეჯიბრებაზე ვაუმჯობესებთ და ხელშეწყობისთვის მადლობას ვუხდი სპორტის დეპარტამენტს და პირადად ბატონ დავით ნამგალაურს. ასევე, შემთხვევით მინდა ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო „ტაოპრივატბანკს", რომელიც ამჯერადაც ქართული კარატეს სპონსორი იყო და მის განვითარებაზე ზრუნვას კვლავ აგრძელებს. აღვნიშნავ, რომ ისევ მაღალი კლასი აჩვენეს ლევან გორელაშვილმა, დავით და ირაკლი ტყებუჩავებმა. ლევან გორელაშვილმა ჯუი-კუმიტეში — თავისუფალ ორთაბრძოლაში (ეს ბრძოლის ერთ-ერთი ურთულესი ვარიანტია) ევროპის ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთხელ, დამსახურებულად მოიპოვა. გუნდურ კუმიტეში ლევან გორელაშვილმა, ძმებმა - ირაკლი და დათო ტყებუჩავებმა იასპარეზეს და მესამე ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ მესამე ადგილი ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი გუნდების — თურქეთისა და შვეიცარიის ეროვნული ნაკრებების შემდეგ მოვიპოვეთ. მინდა მათ და საქართველოს მივულოცო ეს ბრწყინვალე გამარჯვება. ასევე არაჩვეულებრივ ფორმაში იყო აჭარის კარატეს წინამძღოლი და ვეტერანთა შორის კატასა და კუმიტეში მან ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა" — განაცხადა ბუქარესტის ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა,* **კახა ბასილიამ.**

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
**საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეს-მდივანი**

რაგბი. ლეგიონერები

# კრასნოიარსკელი ქართველები ფინალს მიღმა დარჩნენ



რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგაში პლეი ოფის ნახევარფინალური სერია დასრულდა. სამწუხაროდ, ქართველ მორაგბეთა კრასნოიარსკული კლუბები ფინალს მიღმა დარჩნენ.

დრამატული გამოდგა შეხვედრა კრასნოიარსკში, სადაც **თემურ სოხაძის, გიორგი ელიზბარაშვილის, არჩილ კოპალეიშვილისა და გიორგი სანიკიძის** „კრასნი იარი" ნახევარფინალის მესამე, გადამწყვეტ მატჩში მოსკოვის „სლავას" დაუპირისპირდა. შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 9:9 დასრულდა. საჭირო გახდა მატჩის შემდეგ არეკნების დარტყმა. ამ კომპონენტში უფრო ზუსტი მოსკოველები აღმოჩნდნენ და 5:4 გაიმარჯვეს.

თემურ სოხაძემ გუნდს საჯარიმო დარტყმებით 9 ქულა მოუტანა. მანვე ორჯერ საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ შეძლო გატანა. მატჩის შემდეგ არეკნებში კი ორი ქართველი სოხაძე და ელიზბარაშვილი მონაწილეობდა. ორივემ დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართვა თავი.

სტუმრად მონინოში, „ვვა-სთან" დამარცხდა ასევე ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩში **რატი ურუშაძისა** და **დავით კაჭარავას** „ენისეი" 26:40. ჩვენებურთა ეს გუნდი ახლა მესამე ადგილისთვის თანაქალაქურ „კრასნი იარს" დაუპირისპირდება. ბრინჯაოს მედლების დასაუფლებლად ორჯერ მოგებაა საჭირო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## განცხადება

**სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე (2008 წლის 31 ოქტომბერი) დასასწრებად ჟურნალისტთა სარეგისტრაციოდ განცხადების მიღება ინარმოებს 20 ოქტომბრამდე.**

*სეოკ-ის პრეს-სამსახური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ნიკა ცქიტიშვილი — ავტორის ფოტო

# ცქიტიშვილი ესპანეთში გადადის!

ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბის "ფუენლაბრადას" ოფიციალურმა საიტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს **ნიკოლოზ ცქიტიშვილთან**. იქვე ჩამოთვლილია ცქიტოს ტიტულები და მისი ყოფილი კლუბების სია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი უკვე "ფუენლაბრადაშია".

ჩვენთან საუბარში საქართველოს ნაკრების ფორვარდმა დაადასტურა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება ესპანურ კლუბთან, მაგრამ მისი სახელი არ დააკონკრეტა.

ესპანელები იმასაც ვარაუდობენ, რომ სკიტა მათ მომდევნო მატჩში დაეხმარება, მაგრამ ჯერ ისაა საკითხავი, კონტრაქტი როდის გაფორმდება და მეორეც – ჩაასწრებს თუ არა ნიკა "ფუენლაბრადას" მომდევნო მატჩს, რომელიც უახლოეს უქმეებზე გაიმართება.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ "ფუენლაბრადა" ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 2005 წელს დაბრუნდა. მომდევნო სეზონებში მაჩვენებელს აუარესებდა, ჯერ მეათე ადგილი დაიკავა, შემდეგ – მეთორმეტე, შარშან – მეცამეტე.

და კიდევ ერთი საკითხი: ნიკოლოზ ცქიტიშვილს კონტრაქტის მიხედვით იტალიურ "ტერამოში" კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა, თუმცა ტერამოელებს დაფინანსებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეექმნათ და ნიკამაც ესპანეთში გადასვლა გადაწყვიტა.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.



ავტორის ფოტო

ინტერვიუ ენერჯის ახალწვეულ პოლ მაკფერსონთან

# ენერჯი სწრაფი გუნდი ყოფილა, მეც ეგ მინდა...

რუსთავის "ქიმიკოსთა" დარბაზიდან გამოსულს საინტერესო სურათი დამხვდა: ათ ბავშვზე მეტი შეჯგუფულიყო და თავს აქეთ-იქით აქნევდა. კარგად რომ დავაკვირდი დავინახე, რომ ორ მათგანს ყურებზე ყურსასმენები მოერგო და, ალბათ, რეპს უსმენდა. კიდევ უფრო მეტი დაკვირვება დამჭირდა ბავშვების ჯგუფში ჩამჯდარი შავკანიანი კაცის გასარჩევად: პოლ მაკფერსონიც პატარებთან ერთად მუსიკას აყოლებდა თავს. ფოტოაპარატით რო დამინახა, ბავშვებთან ერთად სურათის გადასაღებად გაემზადა. მას ნაძალადევი ღიმილი არ დასჭირვებია, რადგან შინაგანად დადებითი პიროვნებაა და სახიდან ღიმილი იშვიათად სცილდება.

ალბათ, მიხვდით, პოლ მაკფერსონი რუსთავის "ენერჯის" ახალწვეულია. იგი ქართული კალათბურთის ისტორიაში ერთადერთი მოთამაშეა, რომელმაც NBA-ს გამოცდილებით საქართველოში ითამაშა. კარიერა, იცოცხლეთ, საინტერესო აქვს, მაგრა უფრო საინტერესო ისაა, ახლა როგორ ფორმაშია და რა დახმარებას გაუწევს "ენერჯის" ევროჩელენჯზე.

საკუთარ ფორმაზე, ახალ გუნდსა და ევროტურნირზე პოლ მაკფერსონი თავად გვესაუბრება.

ინტერვიუს ჩაწერისას ჯერ ნარიყალას ჩავუარეთ და რომ გაიგო, მისი საძირკველი მეოთხე საუკუნისაა, ძალიან გაუკვირდა, შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტის რეზიდენცია დაინახა და „ვაუ", ვერ შეიკავა. სპორტის სასახლეს რომ ჩავუარეთ და შეიტყო, სწორედ იქ უნდა გაიმართოს "სუმიქიმპრომთან" დაპირისპირებაო, ემოცია ნამდვილად არ გამოუხატავს – მის მშობლიურ ჩიკაგოში ხომ სუპერთანამედროვე საკალათბურთო დარბაზია... წესითა და რიგით, მაკფერსონს სპორტის სასახლის ინტერიერი უნდა მოეწონოს, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, მან თავი ქართველ ქომაგს მოაწონოს.

- საქართველოში ახალი ჩამოსული ვარ, მგზავრობით გადაღლილს ძილის მეტი არაფერი მიკეთებია. ამიტომ, თქვენი ქვეყნის კარგად გაცნობა ვერ მოვასწარი. ისე, აქ რომ მოვდიოდი, ვიცოდი, რომ ყველანაირად ლამაზი ქვეყანა გქონდათ, ხალხით დაწყებული, ბუნებით დამთავრებული. ვნახოთ, საქართველო როგორ კონკურენციას გაუწევს საბერძნეთს. აეკ-ში თამაშისას საბერძნეთმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**- რუსთავის "ენერჯის" თამაში თუ მოგეწონა?**

- ძალიან. სწრაფ და გააზრებულ კალათბურთს თამაშობს, რაც ჩემს სტილში ჯდება.

**- კონკრეტულად ვინმეს თუ გამოარჩევ?**

- 4 ნომერს (ლაშა გამყრელიძე). იგი ახალგაზრდაა და ძალიან სწრაფი. ეტყობა გამოცდილებაც.



**- იგი ეროვნული ნაკრების წევრია.**

- ასეც უნდა იყოს. "ენერჯიდან" კიდევ ვინ არის ნაკრებში?

**- 10 ნომერი, კოტე ტულუში.**

- ოო, ისიც მომეწონა. საერთოდ, "ენერჯის" ეტყობა, რომ გუნდურ კალათბურთს თამაშობს და ვიმედოვნებ, მეც კარგად მოვერგები.

**- ქართული კალათბურთის დონეზე რა აზრი შეგექმნა?**

- ვერ ვიტყვი, რომ სადაც მითამაშია, მათთან შედარებით ყველაზე მაღალი დონე გაქვთ, მაგრამ არც დაბალია. ჩემთვის დონეებს შორის სხვაობას მნიშვნელობა არა აქვს. რადგან "ენერჯიში" თამაში გადავწყვიტე, ბოლომდე დავიხარჯები.

**- ევროჩელენჯზე პირველ მატჩს 14 აგვისტოს ვმართავთ...**

- იმ დროისთვის გუნდთან მეტ-ნაკლებად შეთამაშებული უნდა ვიყო. ჩემთვის საინტერესო იქნება უკრაინის საკალათურთო ხარისხის გაცნობაც.

**- საქართველოში როდემდე დარჩები?**

- გუნდთან ერთთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. "ენერჯიში" ევროჩელენჯის მატჩების დასრულებამდე ვითამაშებ. შემდეგ ჩემს გზას მოვნახავ.

**- ჯგუფურ ეტაპზე გასვლით ევროტურნირზე ასპარეზობა თვეზე მეტხანს რომ გაგრძელდეს?**

- ასეთ შემთხვევაში კონტრაქტს აუცილებლად გავახანგრძლივებ. ისე, თუ აქაურობა მომეწონა და პირობებმაც დამაკმაყოფილა, "ენერჯიში" სეზონის ბოლომდე დარჩენაც არ იქნება პრობლემა.

**- საქართველოში ჩამოსვლა რამ გადაგაწყვეტინა?**

- უკლუბოდ ვიყავი, როცა ჩემმა მენეჯერმა მითხრა, ქართული გუნდი გეპატიჟებაო. ინტერესი იმანაც გაალვივა, რომ კონტრაქტის მიხედვით შემეძლო ერთი თვის შემდეგ სხვაგან გადასვლა. თუ მენეჯერმა უკეთესი ვარიანტი მომიძებნა, ევროჩელენჯის მატჩების დასრულების შემდეგ საქართველოს დავტოვებ.

**- პირველი თამაში ერთ კვირაშია, მისთვის რამდენად მზად ხარ?**

- ვიცოდი, რომ ოქტომბერში ევროპაში თამაში მომიწევდა და ამიტომ ამერიკაში ჩემს მეგობრებთან ერთად ვვარჯიშობდი. კვირაში ოთხჯერ მატჩებსაც ვატარებდი.

**- NBA-ში მხოლოდ ერთი სეზონი ითამაშე...**

- მართალია. "ფინიქსში" დავიწყე, შემდეგ "გოლდენ სტეიტში" გადავედი. დასაწყისისთვის ცუდად არ გამომდიოდა, მაგრამ შემდეგ ევროპაში, კერძოდ იტალიაში გადმოვედი.

**- NBA-დან წამოსვლა რამ გადაგაწყვეტინა?**

- მე და ჯეისონ რიჩარდსონს, რაღაც შეგვემთხვა, საქმე პოლიციასთან იყო დაკავშირებული. ჩემმა გუნდმა დამითხოვა და სხვა გზა არ მქონდა, კარიერა ევროპაში უნდა გამეგრძელებინა.

**- არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა NBA-ს კალათბურთელები მოკვეთის შემდეგ ლიგას დაჰბრუნებიან...**

- დაბრუნებულან ვარსკვლავები. მე კი რიგითი კალათბურთელი ვიყავი, NBA-ში კარიერის გაკეთება ერთი წლის დაწყებული მქონდა.

**- NBA-ში რამდენი მეგობარი გყავს?**

- ბევრი. მხოლოდ ვარსკვლავებს ჩამოვთვლი: შონ მერიონი, ბაირონ დევისი, ჯეისონ რიჩარდსონი, ბენ გორდონი... მათთან ერთად ყოველ ზაფხულს ამერიკაში ვვარჯიშობ. მხოლოდ ჩემი კოლეჯიდან ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში სამი კალათბურთელია: ბობი სიმონსი, სტივენ ჰანტერი და ჯეისონ რიჩარდსონი. ამ ზაფხულს "შარლოტ ბობქეთსმა" დრაფტზე ჩემი თანაგუნდელი აჯინგა აიყვანა. მასთან გასულ სეზონში "ტულონში" ვთამაშობდი და ახლოსაც ვარ.

**- ქართველ კალათბურთელებს თუ იცნობ?**

- მინახავს ზაზა ფაჩულიას თამაში, ნიკა ცქიტიშვილიც ვიცი "დენვერიდან"; ასევე - ვლადიმერ სტეფანია, რომელიც ბოლოს "პორტლენდში" ირიცხებოდა.

**- ისიც გეცოდინება, რომ საქართველოს ნაკრებში ამერიკელებსაც უთამაშიათ.**

- ვის?

**- შემონდ უილიამსმა 2 წელი ითამაშა.**

- ოო, იგი სერიოზული მოთამაშეა. ახლა ესპანეთშია.

**- უილიამსი ნაკრებში ტაირონ ელისმა შეცვალა.**

- ელისმა? მართლა? მას კარგად ვიცნობ, მაგრამ თქვენს ნაკრებში თუ თამაშობდა, ნამდვილად არ ვიცოდი. მათ ქართველ ქომაგებს თავი როგორ დაამახსოვრეს?

**- დადებითად.**

- ვეცდები, აქედან წასვლის შემდეგ ჩემზეც ასევე თქვან.

დუდუ დადიანის მემორიალი

# ჩატენვები NBA-სეულად

**8 აგვისტო, რუსთავი**

**A ჯგუფი**

**მაკაბი-სასოფლო 70:95**

11:22, 21:20, 25:27, 13:26

მაკაბი: კილაძე (9ქ), მალაკელიძე (7ქ), ჩლაიძე (5ქ), პატარაია (7ქ, 6მ), ლონდარიძე (7ქ), იოსელიანი (15ქ, 6მ, 2დ), ივანეიშვილი, ელიკაშვილი (14ქ, 6მ, დ), ბიბილური (6ქ), კოპალიანი

სასოფლო: გულისაბედაშვილი (12ქ, 5მ, 3ჩ), ძიძიგური (2ქ), ნივწივაძე (12ქ, 6პ), მ. ბერიშვილი (12ქ, 6მ, 2დ), მარხვაშვილი (4ქ, 3პ), გასიტაშვილი, ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (9ქ, 6მ), ბოქოლიშვილი (4ქ), ათანელიშვილი (8ქ, 14მ), გვიმრაძე (16ქ, 2დ), ჩაჩიბაია (16ქ)

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. არეშიძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ავიამშენი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2. სასოფლო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. მაკაბი | 2 | 0 | 2 | 2 |

**B ჯგუფი**

**ნტდ-თბილისი-თსუ 93:94**

19:25, 25:25, 29:17, 20:27

ნტდ-თბილისი: ჩიტაშვილი (24ქ, 5პ, 3ჩ), ფაშაევი (5ქ), სარიევი (2ქ), ნიფტალიევი (5ქ), მამაცაშვილი (2ქ), სუხიშვილი (3ქ), როდუმტა (22ქ, 14მ, 2დ), კოლუაშვილი, კეიდია (10ქ), ბახშიევი (20ქ, 7მ)

თსუ: დ. ბერიშვილი (15ქ, 4პ), გაფრინდაშვილი (10ქ, 3ჩ), გ. ბარბაქაძე, კოხრეიძე (3ქ), შანიძე (26ქ), მარკოიშვილი (6ქ, 2დ), ყველაშვილი (4ქ), ახალკაცი (1ქ), დ. ბარბაქაძე (29ქ, 12მ, 3პ, 4ჩ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

**ენერჯი-დინამო 120:58**

29:18, 29:13, 26:15, 36:12

ენერჯი: გამყრელიძე (1ქ, 8პ, 5ჩ), ბაბიაშვილი (21ქ, 8მ), მაკფერსონი (11ქ, 5პ), ლეჟავა (2ქ), დიდია (3ქ), ცეკვავა, ტულუში (9ქ, 6მ, 3პ), უგრეხელიძე (19ქ), რადოიჩიჩი (14ქ, 6პ), ტუჯანი (5ქ, 7მ), ჭოჭუა (8ქ), ვუკადინოვიჩი (17ქ)

დინამო: ბაქრაძე (11ქ, 4პ), ნანიტაშვილი (5ქ), სორდია (7ქ, 3პ), ლაფანაშვილი (5ქ), დოლიძე (2ქ), სიგუა (3ქ), თავამაიშვილი (2ქ, 5მ), ხანიაშვილი (6ქ), კორკოტაძე (4ქ), ხიზანიშვილი (10ქ), გემაზაშვილი, ბააკაშვილი (3ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. თსუ | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. დინამო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. ნტდ-თბილისი | 2 | 0 | 2 | 2 |

დადიანის მემორიალის მეორე ტურში სამი მატჩი გაიმართა და სამივე თავისებურ დატვირთვას ატარებდა.

პირველ შეხვედრაში "მაკაბი" "სასოფლო უნივერსიტეტს" დაუპირისპირდა. მეორე გუნდის დასახელება თავისთავად ნიშნავს სიახლეს – "სასოფლო" პირველად ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. მწვრთნელმა, **მიხეილ კობეშავიძემ** თავი მოუყარა საქართველოს ჩემპიონატში გამოცდილებამიღებულ კალათბურთელებს. შემადგენლობა ისეთია, რომ მისგან არათუ "მაკაბის" ძლევა არ უნდა გაგვიკვირდეს, არამედ დღეს "ავიამშენთან" თანაბარ თამაშს უნდა ველოდეთ. თავად განსაჯეთ: "სასოფლოში" ერთბაშად შვიდი ექსვითელია: **ძიძიგური, ნივწივაძე, ბერიშვილი, მარხვაშვილი, გასიტაშვილი, ცერცვაძე და გვიმრაძე.** მათ ორი დინამოელი დაემატა – **გულისაბედაშვილი და ათანელიშვილი.** ამ შემადგენლობას **ტატო ჩაჩიბაიას, ლევან ტყეშელაშვილსა** და კადეტთა ნაკრების წევრ **მერაბ ბოქოლიშვილს** თუ დავუმატებთ, ანგარიშგასაწევ გუნდს მივიღებთ.

მეორე მატჩის მონაწილე გუნდებზე წინა ნომერში გესაუბრეთ. "ნტდ-თბილისი" და თსუ თანაბარი ძალის კლუბები რომ არიან, ეს გუშინაც გამოჩნდა. დღის მთავარი მატჩი სწორედ თსუ-"ნტდ-თბილისის" დაპირისპირება იყო. შეხვედრა საინტერესო სანახავი აღმოჩნდა და როგორც ანგარიშიდან ჩანს, გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებმა გამოარკვია. ბოლო წუთს ნტდ-ს კალათბურთელები მცირე უპირატესობით შეხვდნენ, თუმცა "ვითადან" თსუ-ში დაბრუნებულმა **გიორგი მარკოიშვილმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გადამწყვეტ ეპიზოდებში შეცდომებს იშვიათად უშვებს. მან ბოლო წუთზე სამქულიანს ორიანი მიამატა და სტუდენტებმაც 94:93 იმარჯვეს.

მესამე შეხვედრა საინტერესო არა მსვლელობით, არამედ - მოქმედი პირებით იყო. "ენერჯის" მაისური პირველად მოირგეს ამერიკელმა **პოლ მაკფერსონმა, ბოიან ვუკადინოვიჩმა** და **ნიკოლა რადოიჩიჩმა.**

მაკფერსონი მართლაც მაღალი კლასის კალათბურთელია. იგი რიგ ეპიზოდებში NBA-სთვის დამახასიათებელ ეფექტურ კალათბურთს უჩვენებდა – ლამაზად ტენიდა, გამჭრიახ პასებს არიგებდა... მოკლედ, პოლი "ენერჯის" ძალიან გამოადგება. მთავარია, გუნდთან ადაპტაცია დროულად მოასწროს. ის ხომ საქართველოში გუშინწინ ჩამოვიდა. "დინამოსთან" მაკფერსონს აშკარად ეტყობოდა, რომ ინიციატივის საკუთარ თავზე აღებას ერიდებოდა. არა გვგონია, ევროთასის მატჩებშიც ასე იყოს...

ბოიან ვუკადინოვიჩი მძიმე ფორვარდია, მაგრამ იოვან სტეფანოვის დარად, პერიმეტრზეც ხშირად ადის და სამქულიანების რეალიზებაც ხელეწიფება. იგი გუშინ მეორე ტაიმში მოედანზე არ გამოჩენილა, რადგან გაცივებული იყო.

დიდი ყურადღება მიიქცია 22 წლის ნიკოლა რადოიჩიჩმა. ის მაღალია, სწრაფი, მოედნის ხედვაც აქვს, შორიდანაც კარგად ისვრის და ფარქვეშიდანაც მაღალი ტრაექტორიით უშვებს ბურთს. ერთი სიტყვით, სერბიული სკოლის გავლენა აშკარად ეტყობა.

აშკარაა, რომ სამივე ახალწვეული გუნდურ კალათბურთსაა მიჩვეული და იმედი ვიქონიოთ, რომ 14 ოქტომბრამდე "ენერჯისთან" შეთამაშებას მოასწრებენ.

მანამდე მემორიალის ფინალია – რუსთაველებმა ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე 1 ტურით ადრე გაინაღდეს ფინალში თამაში. ხვალ ფინალურ მატჩში "ენერჯის" "ავიამშენი"-"სასოფლოს" წყვილში გამარჯვებული დაუპირისპირდება.

გვერდის მასალები მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა

ჩოგბურთი

# ახალგაზრდები თამამდებიან...



ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე მიმდინარე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ვაჟთა და ქალთა შორის გუშინ ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება. ვაჟთა შორის **გიორგი ხრიკაძე გიორგი რევაზიშვილს** ხოლო **სოზარ გოქაძე ალექსანდრე თავხელიძეს** დაუპირისპირდება. ნახევარფინალებამდე ამ ოთხეულს იოლად არ მოულწევია - ხრიკაძემ, რომელიც მთავარი ფავორიტია და პირველ ნომრად არის განთესილი, გუშინ დაძაბულ სამ სეტში აჯობა **ალექსანდრე მეტრეველს** -6:2; 3:6; 6:1. სამი სეტი დასჭირდათ მოსაგებად გოქაძესა და რევაზიშვილს, თავხელიძემ კი მეორე ნომრად განთესილი **ბექა ბუჩუკური** გამოთიშა ასპარეზობას. თავხელიძის წარმატება ყველაზე დიდი მოულოდნელობაა, რადგანაც იგი რვა განთესილშიც კი ვერ მოხვდა. ვნახოთ, დღეს თუ შეძლებს მეოთხე ნომრად განთესილ სოზარ გოქაძის დამარცხებას.

ქალებში ერთი ნახევარფინალური წყვილი **მანანა შაფაქიძემ** და **ნინო მებუკემ** შეადგინეს, მეორე კი **მაგდა ოქრუაშვილმა** და **ანა ჯიქიამ**. ოთხივე ჩოგბურთელი განთესილია და აქამდე მათ მოსვლას მოულოდნელს ვერ დაარქმევ, მაგრამ თუკი მეხუთედ ნომერი მებუკე დღეს პირველ ნომერ შაფაქიძეს დაამარცხებს, მაშინ კი შეგვეძლება მოულოდნელი შედეგის კვალიფიკაცია მივცეთ შეხვედრას. ჯიქია მეორე ნომერია და მესამე ნომრად განთესილ ოქრუაშვილთან დიდი ბრძოლა გადახდება...

ჩემპიონები წყვილთა თანრიგშიც უნდა გამოვლინდეს. ვაჟებში უკვე ერთი ფინალისტი ცნობილია - რევაზიშვილი - მეტრეველი იბრძოლებენ ოქროს მედლისთვის, მაგრამ ვისთან მოუწევთ დაპირისპირება, ამას დღეს შეიტყობენ, როცა გოქაძე-ხრიკაძისა და **ლაშა ქარჩაიძე - ნიკა კაკულიას** წყვილების შეხვედრა დასრულდება.

ქალებში ფინალისტები ცნობილია: შაფაქიძე - ჯიქია დავითაია - მებუკეს წყვილს შეუტევს. შეხვედრები დღეს დილით, 10 საათიდან დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

# კალაშნიკოვამ ზედიზედ მესამედ მოიგო

ახლა ლეილა მესხის საჩოგბურთო კორტებზე საქართველოს პირველობა იმართება, მაგრამ მასში არ მონაწილეობენ ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელები. მაგალითისთვის, ქალთა შორის ჩემპიონატში ყველაზე მაღალრეიტინგიანი **მანანა შაფაქიძეა**, რომელიც საქართველოს მეექვსე ჩოგანია. დანარჩენებმა სხვადასხვა ტურნირში ითამაშეს, ანაც სულაც დასვენება (**ანა ტატიშვილი, სოფიო შაფათავა**) არჩიეს. **მაკა ჩახნაშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა** და **ეკა გორგოძე** კი ბედს (შესაბამისად) საფრანგეთში, მექსიკასა და ესპანეთში ცდიან.

მექსიკის ქალაქ სან ლუის პოტოსიში ოქსანა კალაშნიკოვას ძირითად ბადეში გასაღწევად საკვალიფიკაციო ბატალიების გადატანამ მოუწია. თუმცა 18 წლის ჩვენებურმა იოლად გაართვა ამოცანას თავი და ძირითად ბადეშიც ყოჩაღად დაიწყო – ოქსანამ პირველ წრეში არგენტინელი **ვანესა ფურლანეტო** (570) ორ სეტში დაამარცხა – 6:3, 6:4 და ტურნირის მერვედფინალში გაალწია. მეორე წრეში მას უკვე სერიოზული მეტოქე ეყოლება, ოღონდ რომელი – მე-8 ნომრად განთესილი არგენტინელი **ფლორენსია მოლინერო** (297) თუ ესპანელი **არანჩა პარა-სანტონია** (433) წუხელ გაირკვეოდა. წყვილთა თანრიგში ოქსანა და ვანესა ფურლანეტო მეოთხედფინალში დამარცხდნენ პარა-სანტონიასა და **აგუსტინა ლეპორეს** (არგენტინა) მე-2 ნომრად განთესილ დუეტთან – 3:6, 4:6.

**ლაზარე კუხალაშვილს** იტალიაში 10-ათასიან ტურნირში, ელიტის ყოფილი წევრის, დანიელე ბრაჩიალის (იტალია) წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ ბოლო მომენტში ლაზარე ტურნირზე არ გამოცხადდა და მის მაგივრად „იღბლიანმა დამარცხებულმა“ ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

# ლიდერი ფოთია

18-წლამდელ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის დასავლეთის ზონის გათამაშება დასრულდა – პირველი ადგილი „ფოთმა“ მოიპოვა. ჩემპიონატში 8 გუნდი მონაწილეობს, ისინი ორ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონებში არიან განაწილებულნი. ორი ეტაპის ჯამში დასავლეთში „ფოთმა“ გაიმარჯვა, რომელმაც ჩემპიონი „სამტრედია“ ჩამოიტოვა. აღმოსავლეთის ზონის შეხვედრები გასულ კვირას დასრულდა, ახლა დარჩა მესამე ეტაპი, რომელშიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ჩემპიონატში საუკეთესო ორი გუნდი ნოემბრიდან ეროვნულ ჩემპიონატში (დიდებში) ითამაშებს. აღმოსავლეთ ზონაში, თბილისის, გორის, ყვარელის და რუსთავის გუნდები ირიცხებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| დასავლეთი ზონა | |
|---|---|
| **6 ოქტომბერი** | |
| სამტრედია-ფოთი | 33:34 |
| ქუთაისი-ბათუმი | 27:17 |
| **7 ოქტომბერი** | |
| ბათუმი-სამტრედია | 15:22 |
| ქუთაისი-ბათუმი | 17:40 |
| **8 ოქტომბერი** | |
| ბათუმი-ფოთი | 28:40 |
| ქუთაისი-სამტრედია | 27:33 |

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველო დუბაის გამოეთიშა

დუბაიში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპს, გათამაშების მეორე დღეს გამოეთიშა ქალთა შორის ქართული წყვილი **საქა-რთველო**. ჩვენი ფრენბურთელები, რომლებიც ტურნირზე მე-5 ნომრად იყვნენ განთესილნი, ჯერ 21-ე ნომერ კანადურ დუეტთან, **ლეზარდისთან** და **მარტინთან** დამარცხდნენ სამ სეტში 18:21, 21:19, 9:15. მერე კი, მე-11 ნომრად განთესილ ამერიკულ წყვილთან ვერას გახდნენ. ბრძოლა აქაც სამ სეტში გაგრძელდა. პირველი საქართველომ გაჭირვებით 21:19 მოიგო. თუმცა მერე, მეორეში თითქმის უბრძოლველად დანებდა 14:21. მესამე გადამწყვეტ სეტში, ჩვენმა ფრენბურთელებმა ძალების მობილიზება შეძლეს, მაგრამ გვიანღა იყო. ამერიკელებმა სეტი 17:15 მოიგეს და ტურნირზე ასპარეზობას სწორედ ისინი გააგრძელებენ.

ამრიგად, საქა-რთველომ დუბაიში მე-17 ადგილი დაიკავა. რისთვისაც 120 სარეიტინგო ქულა და 2 500 ამერიკული დოლარი პრემიალური თანხა მიიღო. მორიგი ეტაპი, სადაც საქა-რთველო იასპარეზებს, 4-9 ნოემბერს ტაილანდის ქალაქ პუკეტში გაიმართება.

წარმატებული სტარტი აიღო დუბაიში ვაჟთა შორის ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ**. ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველ შეხვედრაში რუსები **კარპუხინი** და **რომაშკინი** დაამარცხეს ორ სეტში 21:15, 22:20. მეორე შეხვედრას გეორ-გია დღეს შვეიცარიელი დუეტის **ლაციგასა** და **შნიდერის** წინააღმდეგ გამართავს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# კოკაი: რომ არა ოპერაცია

წლის მეხუთე სუპერტურნირი, აკი ბაშო უკვე ისტორიის კუთვნილებაა. 27 ოქტომბერს, სექტემბრის ბაშოს შედეგების მიხედვით, სუმოისტთა ახალი რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე) გამოქვეყნდება, რომელშიც სამივე ქართველი ფალავანი წინ წაიწევს. რეიტინგი სუმოს ასოციაციის წევრების გადასაწყვეტია და არც თუ იშვიათად სიის შედგენისას ისინი სუბიექტური მოსაზრებებით სარგებლობენ, თუმცა იაპონურ მედიაში უკვე გამოაქვეყნეს სავარაუდო ბანძუკე (რამდენიმე შესაძლო ვარიანტით). 20 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** მე-10 მაეგაშირაა, ჩვენებურმა ბაშო 8-7 ბალანსით დაასრულა. სავარაუდოდ, ის მე-6 ან მე-7 მაეგაშირა გახდება. **ლევან ცაგურიამაც (კოკაი)** ტურნირი 8-7 ბალანსით დაასრულა, კოკაი მე-16 მაეგაშირა იყო, სავარაუდოდ, ის მე-10 ან მე-11 მაეგაშირა გახდება. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში რანგით 43-ე რიკიშმ **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** შეჯიბრება 4-3 ბალანსით დაასრულა, ის დაახლოებით 15 საფეხურით წაიწევს წინ.

გუშინ, კოკაის იაპონიაში შევეხმიანეთ, მასთან ინტერვიუს მოგვიანებით შემოგთავაზებთ, სექტემბრის ბაშოს მიმდინარეობაზე კი ქართველმა სუმოისტმა შემდეგი გვითხრა: „აგვისტოში მცირე ოპერაცია გავიკეთე ზურგის პრობლემების გამო. ამან ასპარეზობაში ხელი შემიშალა და კარგი სტარტის მიუხედავად, მთელი ტურნირი სტაბილურად გამოსვლა ვერ შევძელი. თუმცა მთავარი მიზანი - დადებითი ბალანსი, მიღწეულია“.

წლის უკანასკნელი სუპერტურნირი, ნოემბრის ბაშო ფუკუოკაში 9-23 ნოემბერს გაიმართება. ამ ტურნირს კიუშუს ბაშო ეწოდება, რადგან ფუკუოკა კუნძულ კიუშუზეა (რუსული ვერსიით კიუსიუ).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ხიბლი მსოფლიოს ჩემპიონობისა

ამას წინათ გაუწყეთ, რომ ტოკიოში ძიუდოისტთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა (**ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, ვალერი ლიპარტელიანი, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი, ლაშა გუჯეჯიანი, ნოდარ მეტრეველი**, მთავარი მწვრთნელი - **შოთა ხაბარელი**) ზედიზედ სძლია კორეის (6:1), ბრაზილიის (5:1), უზბეკეთის (4:2) ეროვნულ გუნდებს და ჩემპიონობა მოიპოვა.

იაპონიიდან დაბრუნებული სპორტსმენები და ძიუდოს ფედერაციის მესვეურები გუშინ, სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ნაკრების წარმატებაზე ილაპარაკეს ფედერაციის პრეზიდენტმა **დილარ ხაბულიანმა**, ვიცე-პრეზიდენტებმა - **დავით ბერძენიშვილმა** და **შენგელი ფიცხელაურმა**. ჩემპიონატის პერიპეტიები დამსწრეთ უფრო ფართოდ შოთა ხაბარელმა გააცნო.

- მართალია, ძნელ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ბიჭების განწყობილებაზე ამას ზეგავლენა არ მოუხდენია, - აღნიშნა ბატონმა შოთამ, - ისინი მომზადებული და მობილიზებული შეხვდნენ ამ ტურნირს. შედეგები უკვე იცით, ამიტომ მათზე ყურადღებას არ გავამახვილებ. უბრალოდ, მინდა აღვნიშნო თითოეული შეხვედრის წინ ბიჭების მებრძოლი სულისკვეთება, რამაც საბოლოო გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შეჯიბრებისას მთელი დარბაზი ჩვენ გვქომაგობდა - ქართველი ძიუდოისტების ტატამზე გამოჩენას გულშემატკივრები ოვაციებით ხვდებოდნენ. ჟურნალისტებისგან კი წუთითაც არ გვქონდა მოსვენება - ყველაფერი აინტერესებდათ ჩვენს ქვეყანაზე, განსაკუთრებით საქართველო-რუსეთთან დაკავშირებული ურთიერთობები...

უზომოდ ბედნიერი ვარ. მართალია, სეზონის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გველის - ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონატი, მაგრამ სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლი ღირსეულად დავასრულეთ: ამ ხნის განმავლობაში გუნდური მსოფლიო თასიც მოვიპოვეთ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობაც, პეკინის ოლიმპიადაზე სრული ნაკრებით წარვდექით, ირაკლი ცირეკიძემ ოლიმპიურ თამაშებსა და პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან ჭიდილში ოქროს მედლები დაიმსახურა, ზაზა კედელაშვილი ზედიზედ სამჯერ ავიდა ევროპის ჩემპიონატების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. აღარაფერს ვამბობ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მოხვეჭილ „ვერცხლსა“ და „ბრინჯაოზე“. დღეს ყოველგვარი წინა პირობაა იმისა, რომ მომავალ ოლიმპიურ ციკლში წარმატება ვამრავლოთ.

**გია გალდავა**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე: *„ძიუდოს ფედერაციის მესვეურებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს გულწრფელად მინდა მივულოცო ეს გამარჯვება. რუსეთის აგრესიის შედეგად გადატანილი ტკივილის შემდეგ ამ წარმატების მნიშვნელობა განუზომელია.*

*ძიუდოს ფედერაცია წარმატებული ორგანიზაციაა, სახელმწიფოსგან პრობლემები არასდროს ჰქონია და მომავალშიც ასე იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტსმენების კვალდაკვალ წინ მიიწევენ არბიტრებიც. მაგალითად, ტოკიოს ტურნირზე ბატონ ვლადიმერ ნუცუბიძეს გადასცეს სპეციალური ბარათი, ანუ სერტიფიკატი, რომლის საფუძველზეც მას მსოფლიოს ჩემპიონატებზეც შეუძლია მსაჯობა“.*

პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ ძიუდოისტთა ნაკრების რამდენიმე წევრს გავესაუბრე:

**დავით ქევხიშვილი**: *„იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებამ ძალიან გამახარა. განსაკუთრებით იმით ვარ კმაყოფილი, რომ ჩემთვის უჩვეულო წონაში ბიჭებს მხარი ავუბი და ფინალური პაექრობისას გუნდს გადამწყვეტი ქულა შევძინე.*

*იცით, რომ 81 კილოში დიდი ხანია, პრობლემები გვაქვს. მწვრთნელთა თხოვნით, ტოკიოში სწორედ ამ წონაში ვცადე ბედი და, როგორც აღმოჩნდა, არცთუ ურიგოდ. კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაში ვიჭიდავებ და შედეგები თუ მექნა, შესაძლოა, საბოლოოდ 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში გადავინაცვლო“.*

**ვალერი ლიპარტელიანი**: *„ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე უფროსების მხარდამხარ პირველად ვიასპარეზე. ნდობისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ნაკრების მწვრთნელებს. დებიუტანტის კვალობაზე მათთვის იმედები არ გამიცრუებია - სამივე შეხვედრა მოვიგე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს. გორში საწვრთნელ შეკრებაზე ამაღლებული გრძნობით მივდივარ ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებლად. ბატონი ბორის ფიცხელიანის ხელმძღვანელობით ვივარჯიშებთ. ვიმედოვნებ, რომ წლის ბოლო ასპარეზობაც ჩემთვის იღბლიანი იქნება“.*

**ზურაბ კახაბრიშვილი**, ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი, რომელიც ძიუდოისტებს ახლდა ტოკიოში: *„მივედით, ვნახეთ გავიმარჯვეთ... სათქმელად მართლაც, იოლია, თუმცა, რამდენი გარჯაა ჩაქსოვილი ამ წარმატებაში! შეჯიბრებაზე გამგზავრებამდე რამდენიმე მოჭიდავეს მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ გუნდური შეჯიბრების ხიბლი ის არის, რომ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი პრობლემები ყველას ავიწყდება. აღფრთოვანებული ვარ ჩვენი ბიჭებით - ტკივილი არავის გახსენებია. განსაკუთრებით ნესტორ ხერგიანი მინდა გამოვყო - გუნდის ვეტერანმა ბიჭებს თავდადების ნამდვილი მაგალითი მისცა - სამივე შეხვედრა მოიგო. მთელი არსებით ვეთანხმები ერთ-ერთი გულშემატკივრის შეფასებას - მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებით ჩვენმა ძიუდოისტებმა ქართველ ერს ყოველდღიური პრობლემები და რუსეთის აგრესიით მიყენებული ტკივილი, დროებით შეუმსუბუქეს“.*

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ინტერვიუ ელტონ ბრენდთან

# ფილადელფიას ისტორიაში შევალ

**ელტონ ბრენდი** თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ამ ზაფხულს მისი გადაწყვეტილება ბევრს გაუკვირდა. ბრენდი თავის მშობლიურ შტატში დაბრუნდა და „ფილადელფია სიქსერზის" შემადგენლობაში ჩაირიცხა.

არადა ისე ჩანდა, რომ ბრენდი ჰოლივუდში დიდი ხნით იყო ჩარჩენილი, ხოლო მის აწ უკვე ყოფილ გუნდში - „ლოს ანჯელეს კლიპერსში" ბაირონ დევისის მისვლის შემდეგ, თავდამსხმელი ვალდებული იყო კალიფორნიაში დარჩენილიყო და ჩემპიონობისთვის ებრძოლა. მაგრამ ბრენდი „ფილადელფიაში" გადაბარგდა და წესით, იქაც ვერ უნდა იგრძნოს საჩემპიონო ამბიციის დეფიციტი. მას ხომ გვერდს ანდრე იგუოდალა უმშვენებს.

**რა განწყობით ხვდება ბრენდი ახალ სეზონს ახალ გუნდში? ამ კითხვას ელტონი NBA.com-ზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში პასუხობს.**

**- გულახდილად მითხარით, ღელავთ თუ არა ახალი სეზონის წინ?**

- ძალიან ვღელავ. „ფილადელფიაში" ახალ თანაგუნდელებთან ერთად ვვარჯიშობ. სანამ საწვრთნელ ბანაკში ძირითადი მოთამაშეები გამოჩნდებოდნენ, ახალგაზრდებთან ერთად ვმეცადინეობდი და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მათ ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. უაღრესად ნიჭიერი გუნდი გვყავს და ერთი სული მაქვს, როდის ჩავებმები ახალ რეგულარულ ჩემპიონატში.

**- რამდენი ხანი დასჭირდება ახალ პარტნიორებთან შეთამაშებას?**

- „ფილადელფია" ახალგაზრდა გუნდია. ვნახოთ, რა დრო დასჭირდება ახალბედების დაოსტატებას. ჩვენს გუნდს ყველა პირობა აქვს დიდი კალათბურთის სათამაშოდ. წინასწარ მითხრეს, რომ გუნდის ტაქტიკა ჩემზე იქნება აწყობილი, მაგრამ ეგოისტი არასოდეს ვყოფილვარ და ამ პრივილეგიას ბოროტად არ გამოვიყენებ. უბრალოდ, თამაშების მოგება მინდა - ეს არის ჩემი მიზანი. ანდრე მილერთან ერთად ადრეც მითამაშია. იმ წელს, როცა პირველად ვთამაშობდი „ყველა ვარსკვლავის მატჩში", მილერი იმ გუნდში გამთამაშებელი იყო. ვფიქრობ, კარგად მოვერგები „ფილადელფიას" სათამაშო სქემებს.

**- თქვენ დასავლეთ კონფერენციაში თამაშობდით, სადაც მეოთხე ნომრების დიდი კონკურენციაა. ამ მხრივ აღმოსავლეთში როგორ არის საქმე?**

- დასავლეთში მართლაც უდიდესი კონკურენცია იყო, მაგრამ კევინ გარნეტისა და ზაკ რენდოფის აღმოსავლეთში გადასვლის შემდეგ, ამ კონფერენციაშიც შეიკრა ჩვენი ამპლუის მოთამაშეების ძლიერი დაჯგუფება. აღმოსავლეთში ჩემამდეც ბევრი მაღალი კლასის ფორვარდი თამაშობდა, მაგრამ ეს კონფერენცია უფრო კარგი მცველებით არის ცნობილი. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდება. შევეცდები, ჩემი ჩასვლით ფორვარდებს შორის კონკურენცია ავამაღლო.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლება თუ არა „ფილადელფიას" აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველი ადგილისთვის ბრძოლა?**

- რანგის მიხედვით პირველ ადგილზე მსოფლიოს ჩემპიონ „ბოსტონს" ვაყენებ. შემდეგ მოდის „დეტროიტ პისტონზი", რომელიც ყოველ წელს მაღალ შედეგებს აჩვენებს. მათ მოჰყვებიან „კლივლენდი", „ორლანდო".. ეს უკანასკნელი ძალიან გაძლიერდა. აღმოსავლეთში ბევრი კარგი გუნდია. რაც შეეხება „ფილადელფიას", როგორც გითხარით, ახალგაზრდა გუნდი გვყავს. „სიქსერზის" შესაძლებლობებზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა ზემოთ ნახსენებ გუნდებს შევხვდებით. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად ვაჩვენებთ ღირსეულ შედეგს.

**- რამდენად გააძლიერებს ანდრე იგუოდალას თამაშს „ფილადელფიაში" თქვენი გამოჩენა?**

- ჩემი ვარაუდით, მეტოქე გუნდი დაცვაში ხშირად ორ მეურვეს მომიჩენს, რის გამოც იგუოდალას მეტი თავისუფლება ექნება. მას შეუძლია ფარქვეშ შესვლა, ეხერხება დრიბლინგი, კარგად დაყენებული ტყორცნა აქვს... გასულ წელს საშუალოდ მატჩში 20 ქულას აგროვებდა. ახლა კი, როცა შეტევაში თამაშს გავუადვილებ, შეიძლება ეს სტატისტიკა კიდევ უფრო გაიზარდოს. მეტოქეები უნდა უფრთხოდნენ ანდრეს.

**- ფიქრობთ, რომ „სიქსერზის" შეტევები ძირითადად მაღალ კალათბურთელებზე აიგება?**

- ჩემი აზრით, სწრაფი კონტრშეტევებით ვითამაშებთ, სხვა შემთხვევებში კი, რა თქმა უნდა, „მაღლების" იმედი უნდა გვქონდეს.

**- გაგიჭირდათ ლოს ანჯელესის დატოვება?**

- რა თქმა უნდა, რთული იყო, მაგრამ ასეთია ბიზნესი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ლოს ანჯელესში ბევრი გულშემატკივარი დამრჩა. მათთან ახლო ურთიერთობა მქონდა, ზოგიერთს ჩემს მეგობრად ვთვლი და ისინი ძალიან მენატრებიან. მაგრამ ფილადელფიაში დაბრუნებაც არ არის ცუდი. სახლამდე (კორტლენდი, ნიუ იორკის შტატი) ნახევარი საათის სავალია, ჩემი მეუღლე პირველი ბავშვის გაჩენისთვის ემზადება, მხარდაჭერაც დიდი მაქვს - ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

**- იცნობდით თუ არა „სიქსერზის" ტრადიციებს? თუ ფილადელფიაში ჩასვლის შემდეგ შეიგრძენით იქაური ატმოსფერო?**

- ჩემთვის დიდი პატივია უილტ ჩემბერლენის, დოქტორ ჯეის, მოზეს მელოუნისა თუ ჩარლზ ბარკლის მიერ დამკვიდრებული ტრადიციების გაგრძელება. ბოლო წლებში ალენ აივერსონიც ჩემი საყვარელი მოთამაშეების სიაში შევიყვანე. ამ კლუბს უდიდესი ისტორია და ტრადიციები აქვს და არ ვაპირებ აქ შედეგიანობის რეკორდებისთვის ბრძოლას - ასეთი დიადი კალათბურთელების შემდეგ ამაზე ფიქრი უაზრობა იქნება. უბრალოდ, შევეცდები, კლუბს რაც შეიძლება მეტი თამაში მოვაგებინო და ქალაქის ისტორიაში საკუთარი კვალი დავტოვო.

**- რა პროგნოზს გააკეთებთ მომავალი სეზონის წინ?**

- ერთადერთი პროგნოზი ის არის, რომ „ფილადელფია" დაიხვეწება. აუცილებლად უკეთ ვითამაშებთ. რამდენად უკეთ, არ ვიცი, მაგრამ პროგრესი ნამდვილად იქნება.

**- ასაკი გემატებათ და დროა, სერიოზულად იფიქროთ საჩემპიონო ბეჭდის მოპოვებაზე...**

- გეთანხმებით. მალე 29 წელი შემისრულდება... „ბოსტონ სელტიქსისა" და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მაგალითი მამშვიდებს. „ბოსტონი" ორი წლის წინ აუთსაიდერი იყო, შარშან კი ჩემპიონი გახდა. ასევე ორი-სამი წლის წინ „კლიპერსში" თამაშისას, „ლეიკერსზე" უკეთესად გამოვიყურებოდით. ახლა კი ამ გუნდს ფინალში ვხედავთ. ასე რომ, გამორიცხული არ არის, მალე „ფილადელფიას" დროც დადგეს.



## ჯეიმისონმა თამაში ვერ დაასრულა

„ვაშინგტონ უიზარდსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ანტუან ჯეიმისონმა** წინასასეზონო პირველივე საწვრთნელ შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო. „დალასის" წინააღმდეგ თამაშისას, ფორვარდმა ფეხი იმ დროს დაიზიანა, როცა მეტოქისთვის ბურთის წართმევას ცდილობდა.

საბოლოოდ, ანტუანმა მხოლოდ პარტნიორების დახმარებით შეძლო მოედნის დატოვება. კალათბურთელს სამედიცინო შემოწმება დღეს ჩაუტარდება და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება ჯეიმისონის მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი.

გასულ სეზონში ჯეიმისონი „ვაშინგტონის" საუკეთესო ბომბარდირი იყო. ის საშუალოდ მატჩში 21.4 ქულას და 10.2 მოხსნას აგროვებდა.

## რუბიო ექვსი კვირა დაისვენებს

პეკინის თამაშების აღმოჩენად მონათლული **რიკი რუბიო** ექვსი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ესპანეთის ნაკრებისა და „ხუვენტუდის" მცველს ხელზე ართროსკოპიული ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც ექიმებმა საბოლოო დიაგნოზი გამოიტანეს - რუბიოს დაახლოებით თვე-ნახევარი მოუწევს დასვენება.

ესპანელმა კალათბურთელმა ტრავმა 24 აგვისტოს, პეკინის ოლიმპიადის ფინალური მატჩის დღეს მიიღო. ამის შემდეგ, რუბიო ხელში ყრუ ტკივილს გრძნობდა, ხოლო როცა ტრავმამ სერიოზული ხასიათი მიიღო, ექიმებმა კალათბურთელს მყესების ნაწილობრივი განყვეტა დაუდგინეს, თუმცა ოპერაციის გაკეთებისგან თავი შეიკავეს.

ერთიანი ბიბლიოთეკა

## NBA. საწვრთნელი მატჩები

**კლივლენდი-ტორონტო 84:104**

28:20, 23:23, 22:35, 11:26

კ: ილგაუსკასი (16), მ. უილიამსი (12), გიბსონი (12).

ტ: სოლომონი (17), ბარნიანი (15), ჰემფრი (14), პარკერი (12), ბოში (11), ჯ. ო'ნილი (11).

**ლეიკერსი-იუტა 90:99**

26:19, 16:21, 27:36, 21:23

ლ: ბინუმი (15), ფარმარი (15), არისა (10), ბრაიანტი (8), გასოლი (6).

ი: ბრიუერი (13), მილსეპი (13), დ. უილიამსი (11), ელმონდი (10).

**პორტლენდი-საკრამენტო 110:81**

21:31, 32:19, 32:13, 25:18

პ: უებსტერი (15+6 მ), როი (14+7 პ), ოლდრიჯი (13), ოდენი (13), როდრიგესი (11+7 პ), დიოგუ (10), პრჟიბილა (7+12 მ).

ს: გრინი (18), გარსია (12).

**ჰიუსტონი-მემფისი 96:93**

22:24, 24:19, 25:27, 25:23

ჰ: ლენდრი (18+5 პ), არტესტი (15+6 მ), ბრუკსი (13), ბერი (10).

მ: უორიკი (15), გეი (14), მაიო (14), კონლი (13), ლოური (12).

**დალასი-ვაშინგტონი 108:82**

27:28, 28:12, 22:18, 31:24

დ: ნოიცკი (17+7 მ), ბასი (17), ჰოვარდი (15+6 მ), ტერი (11).

ვ: ბლეტჩი (18), პეჩეროვი (12), ბატლერი (11).

ჩოგბურთი



## ანა ისევ გარეკანზეა

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** ჩინეთში გამომავალი ორი ჟურნალის გარეკანი დაამშვენა. ეს გამოცემებია - Sports Illustrated და პოპულარული ყოველკვირეული Beijing News Weekly.

*„ჩინეთში სპორტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და დიდი ენთუზიაზმითაც მისდევენ მას. პეკინში ოლიმპიადის ორგანიზებით აღფრთოვანებული დავრჩი. ჩინელებმა სანდო ხალხის შთაბეჭდილება დატოვეს, რომლებმაც იციან საქმის კეთება. აზიური სამზარეულო ძალიან მომწონს, ამიტომაც ჩინური კერძებისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე"*, - განაცხადა ივანოვიჩმა Beijing News Weekly-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი

## NHL. ოქტომბრის კალენდარი

**9 ოქტომბერი**
დეტროიტი-ტორონტო
კოლორადო-ბოსტონი
ვანკუვერი-კალგარი
სან ხოსე-ანაჰაიმი

**10 ოქტომბერი**
ნიუ ჯერსი-აილენდერსი
რეინჯერსი-ჩიკაგო
კაროლინა-ფლორიდა
ბაფალო-მონრეალი
ატლანტა-ვაშინგტონი
სენტ ლუისი-ნეშვილი
დალასი-კოლამბუსი

**11 ოქტომბერი**
ტორონტო-მონრეალი
ოტავა-დეტროიტი
აილენდერსი-სენტ ლუისი
ფილადელფია-რეინჯერსი
ვაშინგტონი-ჩიკაგო
ფლორიდა-ატლანტა
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-კაროლინა
ნეშვილი-დალასი
მინესოტა-ბოსტონი
კალგარი-ვანკუვერი
ფინიქსი-კოლამბუსი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

**12 ოქტომბერი**
ედმონტონი-კოლორადო
ანაჰაიმი-ფინიქსი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

**13 ოქტომბერი**
ტორონტო-სენტ ლუისი
აილენდერსი-ბაფალო
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-მონრეალი
ვაშინგტონი-ვანკუვერი
კაროლინა-დეტროიტი
ჩიკაგო-ნეშვილი

**14 ოქტომბერი**
პიტსბურგი-ფილადელფია
ატლანტა-მინესოტა
კალგარი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
სან ხოსე-კოლამბუსი

**15 ოქტომბერი**
რეინჯერსი-ბაფალო
მონრეალი-ბოსტონი
ჩიკაგო-ფინიქსი
დალასი-ნეშვილი
ანაჰაიმი-ედმონტონი

**16 ოქტომბერი**
ატლანტა-ნიუ ჯერსი
პიტსბურგი-ვაშინგტონი
ტამპა ბეი-აილენდერსი
ფლორიდა-მინესოტა
დეტროიტი-ვანკუვერი
სენტ ლუისი-დალასი
კოლორადო-ფილადელფია

**17 ოქტომბერი**
ოტავა-ფინიქსი
რეინჯერსი-ტორონტო
კოლამბუსი-ნეშვილი
ბაფალო-ვანკუვერი
კალგარი-ედმონტონი
ანაჰაიმი-სან ხოსე
ლოს ანჯელესი-კაროლინა

**18 ოქტომბერი**
დალასი-კოლორადო
მონრეალი-ფინიქსი
ოტავა-ბოსტონი
პიტსბურგი-ტორონტო
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
ატლანტა-ბაფალო
ფლორიდა-აილენდერსი
დეტროიტი-რეინჯერსი
ტამპა ბეი-მინესოტა
ნეშვილი-კოლამბუსი
სენტ ლუისი-ჩიკაგო
ედმონტონი-კალგარი
სან ხოსე-ფილადელფია

**19 ოქტომბერი**
ჩიკაგო-ვანკუვერი
ანაჰაიმი-კაროლინა

**20 ოქტომბერი**
ბოსტონი-პიტსბურგი
რეინჯერსი-დალასი
მონრეალი-ფლორიდა
ლოს ანჯელესი-კოლორადო

**21 ოქტომბერი**
ბაფალო-ბოსტონი
ტორონტო-ანაჰაიმი
კოლამბუსი-ვანკუვერი
ტამპა ბეი-ატლანტა
კალგარი-ვაშინგტონი

**22 ოქტომბერი**
ოტავა-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-დალასი
ფილადელფია-სან ხოსე
სენტ ლუისი-დეტროიტი
ჩიკაგო-ედმონტონი

**23 ოქტომბერი**
ბოსტონი-ტორონტო
აილენდერსი-დალასი
პიტსბურგი-კაროლინა
ნეშვილი-კალგარი
მინესოტა-ბაფალო
კოლორადო-ედმონტონი
ფინიქსი-ვაშინგტონი

**24 ოქტომბერი**
ოტავა-ანაჰაიმი
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
კოლამბუსი-რეინჯერსი
ფლორიდა-სან ხოსე
დეტროიტი-ატლანტა
სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი

**25 ოქტომბერი**
ბოსტონი-ატლანტა
ტორონტო-ოტავა
მონრეალი-ანაჰაიმი
აილენდერსი-კაროლინა
რეინჯერსი-პიტსბურგი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-სან ხოსე
ნეშვილი-ლოს ანჯელესი
მინესოტა-კოლამბუსი
დალასი-ვაშინგტონი
ჩიკაგო-დეტროიტი
სენტ ლუისი-ფლორიდა
კოლორადო-ბაფალო
ვანკუვერი-ედმონტონი
ფინიქსი-კალგარი

**27 ოქტომბერი**
ბაფალო-ოტავა
აილენდერსი-რეინჯერსი
კოლამბუსი-ანაჰაიმი
მინესოტა-ჩიკაგო
ედმონტონი-ბოსტონი
ლოს ანჯელესი-დეტროიტი

**28 ოქტომბერი**
ვაშინგტონი-ნეშვილი
ატლანტა-ფილადელფია
ტორონტო-ტამპა ბეი
მონრეალი-კაროლინა
კალგარი-კოლორადო
ვანკუვერი-ბოსტონი
სან ხოსე-პიტსბურგი

**29 ოქტომბერი**
ნიუ ჯერსი-ტორონტო
დალასი-მინესოტა
ანაჰაიმი-დეტროიტი

**30 ოქტომბერი**
ბაფალო-ტამპა ბეი
რეინჯერსი-ატლანტა
ფილადელფია-აილენდერსი
ფლორიდა-ოტავა
ნეშვილი-ედმონტონი
მინესოტა-მონრეალი
სენტ ლუისი-კაროლინა
კოლორადო-კოლამბუსი
კალგარი-ბოსტონი
ფინიქსი-პიტსბურგი
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი
სან ხოსე-დეტროიტი

**31 ოქტომბერი**
ჩიკაგო-დალასი
ანაჰაიმი-ვანკუვერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

ინტერვიუ ვიტალი კლიჩკოსთან

# უნდა დამერტყა, მაგრამ გავიცინე





**WBC-ის საპატიო ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა ვიტალი კლიჩკომ უკრაინულ პრესას მოუყვა იმის შესახებ, თუ რა მოხდა მისი და ნიგერიელი სამუელ პიტერის პრესკონფერენციაზე.**

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ბერლინში შაბათს გასამართი ბრძოლის წინ, მოკრივეებმა ბოლო პრესკონფერენცია გამართეს, სადაც მათ WBC-ის საჩემპიონო ქამარი ვერ გაიყვეს. უფროსი კლიჩკო ხსნის, როგორ მოხდა ამ პატარა ინციდენტის პროვოცირება.

**- პრესკონფერენციაზე რა აზრის ხართ?**

- მე მას სცენიდან ვუყურე და გამიჭირდება ობიექტური შეფასების მიცემა.

**- ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თქვენ და პიტერმა ბრძოლისადმი ინტერესის გასაძლიერებლად კონფლიქტი გაითამაშეთ...**

- რატომ?

**- ისე გაიღიმეთ, რომ...**

- იმიტომ, რომ არ ვიცოდი რა გამეკეთებინა: სამუელისთვის ან ქამარი უნდა წამერთმია ან მაშინვე დამერტყა... მაგრამ დროულად მივხვდი, რომ მდგომარეობა განმუხტვა ჯობდა და გაღიმებაც ამიტომ გადავწყვიტე.

**- მართალია, რომ პიტერი ექვსი წელი თქვენი ძმის ვლადიმერის სპარინგ-პარტნიორი იყო?**

- მართალია, ოღონდ ნაწილობრივ. პიტერი მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო. ის ერთ სპარინგ-ბრძოლაზე მოვიდა, საკუთარი თავი გამოსცადა და შემდეგ აღარ გამოჩენილა.

**- თქვენ ამბობდით, რომ ნიგერიელის ბოლო ბრძოლები დაწვრილებით შეისწავლეთ. მათ შორის, ვლადიმერ კლიჩკოსთან ორთაბრძოლაც?**

- რა თქმა უნდა! მაკლაინთან, ვლადიმერთან, მასკაევთან ბრძოლები თავიდან ბოლომდე გავარჩიეთ, ყველა უმნიშვნელო დეტალიც კი განვიხილეთ - ტაქტიკა, ფსიქოლოგია, ტექნიკა... გავიგეთ, როგორ მოქმედებს პიტერი სხვადასხვა სიტუაციებში.

**- მეტოქის ფსიქოლოგიაზე რა აზრის ხართ?**

- ნერვიულობს, შესაბამისად, საკუთარ თავში დარწმუნებული არ არის. თუ მას პრობლემებს შევუქმნი, ჩემთან ბრძოლა გაუჭირდება.

**- სამუელ პიტერი დაბალი ინტელექტის ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. იქნებ ამიტომაც ნერვიულობს?**

- ამჟამად ნიგერიელი სხვის ტერიტორიაზე იმყოფება. პრესკონფერენციაზე მას თარჯიმანი არ მისცეს. ვერაფერი გაიგო. ერთადერთი, რასაც ხვდებოდა იყო ის, რომ კლიჩკოები გერმანიაში გერმანელები არიან. ის კი მინიმუმ აფრიკელია. სამუელი უბრალოდ არაკომფორტულად გრძნობდა თავს. ეს არ არის ამერიკა. მაგალითად, ლას ვეგასში, სადაც 50 პროცენტი შავკანიანები არიან. პიტერი უცხო გარემოში მოხვდა.

**- თქვენ როგორ იგრძნობდით თავს ლას ვეგასში?**

- ჩემთვის სულერთია. ხომ გახსოვთ, ნიგერიაში ბრძოლაზეც თანახმა ვიყავი.

**- მერე?**

- იქედან კარგი წინადადება არ წამოვიდა და მოლაპარაკება შეწყდა.

**- როგორია ბრძოლისწინა განწყობა?**

- შესანიშნავი. მინდა რაღაცაზე დავიწუწუნო, მაგრამ ამის საბაბი არ არსებობს. შეკრებამ შესანიშნავად ჩაიარა, სპარინგ-პარტნიორებიც კარგი მყავდა.

ოლიმპიზმი

# ველოსპორტს ოლიმპიური ოჯახიდან აგდებენ


ტომას ბახი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა **ტომას ბახმა** განაცხადა, რომ ველოსპორტს ოლიმპიური პროგრამიდან გარიცხვა ემუქრება. ამის მიზეზი ის მრავალრიცხოვანი დოპინგსკანდალებია, რომელსაც ბოლო წლებში სპორტის ამ სახეობაში ჰქონდა ადგილი. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხილეს 2008 წლის ტურ დე ფრანსის ეტაპების გამარჯვებულები - გერმანელი **შტეფან შუმახერი** და იტალიელი **ლეონარდო პიეპოლი**.

*„თუ ამ სპორტსმენების განმეორებითი სინჯიც დადებით შედეგს აჩვენებს, ეს უდიდეს ზიანს მიაყენებს სპორტის ამ სახეობის რეპუტაციას. დროა საკუთარ თავს ვკითხოთ - ხომ არ მოვიდა ოლიმპიური პროგრამიდან ველოსპორტის ამოღების დრო"*, - მოჰყავს ბახის სიტყვები სააგენტო „როიტერს".

■ ■ ■

ამასობაში, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიადის მსვლელობისას აღებულ სისხლის ყველა ანალიზს თავიდან შეამოწმებენ. ამ შემთხვევაშიც ეს ნაბიჯი შუმახერისა და პიეპოლის სკანდალებით არის ნაკარნახები. საქმე ისაა, რომ ანტისადოპინგო სამსახურების ახალი ტექნოლოგიები ისეთი დოპინგის აღმოჩენის საშუალებას იძლევა, რასაც ადრე ლაბორატორიები ვერ პოულობდნენ.

*„ხელმეორე შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება აკრძალული პრეპარატის - ერითროპოეტინის ახალ სახეობას - CERA-ს დაეთმობა. ამ პრეპარატის მიღებაში რამდენიმე ველომრბოლი გამოიჭირეს. რა თქმა უნდა, დოპინგის სხვა სახეობებსაც არ დავტოვებთ უყურადღებოდ.*

*პეკინში აღებული ყველა სინჯი ამჟამად ლოზანაში, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ლაბორატორიებშია გადატანილი. ამჟამად მათთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და სინჯების გადამოწმების დეტალებს ვაზუსტებთ"*, - ამბობს საერთშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი **ემანუელ მორო**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| **LDV Vans Trophy** | |
| როტერჰემი-ლიდსი | 4:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მანტოვა-ვიჩენცა | 0:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| პორტუგალეტე-დონ ბენიტო | 2:0 |
| რეალ უნიონი-ბარაკალდო | 2:1 |
| სელტა-სოსიედადი | 2:0 |
| პონფერადინა-უნივერს. | 1:1, პენ. 4:2 |
| გრადანა-ბენიდორმი | 0:2 |
| ორიუელა-ტოლედო | 3:1 |
| რაიო ვალეკანო-ალბასეტე | 2:1 |
| სალამანკა-კასტელონი | 0:0, დ.დ. 0:1 |
| მელილია-ეხიდო | 2:3 |
| ერკულესი-ხირონა | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კილი-ხემნიცი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დეგერფორსი-მიალბიუ | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| არტმედია-ტრნავა | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| საკ-მეტალი | 3:4 |
| ანჟი-დინამო (ბარ) | 3:0 |
| მაშუკი-ტორპედო | 0:1 |
| ალანია-ბალტიკა | 2:0 |
| კამაზ-როსტოვი | 1:0 |
| სალუტი-სიბირი | 2:0 |
| სკა (რ)-ურალი | 1:0 |
| ვოლგა-დინამო (ბრ) | 0:1 |
| ჩერნომორეცი-ენერგია | 2:0 |
| ყუბანი-ზვეზდა | 5:0 |
| **პოლონეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| გურნიკი-პოლონია (ბ) | 2:0 |
| არკა-ლეხი | 3:0 |

**მინი-ფეხბურთი**

| მსოფლიოს ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბრაზილია-კუბა | 9:0 |
| რუსეთი-იაპონია | 9:1 |
| იტალია-პარაგვაი | 2:4 |
| პორტუგალია-ტაილანდი | 3:2 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ვიტიაზი-ხიმიკი | 1:1 |
| ცსკა-ბარისი | 3:3 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ს. იულიაევი-ბუდეიოვიცე | 7:1 |
| აისბარენი-კერპეტი | 3:2 |
| სლავია-ლინჩოპინგი | 4:2 |
| ჰვ71-ბერნი | 6:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ვენა | |
|---|---|
| ვერდასკო-კანიასი | 6:1, 6:2 |
| გონსალესი-გულბისი | 4:6, 7:6, 6:1 |
| პეტცშნერი-ჰერნიხი | 6:3, 6:4 |
| დელ პოტრო-ფიშერი | 7:6, 7:6 |
| მონფილსი-პეია | 3:6, 6:1, 6:3 |
| მოია-შვანკი | 6:2, 6:3 |
| **ATP. მოსკოვი** | |
| ზვერევი-გრემელმაიერი | 6:3, 7:6 |
| იუჟნი-გაბაშვილი | 5:7, 6:4, 6:7 |
| მატიო-სტახოვსკი | 6:3, 6:2 |
| სანტორო-ისტომინი | 6:2, 6:4 |
| ანდრეევი-შარდი | 6:3, 5:7, 4:6 |
| ტურსუნოვი-კუნიცინი | 1:6, 6:4, 1:6 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| ბასტლი-ნილსენი | 7:6, 3:6, 7:6 |
| ნიემინენი-ბელუჩი | 6:7, 6:3, 7:5 |
| კლემანი-რენკვისტი | 6:2, 6:1 |
| შუტლერი-ლაპენტი | 7:6, 6:3 |
| აკასუსო-ერნანდესი | 6:2, 3:6, 4:6 |
| სიოდერლინგი-ბეკერი | 7:5, 6:3 |
| ტ. იოჰანსონი-მონტანიესი | 3:6, 6:4, 3:6 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| ვოზნიაჩკი-ჩაკვეტაძე | 2:6, 6:1, 6:4 |
| დემენტიევა-სრებოტნიკი | 6:3, 4:6, 7:6 |
| პეტროვა-ლაპუშჩენკოვა | 6:2, 6:1 |
| ივანოვიჩი-ციბულკოვა | 6:3, 2:6, 6:7 |
| კუზნეცოვა-ერანი | 7:6, 6:1 |
| საფინა-მორესმო | 6:7, 6:4, 6:4 |

TV სპორტი

**9 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-პორტუ.
07:45 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-კანი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:15 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-არსენალი.
19:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:35 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:35 პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-პორტუ.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
00:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:30 არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-სან ლორენსო.
04:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ვალანსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:55 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
08:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
08:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-ვალენსია.
10:45 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. I ეტაპი. ჰოლანდია.
11:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია.
14:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-მილანი.
16:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
16:05 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
16:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-არსენალი.
19:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
20:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-რეალი.
00:25 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. I ეტაპი. ჰოლანდია.
01:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ.
03:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-მილანი.
05:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
05:30 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ბოსტონი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
12:00 ფეხბურთი. მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-სერბეთი.
13:00 ფეხბურთი. მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. იტალია-პარაგვაი.
14:00 ფეხბურთი. მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
16:45 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-პარაგვაი. ბრაზილია.
17:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ურუგვაი. ბრაზილია (LIVE).
19:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია.
19:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-ჩინეთი. ბრაზილია (LIVE).
20:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-ჩინეთი. ბრაზილია (LIVE).
21:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-გვატემალა. ბრაზილია.
22:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 ფორმულა 1. კულისებს მიღმა.
23:15 კრივი. მექსიკა.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ფრენბურთი. იტალიის სუპერთასი. პეზარო-ბერგამო.
14:30 ახალი ამბები.
15:00 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
16:00 ფეხბურთი. მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დრამენი (ნორვეგია)-კილი (გერმანია).
18:00 ფრენბურთი. იტალიის სუპერთასი. პეზარო-ბერგამო.
19:00 ახალი ამბები.
19:15 ფეხბურთი. მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სპიდვეი. იტალიის გრანპრი.
22:00 სერფინგი ბაიდარებით. ევროპის ჩემპიონატი. ბიარიცი. საფრანგეთი.
22:30 გოლფი. ევროპის ტური.
23:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფლენსბურგი (გერმანია)-ჰაუკარი (ისლანდია).
01:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
05:00 ახალი ამბები.

იაპონიის გრანპრის წინ

# ბრძოლა ფუჯის მთის ძირას




**ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შევიდა. სეზონის მთავარი ტრიუმფატორის გამოვლენამდე სამი რბოლაა დარჩენილი. ბევრი რამ მომავალ უიქ ენდზე, იაპონიის გრანპრის დროს გაირკვევა. ბრიტანული ტელეკომპანის ITV-ის მიმომხილველები შარშანდელი რბოლის შედეგების მიხედვით ცდილობენ გაარკვიონ, რა შეიძლება მოხდეს კვირას ფუჯის ტრასაზე.**

## რისკი საჭირო არ არის

გასულ წელს, იაპონიის გრანპრის შემდეგ ტიტულის მაძიებელთა შორის **ლუის ჰემილტონის** შანსები მაქსიმალურად გაიზარდა: მან ფუჯიზე ურთულესი წვიმიანი რბოლა მოიგო და უახლოეს მდევარს 12 ქულით გაასწრო. კალენდარში კი მხოლოდ ორი ეტაპი რჩებოდა. ბრიტანელს ჩინეთში, მომდევნო გრანპრიზე შეეძლო გაეფორმებინა ჩემპიონობა, მაგრამ როგორც ცნობილია, ყველაფერი პირიქით მოხდა...

ასე რომ, სწორედ ჰემილტონი იქნება იაპონიის წლევანდელი გრანპრის დროს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. მით უმეტეს, რომ ახლა ის მეორე ადგილზე მყოფ **ფელიპე მასას** 7 ქულას უგებს. ბრიტანელი იაპონიაში ჩემპიონობას ვერ გაინალდებს, მაგრამ ყველანაირად ეცდება საქმე ისე წარმართოს, რომ პირად ჩათვლაში პირველი ადგილი მომდევნო ეტაპზე - ჩინეთში გაინალდოს. თუმცა იქამდე ჯერ შორის გზაა გასავლელი.

ერთი წლის წინ, ფუჯის რბოლის შემდეგ, **რაიკონენსა** და ჰემილტონს შორის 17-ქულიანი უფსკრული იყო, მაგრამ სამი კვირის თავზე ფინელმა პილოტმა კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვება იზეიმა. იმის გამო, რომ წლევანდელი სეზონიც არა ნაკლებ დრამატული და არაპროგნოზირებადია, ჰემილტონსა და „მაკლარენს" კარგად ესმით, რომ მთავარი მიზნის მისაღწევად აგრესიულობასა და სიფრთხილეს შორის ბალანსი უნდა იპოვნონ.

სეზონის მსვლელობისას სხვადასხვა ინტერვიუში ჰემილტონი ხშირად იმეორებდა, რომ ტიტული იმ პილოტს დარჩებოდა, ვინც ყველაზე ნაკლებ შეცდომას დაუშვებდა. სინგაპურში ბრიტანელმა მესამე ადგილი დაიკავა - სავარაუდოდ, იმ ეტაპზე რისკის მინიმუმამდე დაყვანა საუკეთესო არჩევანი იყო. სწორად მოიქცა ახალგაზრდა ბრიტანელი, როცა ტრასაზე ნელა მოძრავი **დევიდ კულტჰარდისა** თუ **ნიკო როსბერგის** აგრესიული მანევრებით უკან ჩამოტოვება არ სცადა. გასწრებისთვის გამოუსადეგარ ტრასაზე არასაჭირო რისკს შეიძლება ჰემილტონისთვის ცუდი შედეგები მოეტანა. მსგავსმა გადაწყვეტილებამ იმ გულშემატკივართა იმედგაცრუება გამოიწვია, რომლებიც გასწრებებისგან სიამოვნებას იღებენ, მაგრამ „მაკლარენის" იდეა სავსებით რაციონალური იყო: ტიტულის მოპოვება უფრო დიდხანს ამახსოვრდებათ, ვიდრე ცალკეულ რბოლაში გამოჩენილი გმირობა.

ჰემილტონს შეუძლია დარჩენილ სამივე რბოლაში მეორე ადგილზე მივიდეს ფინიშთან. ამიტომაც იაპონიაში „მაკლარენისგან" გაათრებულ ბრძოლას არ უნდა ველოდოთ. მეორე მხრივ, „ფერარი" ვალდებულია შეუტიოს. ამიტომაც იტალიელები ეცდებიან, ორმაგ გამარჯვებებს მიაღწიონ. მათ სინგაპურშიც შეეძლოთ დუბლის შესრულება - იმ ღამეს „ფერარი" აშკარად სჯობდა კონკურენტებს და ლუის ჰემილტონის პერსპექტივები არასახრბიელოდ მოჩანდა. მაგრამ სამარცხვინო პიტსტოპმა სკუდერიას გეგმები ჩაუშალა.

## ლუისს წვიმა მოუხდებოდა

თუმცა სინგაპურში განვითარებული მოვლენები უჩვეულო და უნიკალური იყო. ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ **ფერნანდო ალონსო** და „რენო" ამ ქალაქს ტრიუფმოტორების რანგში დატოვებდნენ. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მთავარი ტიტულისთვის ბრძოლას კარგა ხანია გამოეთიშა, სინგაპურში გამარჯვებაც „შემთხვევითობის ფაქტორით" უფრო იყო განპირობებული. მაგრამ თუ იმ სარბოლო უიქენდზე თავისუფალი ვარჯიშების ოქმებს გადავხედავთ, გასაგები ხდება, რომ „რენო" ამ ეტაპისთვის ძალიან კარგად იყო მომზადებული. საკითხავია, ეყოფა თუ არა ფრანგულ საჯინიბოს სისწრაფე იაპონიაში, სადაც იქაურ ტრასაზე ფორმულა 1-ში ყველაზე გრძელი სწორი მონაკვეთია.

თუმცა დღეს ალონსო თავისი სპორტული ფორმის პიკზე იმყოფება და შეუძლია საკუთარი, არც ისე მძლავრი მანქანიდან მაქსიმუმი მიიღოს - ასე რომ, გამორიცხული არ არის, ნანდომ ფუჯიზე ქულების გადანაწილებაში მიიღოს მონაწილეობა. მით უმეტეს, რომ ადგილობრივი კლიმატის გათვალისწინებით, სიურპრიზების ალბათობა საკმაოდ მაღალია: აქ წვიმა ჩვეულებრივი ამბავია.

წვიმიანი ამინდი ზედგამოჭრილი იქნება სველ ასფალტზე რბოლის ოსტატ ლუის ჰემილტონისთვის. მაგრამ ასეთი ამინდი მის უახლოეს მდევარ ფელიპე მასას არ დააკმაყოფილებს, რადგან წელს, წვიმაში „ფერარის" ყველა გამოსვლა ფიასკოთი დასრულდა.

წვიმა ასევე გაზრდის „ტორო როსოს" ვუნდერკინდის **სებასტიან ფეტელის** შანსებს. იტალიაში მისი ოსტატური პოულისა და დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ახალგაზრდა გერმანელისგან მსგავსი ტრიუმფის გამეორებას ელიან.

## შეცდომების გასწორების შანსი

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ 2007 წელს, სწორედ ფუჯიზე გამოავლინა ფეტელმა თავისი ნიჭი, მაგრამ იგივე რბოლა მის კარიერაში ყველაზე დიდ იმედგაცრუებად იქცა. წვიმაში გერმანელი თავს შესანიშნავად გრძნობდა, კვალიფიკაციაში მერვე ადგილი დაიკავა, რბოლის დროს მესამე პოზიციას მიაღწია, მაგრამ 47-ე წრეზე, როცა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა იყო გამოსული, ფეტელმა იმდენი მოახერხა, რომ უკნიდან **მარკ უებერის** „რედ ბულსს" შეეჯახა. იმის გათვალისწინებით, რომ იმ რბოლაში უებერს შეეძლო ლუის ჰემილტონთან გამარჯვებისთვის ებრძოლა, ეს უაზრო ავარია „რედ ბულისთვის" ნამდვილ კატასტროფად, ფეტელისთვის კი უდიდეს იმედგაცრუებად იქცა.

დღეს „ტორო როსო" შესანიშნავ ფორმაშია, ფეტელი წვიმაში ბრწყინვალედ მანევრირებს, ამიტომაც იაპონიის გრანპრი ძველი შეცდომების გამოსწორების შესანიშნავი საშუალება იქნება.

წვიმის გამო, გამორიცხული არ არის, ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოსვლა. ბოლო რბოლებში კარგად დავინახეთ, რა დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს რბოლის მსვლელობაზე ვერცხლისფერმა „მერსედესმა".

მაშ ასე, წინ სამი რბოლა და 30 გაუთამაშებელი ქულაა. ფუჯი შესანიშნავი ადგილია ტიტულისთვის საბრძოლველად. გაიმყარებს თუ არა თავის საჩემპიონო შანსებს ლუის ჰემილტონი? შეძლებს თუ არა ფელიპე მასა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გარდატეხის შეტანას? ჩვენ წინ გველის ეპიკური ბრძოლა ფუჯის მთის ძირას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### სატურნირო მდგომარეობა

**საერთო ჩათვლა:** 1. ლუის ჰემილტონი - 84 ქულა; 2. ფელიპე მასა - 77; 3. რობერტ კუბიცა - 64; 4. კიმი რაიკონენი - 57; 5. ნიკ ჰაიდფელდი - 56; 6. ჰეიკი კოვალაინენი - 51; 7. ფერნანდო ალონსო - 38; 8. სებასტიან ფეტელი - 27; 9. იარნო ტრული - 26; 10-11. ტიმო გლოკი, მარკ უებერი - 20; 12. ნიკო როსბერგი - 17; 13. ნელსინიო პიკე - 13; 14. რუბენს ბარიკელო - 11; 15. კაზუკი ნაკაჯიმა - 9; 16. დევიდ კულტჰარდი - 8; 17. სებასტიან ბურდე - 4; 18. ჯენსონ ბატონი - 3.

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. მაკლარენი - 135 ქულა; 2. ფერერი - 134; 3. BMW-ზაუბერი - 120; 4. რენო - 51; 5. ტოიოტა - 46; 6. ტორო როსო - 31; 7. რედ ბული - 28; 8. უილიამსი - 26; 9. ჰონდა - 14.

ფორმულა 1

# კანადის გარეშე

მომავალი სეზონიდან ჩრდილოეთი ამერიკა ფორმულა 1-ის გარეშე დარჩება. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ უკვე მეორედ გამოაქვეყნა 2009 წლის სეზონის წინასწარი კალენდარი, რომელშიც წინა თვესთან შედარებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა.

ამერიკის გრანპრის გაუქმების შემდეგ, ფორმულა 1-ის წრეებში ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ გუნდებს ძვირი უჯდებათ სეზონში ერთი რბოლისთვის ოკეანის გაღმა გადასვლა. გარდა ამისა, წელს კანადის გრანპრის დროს პრობლემები შეიქმნა მონრეალის ტრასის მეათე მოსახვევში. სწორედ ამ მიზეზთა გამო გადაწყდა, რომ 1987 წლის შემდეგ პირველად, **ჟილ ვილნევის** სახელობის ავტოდრომზე რბოლები აღარ გაიმართება.

კანადის ეტაპის ნაცვლად, 7 ივნისს თურქეთის გრანპრი ჩასვეს. ამის წყალობით, 2009 წელს პილოტებს თითქმის ერთთვიანი საზაფხულო არდადეგები (26 ივნისიდან 23 აგვისტომდე) გამოუვათ.

როგორც აღმოჩნდა, კანადის გრანპის ორგანიზატორებმა ამ სიახლის შესახებ არაფერი იცოდნენ. ისინი აცხადებენ, რომ გულშემატკივრების მსგავსად, ეს ამბავი პრესიდან შეიტყვეს. FIA-ს წარმომადგენლებს საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ კანადური მხარე.

*„ამ გადაწყვეტილების შესახებ პრესის მეშვეობით გავიგეთ. შესაბამისად, არანაირ კომენტარს არ გავაკეთებთ იქამდე, სანამ ფედერაციასთან მოლაპარაკებებს არ გავმართავთ"*, - ასეთია გრანპრის ორგანიზატორთა ოფიციალური განცხადება.

ადრე ვარაუდობდნენ, კანადური გრანპრის პრომოუტერს შეთანხმება ჰქონდა ფორმულა 1-ის ფაქტობრივ მფლობელ **ბერნი ექლსტოუნთან**, რომლის მიხედვითაც ამ ეტაპს 2011 წლამდე არაფერი არ უნდა დამუქრებოდა.

კანადური გრანპრის კალენდრიდან ამოღებით ჩემპიონატში ეტაპების რაოდენობა არ შეცვლილა. გაისად კვლავ 18 გრანპრი გაიმართება - ფორმულა 1-ში დებიუტი ექნება აბუ დაბის რბოლას, რომლითაც დასრულდება კიდეც 2009 წლის სეზონი.



| 2009 წლის კალენდარი | | |
|---|---|---|
| 29 მარტი | ავსტრალიის გრანპრი | მელბურნი |
| 5 აპრილი | მალაიზიის გრანპრი | სეპანგი |
| 19 აპრილი | ბაჰრეინი გრანპრი | საჰირი |
| 10 მაისი | ესპანეთი გრანპრი | ბარსელონა |
| 24 მაისი | მონაკოს გრანპრი | მონტე კარლო |
| 7 ივნისი | თურქეთის გრანპრი | სტამბოლი |
| 21 ივნისი | ბრიტნეთის გრანპრი | სილვერსტოუნი |
| 28 ივნისი | საფრანგეთის გრანპრი | მანი კური |
| 12 ივლისი | გერმანიის გრანპრი | ნიურბურგრინგი |
| 26 ივლისი | უნგრეთის გრანპრი | ჰუნგარორინგი |
| 23 აგვისტო | ევროპის გრანპრი | ვალენსია |
| 30 აგვისტო | ბელგიის გრანპრი | სპა |
| 13 სექტემბერი | იტალიის გრანპრი | მონცა |
| 27 სექტემბერი | სინგაპურის გრანპრი | სინგაპური |
| 11 ოქტომბერი | იაპონიის გრანპრი | სუზუკა |
| 18 ოქტომბერი | ჩინეთის გრანპრი | შანხაი |
| 1 ნოემბერი | ბრაზილიის გრანპრი | სან პაულუ |
| 15 ნოემბერი | აბუ დაბის გრანპრი | აბუ დაბი |




# მანი კურის ნაცვლად დისნეილენდი?

სააგენტო „როიტერის" ცნობით, 15 ოქტომბერს, საფრანგეთის ავტოსპორტის ფედერაცია ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექლსტოუნს** ოთხი ავტოდრომის პროექტს შესთავაზებს, რომელთაგანაც ერთ-ერთმა უახლოეს მომავალში მანი კურის ტრასა უნდა შეცვალოს.

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი პროექტის დეტალებია ცნობილი. ეს არის პარიზის დისნეილენდის ავტოდრომი, რომლის ტრასის ნაწილი ადგილობრივ გზებზე გაივლის.

დისნეილენდს თავისი უპირატესობა გააჩნია - პარკს სასტუმროების დიდი ქსელი და შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა აქვს, ახლოს არის პარიზთან... თუმცა პრესას ეჭვი არ ეპარება, რომ თავისი პლუსები სხვა პროექტებსაც ექნებათ...